

პარლამენტში "საბრძოლო" განწყობაა

A3



დიდი სახელები, უღიმღამო ფილმები და სიტის შურისძიება

B3



თავისუფლება ალკატრასში გამომწყვდეულ მთვრალ კენგურუს!

B4


www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 24 მაისი, 2005 წელი. №114 (974)

ფასი 50 თეთრი


## ყურადღება!

**სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში, რომლითაც უნდა შერჩეულიყო ყოველდღიური გაზეთი სახელმწიფო შესყიდვების შესახებ სატენდერო განცხადებების გამოსაქვეყნებლად, გაიმარჯვა გაზეთმა "24 საათმა".**

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის **2005 წლის 11 მაისის N3 ბრძანების** თანახმად, აღნიშნული ცვლილება შევიდა "სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების დამტკიცების შესახებ" საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2001 წლის 15 ოქტომბრის №1 ბრძანებაში.

შესაბამისი ხელშეკრულებების გასაფორმებლად და სხვა დეტალების დასაზუსტებლად გთხოვთ, დაუკავშირდეთ გაზეთ "24 საათი"-ს რედაქციას:

ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული.

ტელ: 202404; 202424; 200024; 8 99 220 949.

ელ-ფოსტა: tender@24hours.ge

საკონტაქტო პირი - ირაკლი ლეჟავა

## ამბები

### "ჩვენ ხელისუფლებაში მოვალთ"

კონსერვატორების მიზანია, რომ მათი პარტიის სახით საქართველოში დამკვიდრდეს ახალი რეალობა, როცა პოლიტიკური ორგანიზაცია ჭეშმარიტ დემოკრატიულ პრინციპებზე იქნება დაფუძნებული.

A2


იურიდიული ოფისი „გაპი" და გაზეთი "24 საათი"

ახორციელებენ პროექტს, რომლის მიზანსაც წარმოადგენს მოსახლეობისათვის სამართლებრივი დახმარება.

A7


## ამინდი

| | 24/05 | 25 /05 | 26 /05 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 27 | 25 | 25 |
| ქუთაისი | 31 | 27 | 25 |
| ბათუმი | 27 | 23 | 23 |
| სოხუმი | 30 | 25 | 22 |
| ფოთი | 30 | 26 | 24 |
| თელავი | 26 | 24 | 25 |
| ზუგდიდი | 33 | 27 | 25 |
| გორი | 25 | 22 | 23 |
| ახმეტა | 27 | 25 | 25 |
| ჭიათურა | 28 | 25 | 23 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8249 |
| ევრო | 2.2893 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3352 |
| რუბლი | 0.0650 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| პოლიტიკა | A3 | რევიუ | B3 |
| საზოგადოება | A4 | სპორტი | B4 |
| უცხოეთი | A5 | სპორტი | B5 |
| ეკონომიკა | A6 | დედაქალაქი | B6 |
| სამართალი | A7 | სხვადასხვა | B7 |
| ისტორია | A8 | სხვადასხვა | B8 |


### სტივენ სესტანოვიჩი:

# საქართველომ აჩვენა პოლიტიკური, სოციალური, ინტელექტუალური დინამიზმი

ეს თავის შედეგს აუცილებლად მოიტანს, თვითონ რუსეთის შიგნითაც

ეკა კვესიტაძე

*ვაშინგტონი-თბილისი*



*გთავაზობთ ინტერვიუს პრეზიდენტ კლინტონის ადმინისტრაციაში სახელმწიფო მდივნის სპეციალურ მრჩეველთან, კოლუმბიის უნივერისტეტის პროფესორთან და საგარეო ურთიერთობათა საბჭოს უფრო ექსპერტთან სტივენ სესტანოვიჩთან*

**- პროფესორო სესტანოვიჩ, როგორ შეაფასებდით პრეზიდენტ ბუშის ვიზიტს საქართველოში და რა გავლენას იქონიებს ეს ვიზიტი ამერიკა-საქართველოს მომავალ ურთიერთობებზე?**

- ეს არის გზავნილი ამერიკისა და საქართველოს ყველა ოფიციალური პირისათვის, რომ ეს ურთიერთობა ძალზე მნიშვნელოვანია ორივე ქვეყნის პრეზიდენტისთვის.

ისეთ დიდ მთავრობაში, როგორიც ამერიკას ჰყავს, საშუალო დონის ჩინოვნიკებს, ისევე როგორც მაღალი რანგის ოფიციალური პირებს, ხშირად უჭირთ გაარკვიონ, თუ რამდენ დროს ხარჯავს ამერიკის პრეზიდენტი საქართველოს შესახებ ფიქრზე. ახლა ეს მათ იციან.

პრეზიდენტი ბუში, ალბათ, ყოველდღე არ ფიქრობს ამ თემაზე, მაგრამ, რაც მან გააკეთა, სიმბოლური დადასტურება იყოს იმისა, რომ ამ ქვეყანასთან ურთიერთობა მისთვის მნიშვნელოვანია.

გაგრძელება A3 გვერდზე

# დარგობრივმა კომიტეტმა აეროპორტის ტენდერზე მოკვლევა ჩაატარა

ნიკო ლეკიშვილი: "გამარჯვებულ კონსორციუმთან ხელშეკრულების გაუქმება მიზანშეწონილი არ არის"

საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტმა პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის დავალება შეასრულა და თბილისში ახალი აეროპორტის მშენებლობაზე ჩატარებულ ტენდერთან დაკავშირებით წინასწარი მოკვლევა უკვე ჩაატარა.

აღნიშნული განცხადება გუშინ პარლამენტში ჟურნალისტებთან საუბრისას დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარემ ნიკო ლეკიშვილმა გააკეთა. მისი თქმით, იმ კონსორციუმთან დადებული ხელშეკრულება, რომელიც ტენდერის შედეგად გამარჯვებულად გამოცხადდა, ცუდი ნამდვილად არ არის, თუმცა მანამდე, ტენდერის პროცესში უამრავი სერიოზული დარღვევა მოხდა.

ნიკო ლეკიშვილის განცხადებით, აღნიშნულ ეტაპზე გამარჯვებულ კონსორციუმთან ხელშეკრულების გაუქმება ძნელი იქნება და, ამდენად, მიზანშეწონილიც არ არის.

როგორც ლეკიშვილი აცხადებს, თვითონ ხელშეკრულებაშია ჩადებული ისეთი პირობა, რომ თუ საქართველოს მხარე ხელშეკრულებას გააუქმებს, მაშინ მეორე მხარემ, შესაძლოა, ლონდონის საარბიტრაჟო სასამართლოში იჩივლოს.

როგორც ლეკიშვილი აცხადებს, "ეს ყველაფერს თავდაყირა დააყენებს და ქვეყნისათვის სასიკეთო ნამდვილად არ იქნება."

მისი განცხადებით, კომიტეტი არ მოითხოვს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ალექსი ალექსიშვილის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. თუმცა, კომიტეტის მიერ მოპოვებული მასალები და ის სერიოზული დარღვევები, რაც ტენდერის პროცესში აღმოჩნდა, აუცილებლად გასათვალისწინებელია სხვა ტენდერებში.

თბილისში ახალი საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობაზე გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადებული კონსორციუმი ამერიკულ "ეი&ჯეი"-ს, ლუქსემბურგის "ჯი-თი-ეს"-ს და თურქულ "ჩელები"-ს აერთიანებს.

გასულ სამშაბათს, ეკონომიკური განვითარების მინისტრი ალექსი ალექსიშვილი საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებმა გამარჯვებული კომპანიის ლობირებაში დაადანაშაულეს.

პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის თქმით, პარლამენტმა თბილისის აეროპორტის მშენებლობის საკითხი უკვე სამუშაო პროცესში გადაიტანა და დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარეს აღნიშნული საკითხის შესწავლა სთხოვა.

დღეს კი საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ახალი საერთაშორისო აეროპორტის პროექტის პრეზენტაციას დაესწრება.

*24 საათი*

# სოფლის მეურნეობა

## ის, რაც საუკუნეების მანძილზე ვიცით და უპირატესობა გვაქვს

მაია ჭალაგანიძე

**პეტრე ცისკარიშვილი** წელიწადი და სამი თვეა, კახეთში პრეზიდენტის რწმუნებულია. ამ რეგიონიდან საპროტესტო აქციების და წივილ-კივილის ხმა, ძირითადად, არ ისმის ხოლმე და, ალბათ, ამის ბრალიც არის, რწმუნებულის სახე რომ პრესითა და ტელევიზიით ხშირად არ ჩანს. თუმცა, რა თქმა უნდა, პრობლემები, ისე, როგორც ყველგან, საქართველოში - უხვად არის. სპეციფიური მაინც ღვინო, ყურძენი და ხორბალია. გახსოვთ ალბათ, როდესაც დამოუკიდებლები ვხდებოდით, ვამბობდით, რომ ქართული ღვინო და ბორჯომი გადაგვარჩენდა. ბორჯომში უკვე გავუშვით ნავთობის მილები, შარშანდელ რთველს თუ გავიხსენებთ, არც აქ გვაქვს საქმე მარტივად და მეღვინეები რთველს შიშით ელიან. შეიძლება, ახლა აჭარის მთავრობას უნდა ვეკითხებოდეთ, როგორ ემზადებიან ტურისტული სეზონისთვის, ამის დრო უფროა, მაგრამ ტურისტულ სეზონს მალევე რთველი მოსდევს. როგორ ემზადება ამისთვის ადგილობრივი ხელისუფლება? თან, როგორც აღმოჩნდა, მალე კახეთში ტურიზმის აქამდე უცნობ სახეობასაც ვიხილავთ...

გაგრძელება B1 გვერდზე



ლევან ხერხეულიძის ფოტო

# ბიუროს "დაძაბული, მაგრამ კონსტრუქციული" დახურული სხდომა

თამარ მჭედლიშვილი

გუშინ საღამოს რვა საათზე პარლამენტის ბიურო მეორეჯერ შეიკრიბა. როგორც მოსალოდნელი იყო, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის სალომე ზურაბიშვილის პარლამენტში ვიზიტის ნიუანსები ჟურნალისტებისთვის უცნობი დარჩა - ორივე მხარის ერთსულოვანი გადაწყვეტილებით, ბიუროს სხდომა მედიის წარმომადგენლებისთვის დახურული აღმოჩნდა.

ამის მიუხედავად, ბიუროს დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე დეპუტატთა ნაწილი უკვე აცხადებდა, რომ გუშინდელი ბიუროს რიგით მეორე სხდომა სკანდალით არ დასრულდებოდა - მართალია, სალომე ზურაბიშვილს გარკვეული შენიშვნების და უსიამოვნო შეკითხვების მოსმენა მოუწევდა, მაგრამ ეს შენიშვნები უპასუხოდ ნამდვილად არ დარჩებოდა.

შესაძლოა, სწორედ ამის გამო, ბიუროს სხდომას დეპუტატების განსაკუთრებული ინტერესი არ გამოუწვევია. სხდომის დაწყებიდან ძალიან მალე ბიუროს წევრებმა დარბაზის დატოვება დაიწყეს. სწორედ ამ დროისთვის დახურული სხდომიდან უკვე გამოჟონა ინფორმაციამ, რომლის თანახმადაც, მინისტრთან შეხვედრა მართალია, დაძაბულად, მაგრამ მაინც კონსტრუქციულ კალაპოტში წარიმართა.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, სალომე ზურაბიშვილს ბიუროს სხდომაზე განსაკუთრებით არ წყალობდა "მემარჯვენეთა" ლიდერი დავით გამყრელიძე (თუმცა, საგარეო საქმეთა მინისტრის პარლამენტში მისვლა სწორედ "ახლებმა" მოითხოვეს. ოღონდ ეს მხოლოდ მას მერე მოხდა, რაც მემარჯვენე ოპოზიციამ ეს საკითხი, არაოფიციალურად, პარლამენტის თავმჯდომარესთან ნინო ბურჯანაძესთან შეათანხმა).

გუშინდელ სხდომაზე დასმული კითხვები არახალი იყო. ისინი რუსეთის ბაზებთან დაკავშირებით გამართული მოლაპარაკებების წარუმატებლობასა და ელჩების გამოწვევასთან დაკავშირებით ატეხილ სკანდალს უკავშირდებოდა. თანაც, საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ პარლამენტის ხელმძღვანელობა საკმაოდ გაღიზიანებულია სალომე ზურაბიშვილისა და მისი უახლოესი გარემოცვის სრული ავტონომიით - საქმე ის არის, რომ საგარეო უწყების მიერ მიღებული არც ერთი

გაგრძელება A2 გვერდზე

# დსთ-ს დაშლის პროცესი

თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის დასრულებით იწყება

*როგორც ცნობილი გახდა, მიმდინარე წლის ივნისის ბოლოს დსთ-ს ფორმატით სამხედრო თანამშრომლობის დასრულების შესახებ მიიღებენ გადაწყვეტილებას. ასე რომ, დსთ-ს თავდაცვის მინისტრთა საბჭოს 25 ივნისს დაგეგმილი სხდომა, შესაძლოა, უკანასკნელი აღმოჩნდეს. დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი - სამხედრო სფეროში თანამშრომლობა, მალე ისტორიას მიეცემა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამ ორგანოს (დსთ-ს თავდაცვის მინისტრთა საბჭო) "მოღვაწეობის პიკის" დროსაც დიდი ეფექტი არ ჰქონია, ყოველ შემთხვევაში - იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც დღეს სხვა სამხედრო ალიანსში (ნატო) გაწევრიანებისკენ ისწრაფვიან.*

გაგრძელება A5 გვერდზე

# რიკოთის გვირაბში მოძრაობა შეიზღუდება

*23 მაისიდან 28 მაისის ჩათვლით, რიკოთის გვირაბში (თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის 142-ე კილომეტრი) მოძრაობა დილის 9 საათიდან საღამოს 19 საათამდე იკრძალება. შეზღუდვები გადაუდებელ სარემონტო სამუშაოებთან დაკავშირებით დაწესდა. აკრძალვის საათებში ავტოტრანსპორტის მოძრაობა შემოვლითი გზით განხორციელდება.*

თამარ დვალი

საბჭოთა პერიოდის შემდეგ, რიკოთის საუღელტეხილო გვირაბში საფუძვლიანი სარემონტო სამუშაოები არ ჩატარებულა. მთლიანად შესაცვლელია განათების სისტემა. როგორც საავტომობილო გზების დეპარტამენტში აცხადებენ, ნათურები, რომელიც ხშირად იწვება, საბჭოთა პერიოდშია გამოშვებული და დღეს ასეთ ნათურებს არც ერთი ქარხანა აღარ უშვებს. საბჭოთა პერიოდისაა ვენტილაციის სისტემაც, რომელიც სამმაგ ელექტროენერგიას მოიხმარს და შესაცვლელია. ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს გვირაბში წყლის გამუდმებული ჟონვა, რის გამოც ხშირია მოკლე ჩართვები. ამის გამო ნადგურდება გზის საფარიც.

მართალია, გარკვეული აღდგენითი სამუშაოები ყოველწლიურად ტარდება, თუმცა, სპეციალისტების თქმით, ეს საკმარისი არ არის. სავარაუდოდ, მიმდინარე წლის შემოდგომაზე გამოცხადდება ტენდერი და ის გამოავლენს კომპანიას, რომელიც რიკოთის გვირაბის სრულ სარემონტო სამუშაოებს ჩაატარებს. ამ საქმისთვის რამდენიმე მილიონი ლარია საჭირო.

ამ ეტაპზე, რიკოთის საუღელტეხილო გვირაბში სარემონტო სამუშაოები ამინდის გაუმჯობესებასთან ერთად დაიწყო. სპეციალისტების თქმით, ზამთრის პერიოდში სამუშაოების წარმოება რეკომენდებული არ არის, რადგან შემოვლითი გზით სარგებლობა, ფაქტობრივად, შეუძლებელია. ასევე, ნალექების გამო გვირაბში სისტემატურად ჟონავს წყალი, რაც სარემონტო სამუშაოების ჩატარებას აფერხებს.

რიკოთის საუღელტეხილო გვირაბში გზის საფარის, განათებისა და სავენტილაციო სისტემების პროფილაქტიკური შეკეთება მიმდინარეობს. მუშაობა მიდის მოძრაობის უსაფრთხოების ღონისძიებების გატარებასა და საორიენტაციო შუქამრეკლების განახლებაზე.

სამუშაოების ჩასატარებლად, სავარაუდოდ, გათვალისწინებულია 25 ათასი ლარი. სამუშაოებს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით აწარმოებს ტენდერში გამარჯვებული შპს "იბოლია" და შპს "ლოჭინი". დაფინანსება სახელმწიფო ბიუჯეტიდან ხდება.

ჩვენს კითხვაზე, სად მიდის თანხა, რომელსაც გვირაბის შესასვლელთან ახდევინებენ მგზავრებს, საავტომობილო გზების დეპარტამენტში გვიპასუხეს, რომ აქამდე ეს ფული საგზაო ფონდში ირიცხებოდა. მას შემდეგ, რაც საგზაო ფონდი გაუქმდა, შემოსული თანხა პირდაპირ ბიუჯეტში შედის, საიდანაც აღდგენითი სამუშაოების პროგრამული დაფინანსება ხდება.

# კონფლიქტის მოგვარების კონცეფციების პირველი საჯარო განხილვა

გუშინ, აფხაზეთის მთავრობისა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს ინიციატივით, აფხაზეთის კონფლიქტის სრულმასშტაბიან მოგვარებასთან დაკავშირებით შემუშავებული კონცეფციების პირველი ღია და საჯარო განხილვა მოეწყო.

აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარის ირაკლი ალასანიას განცხადებით, იგი იმედოვნებს, რომ კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების გზებზე საჯარო და გულწრფელი მსჯელობა ხელს შეუწყობს ქართულ საზოგადოებაში აფხაზეთთან დაკავშირებით ერთიანი მიდგომების საბოლოოდ ჩამოყალიბებას, რაც სრულფასოვანი კონცეფციის საფუძველი გახდება.

ალასანიას თქმით, "საქართველოს შემადგენლობაში აფხაზეთის სტატუსის კონცეფცია", რომლის ავტორები, ექსპერტ პაატა ზაქარეიშვილთან და უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე კოტე კუბლაშვილთან ერთად, სხვებიც არიან, მისთვისაც არ არის ბოლომდე მისაღები და მასაც აქვს სერიოზული და პრინციპული შენიშვნები. მიუხედავად ამისა, ალასანია იმედოვნებს, რომ დისკუსიების შედეგად, აღნიშნული კონცეფცია სხვა კონცეფციებთან შეჯერდება, დაიხვეწება და ქართული საზოგადოება აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების უმნიშვნელოვანეს საკითხებზე კონსენსუსს მიაღწევს.

*ინტერ-პრესი*

# პრეზიდენტი მასობრივი სპორტის განვითარებაზე ზრუნვას იწყებს

პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დარწმუნებულია, რომ ოთხ წელიწადში საქართველო ერთ-ერთ წამყვან სპორტულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბდება. თუმცა, მანამდე სააკაშვილი საქართველოში მასობრივი სპორტის განვითარებაზე იწყებს ზრუნვას. როგორც სპორტის აკადემიაში გუშინ საღამოს მისულმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, ქვეყანაში ახალი სპორტული ბაზებისა და მოედნების მშენებლობას დიდი ყურადღება მიექცევა. პრეზიდენტს მიაჩნია, რომ რეგიონებში ათი, ხოლო თბილისში, მინიმუმ, ხუთი თანამედროვე სპორტული კომპლექსი უნდა გაიხსნას.

პრეზიდენტის თქმით, საჭიროა, რომ ყველა სოფელში, სადაც კი ამის საშუალება იქნება, ერთი საჭიდაო არენა მაინც გაიხსნას. პრეზიდენტი რეგიონების ხელმძღვანელებს აძლევს მითითებას, გაგრძელდეს რაიონულ ცენტრებში საჭიდაო დარბაზებისა და მოედნების მშენებლობა. ეს პროცესი, პრეზიდენტის მითითებით, დედაქალაქშიც უნდა გაგრძელდეს.

ამავდროულად, პრეზიდენტს აუცილებლად მიაჩნია ქვეყანაში არსებული ყველა საცურაო აუზის აღდგენა.

საქართველოს პრეზიდენტისთვის გაუგებარია, რატომ რჩება სპორტკომპლექსი "ქარიშხალა" დღემდე პროფკავშირების საკუთრებაში. მიხეილ სააკაშვილი "პროფკავშირების მაფიოზური დაჯგუფებისთვის ამ დაწესებულების კანონიერი გზით დაუყოვნებლივ ჩამორთმევას" ითხოვს.

*ინტერ-პრესი*

**საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ბიუროს უფროსის**

ლევან სამხარაულის

**ტრაგიკულად დაღუპვის გამო.**

**ლევანი იყო ნიჭიერი იურისტი და ბრწყინვალე ახალგაზრდა. ის იყო ადამიანი, რომელთან ერთადაც 2003 წლის ნოემბერში და შემდეგაც უსამართლობის წინააღმდეგ ვიბრძოდით. სამწუხაროა, რომ მომავალში მის გარეშე მოგვიწევს საქართველოში კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის დამკვიდრების საერთო საქმისათვის ბრძოლა.**

**ასოციაციის წევრები და თანამშრომლები ვიზიარებთ ლევანის ოჯახის წევრებისა და ახლობლების მწუხარებას.**

# ბიუროს "დაძაბული, მაგრამ კონსტრუქციული" დახურული სხდომა

პირველი გვერდიდან

მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება პარლამენტთან შეთანხმებული არ ყოფილა.

სხვათა შორის, თუკი ეს გარემოება ნინო ბურჯანაძის თანაგუნდელებს საკმაოდ აღიზიანებს, უმრავლესობის ნაწილი ამას განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ანიჭებს.

რაც შეეხება რუსეთის ბაზებთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებს, აქაც საგარეო უწყებისა და პარლამენტის შეფასებები განსხვავებულია. თუკი ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მოლაპარაკებებს უშედეგოს უწოდებენ, საგარეო უწყება აცხადებს, რომ ორივე ქვეყნის "სამუშაო ჯგუფებს შორის კონსულტაციები აქტიურად მიმდინარეობს და შედეგი სწორედ ისეთი იქნება, როგორც ეს ქართულ მხარეს სურს".

რაც შეეხება საგარეო საქმეთა მინისტრის აწ უკვე ყოფილი მოადგილის გოგა გომიაშვილის ირგვლივ ატეხილ სკანდალს, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, საპარლამენტო უმრავლესობას მისი კანდიდატურის განხილვის წინ, არანაირი კონკრეტული დირექტივა არ მიუღია. მეტიც - თუკი კენჭისყრა გაიმართებოდა, დეპუტატები საკუთარ არჩევანში თავისუფალი იქნებოდნენ თუმცა გაირკვა, რომ გომიაშვილს პარლამენტში ბევრი არ სწყალობდა. და არა მხოლოდ იმის გამო, რომ იგი სალომე ზურაბიშვილის პროტეჟე იყო. ასე რომ, გუშინდელ სხდომაზე მინისტრის ყოფილი მოადგილე არავის გახსენებია.

საბოლოოდ, სხდომას, რომელიც სამ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა, არანაირი განსაკუთრებული შედეგი არ მოუტანია. როგორც ჩანს, ბრძოლა ორ უწყებას შორის ჯერ არ დასრულებულა. ამ ეტაპზე, შეიძლება ითქვას, მხარეებმა მხოლოდ დროებითი ზავი დადეს.

სხდომის დასრულების შემდეგ კომენტარები საკმაოდ მშვიდობიანი აღმოჩნდა. მინისტრმა განაცხადა, რომ შენიშვნების ნაწილს იზიარებს, ნაწილს - არა, მაგრამ კონსტრუქციული დიალოგი გაგრძელდება. თითქმის ანალოგიური განცხადებები ისმოდა პარლამენტარების მხრიდანაც. მათი თქმით, განსაკუთრებული ყურადღება რუსეთის ბაზებს უნდა დაეთმოს და ორივე უწყებამ კონსტრუქციულად უნდა ითანამშრომლოს.

# "ჩვენ ხელისუფლებაში მოვალთ"

ვერიკო თევზაძე

**"როგორც თქვენ გიყურებთ ახლა, ისე ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენ ხელისუფლებაში მოვალთ სამი ათასკაციან პოლიტიკურ გუნდთან ერთად. ოღონდ, როდის, - თარიღს ნუ მკითხავთ!"** - ეს ხმამაღალი და ამბიციური განცხადება ყოფილ ეროვნულ ძალთა გაერთიანების ყოფილმა თავმჯდომარემ ზვიად ძიძიგურმა მას შემდეგ გააკეთა, როცა აღნიშნული პოლიტიკური ორგანიზაცია და გოჩა ჯოჯუას კონსერვატიული პარტია ოფიციალურად ერთ პარტიად გაერთიანდა და მას "საქართველოს კონსერვატიული პარტია" ეწოდა. პარტიის თავმჯდომარედ აირჩიეს კობა დავითაშვილი, რომელიც ამ არჩევნებში გამარჯვებამდე რამდენიმე წუთით ადრე საზოგადოებას კოალიციური მთავრობის იდეით წარუდგა: **"ჩვენ როცა ხელისუფლებაში მოვალთ, აუცილებლად შევქმნით კოალიციურ მთავრობას."** დავითაშვილ-ძიძიგურის დუეტი კვლავ უცვლელია: პირველი თავმჯდომარეა, მეორე - თანათავმჯდომარე.

საქართველოს კონსერვატიული პარტიის მესვეურები აცხადებენ, რომ მათი პარტიის სახით საქართველოში დამკვიდრდება ახალი რეალობა, როცა პოლიტიკური ორგანიზაცია ჭეშმარიტ დემოკრატიულ პრინციპებზე იქნება დაფუძნებული. **"პარტიაში ყველაფერი არჩევის წესით მოხდება. ჩვენთან განსხვავებული აზრი არა თუ იკრძალება, პირიქით - მივესალმებით,"** - ასეთია კობა დავითაშვილის პოზიცია. დავითაშვილის გამოსვლაში იყო გარკვეული მინიშნებები ხელისუფლებისადმი: **"პარტიაში არავის ბედი არ იქნება დამოკიდებული პიროვნულ სიმპათიებზე და იმაზე, თუ ვინ ვისი ერთგულია."**

ზვიად ძიძიგურმა ფრჩხილები გახსნა და პირდაპირ თქვა ის, რასაც კობა დავითაშვილი გულისხმობდა: "ჩვენ დავამკვიდრებთ ახალ რეალობას, რომელიც დამყარებული იქნება ჭეშმარიტ დემოკრატიულ ღირებულებებზე. ეს იქნება ახალი ტიპის პარტია, რომელიც რადიკალურად განსხვავდება დღევანდელი მმართველი პარტიის პრინციპებისგან, სადაც ყველაფერი ერთ ადამიანზეა დამოკიდებული და ამგვარი განწყობა არსებობს: **"დიდო მიშა, რასაც შენ იტყვი, ის არის ჭეშმარიტება, შენ ხარ ჩვენი მზე და მთვარე."**



*"კონსერვატორების" მიზანია, რომ მათი პარტიის სახით საქართველოში დამკვიდრდეს ახალი რეალობა, როცა პოლიტიკური ორგანიზაცია ჭეშმარიტ დემოკრატიულ პრინციპებზე იქნება დაფუძნებული.*

პარტიის თავმჯდომარის განცხადებით, საქართველოს კონსერვატიული პარტია კონსტრუქციული ოპოზიცია იქნება, ხელისუფლებას კარგს შეუქებს, ავს კი გააკრიტიკებს. თუმცა, გუშინ დავითაშვილი მხოლოდ კრიტიკით შემოიფარგლებოდა. **"დღეს ჩვენი ქვეყანა იმართება არა კანონით, არამედ პიროვნებების მიერ. ბუში რომ საუბრობდა, ეჭვი შემეპარა, "ნაციონალური მოძრაობის" წინასაარჩევნო პროგრამას ხომ არ გაეცნო და დანაპირების შესრულება ხომ არ შეგვახსენათქო... დღეს ქართული არმია სამ სხვადასხვა მდგომარეობაში იმყოფება. ამერიკელების გაწვრთნილი ნაწილების პარალელურად არსებობს ძველი საბჭოთა პერიოდის ტიპის ჯარი, სადაც ისევ აწუხებთ საპნის და საკვების პრობლემა. მესამე - ეს გახლავთ დეპუტატებისა და რაიონის გამგებლებისგან დაკომპლექტებული მხიარული რეზერვისტები, რომლებიც წელიწადში ერთხელ სანადიროდ და სათევზაოდ მიდიან ყველაზე კარგ ადგილებში,"** - აცხადებს დავითაშვილი და დასძენს, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ სწორი მიზანი აირჩია, მაგრამ - არასწორი გზა ამ მიზნის მისაღწევად: **"რეკეტის გზით მოპოვებული ფულით არმიას ვერ ააშენებ. პირველი რიგის ამოცანა უნდა იყოს ეკონომიკის აღმავლობა და ამას უნდა მოჰყვეს არმიის მშენებლობა."** კობა დავითაშვილმა გუშინ ისიც აღნიშნა, რომ მაღალჩინოსნებისათვის წართმეული ფულის ორი მესამედიც კი არ არის შესული სახელმწიფო ბიუჯეტში: **"ეს ფული განაწილებულია იმ შავ ფონდებში, რომელიც შექნილია პრეზიდენტთან და ძალოვან სტრუქტურებთან. ხსენებული თანხა რაზე იხარჯება, კაცმა არ იცის."**

საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის წარმომადგენელმა საქართველოში დიმიტრი შაშკინმა საქართველოს კონსერვატიულ პარტიას აშშ-ს სენატორ მაკკეინის სალამი და კეთილი სურვილები გადასცა.

ახალი პარტიის პირველი ყრილობა პარტიის სარევიზიო კომისიის დამტკიცებით, ეროვნული კომიტეტის წევრების არჩევით, და კიდევ, დროშებით და ეროვნული ჰანგებით დასრულდა.

# რკინიგზა შეღავათებს ითხოვს

ამ დღეებში შპს "საქართველოს რკინიგზა" უკრაინისა და ბულგარეთის რკინიგზების ხელმძღვანელებს, ფოთის, ბათუმისა და ილიჩევსკის პორტების წარმომადგენლებს მასპინძლობდა. მხარეებმა ვარნა-ფოთი/ბათუმი-ილიჩევსკის საბორნე-სარკინიგზო მიმოსვლის საერთო ექსპლუატაციის დროებით შეთანხმებას მოაწერეს ხელი. შეხვედრაზე ილიჩევსკი-ვარნასა და ვარნა-ფოთი-ბათუმი-ილიჩევსკის საბორნე მიმოსვლის ექსპლუატაციის პირობების წესები შეაჯერეს. იმსჯელეს, აგრეთვე, სატარიფო პოლიტიკის, ვაგონების გამოყენებისა და ურთიერთანგარიშსწორების საკითხებზე. ფოთი-ბათუმი-ილიჩევსკის სარკინიგზო-საბორნე მარშრუტზე ტვირთების მოზიდვის მიზნით, საქართველოს რკინიგზამ ურთიერთშეღავათების დაწესება მოითხოვა. გარდა ამისა, "საქართველოს რკინიგზამ" მოითხოვა არათანაბარი პირობების გათვალისწინება და უკრაინის კუთვნილი სატვირთო ვაგონების გამოყენების დროს, საქართველოს რკინიგზის საურავისგან გათავისუფლება. აღნიშნული საკითხი, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, საქართველოსა და უკრაინის რკინიგზების ხელმძღვანელ პირთა შეხვედრაზე გადაწყდება.

*მედიანიუსი*

# ჰოლანდიელთა სტუმრობა ფოთში

ქეთინო ჭაკობია

გასული წლის ოქტომბერში სანდრა რულოვსის ინიციატივითა და პატრონაჟით ფოთის საზღვაო ნავსადგურის დელეგაცია ჰოლანდიის ქალაქ ტერნოიზენს სტუმრობდა. ვიზიტისას ხელი მოეწერა ფოთის პორტსა და ჰოლანდიურ "ზიილანდ სიიპორტს" შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს. 20-21 მაისს საპასუხო ვიზიტით ფოთში ჰოლანდიელი სტუმრები იმყოფებოდნენ. ამავე დღეებში ქალაქს ქვეყნის პირველი ქალბატონიც სტუმრობდა. ვიზიტი ძირითადად გაცნობითი ხასიათისა იყო. ჰოლანდიელები დაინტერესდნენ ფოთის პორტის ინფრასტრუქტურით, ტვირთბრუნვითი მაჩვენებლებით, სტატისტიკური მონაცემებითა და მიმდინარე რეფორმებით. ადგილზე გაეცნენ ცალკეული ტერმინალების, ნავმისადგომების ფუნქციონირების პრინციპებს; გაიმართა შეხვედრები მოიჯარე ფირმების წარმომადგენლებთან.

ჰოლანდიელები პრესასთან ერთობლივი პროექტების შესახებ არ საუბრობდნენ, ისინი მხოლოდ კმაყოფილებას გამოხატავდნენ მიღებით და ჩამოსვლის მიზეზს ორ ნავსადგურს შორის კონტრაქტის გამყარებით ხსნიდნენ.

"დელეგაციის ნაწილი კიდევ სამი დღე დარჩება ფოთში, დაგეგმილია საქმიანი შეხვედრები, სადაც უკვე კონკრეტული პროგრამები განიხილება. ჰოლანდიელებმა უსაფრთხოების მიმართულებით უკვე გაგვიწიეს დახმარება, ახლა ძირითადად ტექნოლოგიების დახვეწის თვალსაზრისით გვაქვს მათი გამოცდილების გაზიარებისა და დახმარების იმედი," - განაცხადა შპს "ფოთის საზღვაო ნავსადგურის" გენერალურმა დირექტორმა თემურ მიმინოშვილმა.

"ზიილანდ სიიპორტი" ჩემს მშობლიურ ქალაქშია. გარდა ნავსადგურში გამართული საინტერესო პრეზენტაციებისა, მე ფოთში სხვა პროექტებიც მაქვს. რამდენიმე დღეა, საქველმოქმედო-ჰუმანიტარული ორგანიზაცია "სოკოს" ეგიდით მოსახლეობის უფასო სამედიცინო გასინჯვები მიმდინარეობს," - აღნიშნა სანდრა რულოვსმა.

ფოთში ვიზიტის ბოლო ღონისძიება მინი-ფეხბურთში ამხანაგური მატჩი გახლდათ. "ფოქსკიდსის" თასზე ქალაქის პირველობაზე უბნებს შორის შეჯიბრებას ქვეყნის პირველი ქალბატონი და ჰოლანდიელი სტუმრები გულშემატკივრობდნენ.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს შეიარაღებული ძალების კოჯრის სპეციალური დანიშნულების ბრიგადას თურქეთის მთავრობა მილიონ რვაასი ათასი დოლარის ღირებულების სამხედრო ტექნიკას და აღჭურვილობას გადასცემს. თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, "თურქეთის რესპუბლიკის სამხედრო თანამშრომლობისა და კოორდინაციის საბჭო" კოჯრის ბრიგადას "ლენდ კრუიზერის" მარკის 36 ავტომანქანას, 4 საველე სამზარეულოს, კომპიუტერებს, ტანსაცმელს და ბრიგადის კეთილმოწყობისთვის საჭირო ტექნიკას გადასცემს. დახმარების გადაცემის ცერემონია კოჯრის ბრიგადის ტერიტორიაზე დღეს გაიმართება. ცერემონიას თურქეთისა და საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბების ხელმძღვანელები დაესწრებიან. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის პრეზიდენტი სერგეი ბაგაფში მისი და პრემიერ-მინისტრ ალექსანდრე ანქვაბის მოსკოვში ვიზიტს "წარმატებულს" უწოდებს და "აფხაზეთის ეკონომიკის აღორძინების საქმეში" რუსი და აფხაზი ბიზნესმენების თანამშრომლობაზე დიდ იმედს ამყარებს.

ბაგაფშის განცხადებით, მოსკოვში ვიზიტისას მათ რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებთან აფხაზეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების და რუსეთისა და აფხაზეთის ბიზნეს-სტრუქტურების თანამშრომლობის საკითხები განიხილეს. ბაგაფშის ინფორმაციით, საუბარი ასევე შეეხო აფხაზეთში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების საპენსიო უზრუნველყოფის, პენსიების დანიშვნის პროცედურის გამარტივებისა და პენსიონერთა კატეგორიის გაფართოების პერსპექტივებს. ბაგაფში იმედოვნებს, რომ აფხაზეთისა და რუსეთის ხელისუფლებებისა და ბიზნესმენების თანამშრომლობის შედეგად, 2005 წლის საკურორტო სეზონი უფრო ორგანიზებულად ჩაივლის და აფხაზეთში ინფრასტრუქტურისა და საავტომობილო გზების გაუმჯობესებას მყარი საფუძველი ჩაეყრება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დღეს ორდღიანი ვიზიტით ბაქოში გაემგზავრება. ვიზიტის პირველ დღეს საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის პირისპირ შეხვედრა გაიმართება. 25 მაისს კი, სანგაჩალში, საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის პრეზიდენტები ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენში ნავთობის პირველ ნაკადს საზეიმოდ გაუშვებენ. მოგვიანებით, მიხეილ სააკაშვილი ბაქოში ასევე ვიზიტით ჩასულ ყაზახეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ნურსულთან ნაზარბაევს შეხვდება. თბილისში დაბრუნების წინ კი, პრეზიდენტი შეხვედრას ამერიკის შეერთებული შტატების ენერგეტიკის მინისტრთან სამუელ ბოდმანთან გამართავს. მიხეილ სააკაშვილი საქართველოში 25 მაისს საღამოს დაბრუნდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (სებ) ორშაბათს მე-13, 28-დღიანი და მე-14, 56-დღიანი აუქციონები გამართა. 28-დღიან აუქციონში მონაწილეობდა ერთი კომერციული ბანკი, შესაბამისად, დაკმაყოფილდა ერთი განაცხადი, თანხით 2 000 000 ლარი. დაფიქსირდა წლიური 5-პროცენტიანი განაკვეთი. 56-დღიანი სადეპოზიტო აუქციონის საპროცენტო განაკვეთმა 6 პროცენტი შეადგინა. მონაწილეობა მიიღო ერთი კომერციული ბანკის მიერ წარმოდგენილმა ერთმა განაცხადმა, თანხით 1 000 000 ლარი. სებ-ის ცნობით, ორშაბათს მე-15 84-დღიანი სადეპოზიტო აუქციონიც უნდა ჩატარებულიყო, თუმცა მაღალი საპროცენტო განაკვეთის წარმოდგენის გამო, კომერციული ბანკები არ დაინტერესდნენ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მაისის ბოლოს საქართველოს, ორდღიანი ვიზიტით, ცნობილი ფინანსისტი ჯორჯ სოროსი ეწვევა. "ღია საზოგადოება - საქართველოს" დირექტორის მოადგილის ნინო ჩინჩალაძის ინფორმაციით, ეს ჩვეულებრივი სამუშაო ვიზიტია, რომლის მიზანია ფონდის თანამშრომლებთან შეხვედრა. გარდა ამისა, წელს სოროსის ფონდს საქართველოში 10 წელი უსრულდება და მისი დამფუძნებელი ასევე ამ თარიღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში მიიღებს მონაწილეობას. ჯერჯერობით უცნობია, შეხვდება თუ არა ჯორჯ სოროსი ხელისუფლების წარმომადგენლებს. როგორც ფონდში განაცხადეს, ეს პირადად მისი გადასაწყვეტია. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ფინანსთა სამინისტროს საჯარო მოხელეების მიერ კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის შემთხვევაში, საქართველოს თითოეულ მოქალაქეს საშუალება ექნება, მათი უფლებების დარღვევის შესახებ ფინანსთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის ცხელ ხაზზე - 22-09-24 დარეკოს. სამინისტროში ცხელი ხაზი 21 მაისიდან ამოქმედდა და დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე იმუშავებს. როგორც ფინანსთა სამინისტროს ადმინისტრაციული სამმართველოს სპეციალისტმა ქეთევან მინაშვილმა განაცხადა, სისტემის თანამშრომლების მიერ უკანონო ქმედების გამოვლენის შემთხვევაში, გენერალური ინსპექცია საქმის გამოკვლევას დაიწყებს. ანონიმურობა დაცული იქნება. გენერალურ ინსპექციაში დღეისათვის 20-მდე ზარია დაფიქსირებული. თუ ზარების რაოდენობა გაიზრდება, ცხელი ხაზი მომსახურების 24-საათიან რეჟიმში გადავა. **მედიანიუსი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# სტივენ სესტანოვიჩი: საქართველომ აჩვენა პოლიტიკური, სოციალური და ინტელექტუალური დინამიზმი

პირველი გვერდიდან

ეს მესიჯი კი, რა თქმა უნდა, გავლენას იქონიებს საქართველო-ამერიკის მომავალ ურთიერთობებზე.

**- პრეზიდენტ ბუშის ვიზიტის შემდეგ სენატმა ერთხმად მიიღო რეზოლუცია, სადაც მხარი დაუჭირა რუსეთის ბაზების გაყვანას საქართველოდან. ნიშნავს თუ არა ეს, რომ ამ ვიზიტის შემდეგ ამერიკის ხელისუფლებისთვის საქართველო უფრო აქტუალური გახდა?**

- ვწუხვარ, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ სენატის რეზოლუციებს ძალიან ხშირად არანაირი ეფექტი არ მოაქვს. თუმცა, ვფიქრობ, რომ რუსეთის დღევანდელი პოლიტიკა ამტკიცებს კონსენსუსს ამერიკის დედაქალაქში, ისევე როგორც ევროპის დედაქალაქებში - რომ რუსეთი მხოლოდ მაშინ შეცვლის თავის პოლიტიკას საქართველოს მიმართ, თუ ის ყოველდღიურად მოისმენს ხმამაღალ პრეტენზიებს და იგრძნობს ზეწოლას მსოფლიოს ლიდერების მხრიდან.

ცხადია, რომ რუსეთის ბიუროკრატიას არ სურს ამ პრობლემის მოგვარება. მას უნდა, შეინარჩუნოს ბაზები საქართველოს ტერიტორიაზე. ეს პრობლემა მხოლოდ მაშინ შეიძლება გადაწყდეს, თუ პუტინისთვის ნათელი გახდება, რომ სხვა ქვეყნები მის პოლიტიკას საქართველოს მიმართ, რბილად რომ ითქვას, არალეგიტიმურად აღიქვამენ.

**- როცა ზეწოლაზე საუბრობთ, რა ტიპის ზეწოლას გულისხმობთ. რადგან, როგორც თავადაც აღნიშნეთ, რეზოლუციებით და განცხადებებით რეალური შედეგის მიღწევა შეუძლებელია. მით უმეტეს, როცა ვლაპარაკობთ რუსეთის პოლიტიკის შეცვლაზე?**

- მართალია. პუტინმა ეს პრეტენზიები უნდა მოისმინოს მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ლიდერებისაგან მათთან ყოველი შეხვედრის დროს. ეს პრეტენზიები მკაცრად უნდა იყოს ფორმულირებული და არა ასეთ ტონში ნათქვამი - კარგი იქნებოდა, თუ ეს პრობლემა მოგვარდებოდა და ასე შემდეგ.

რუსეთის პოლიტიკა საქართველოსთან არათანმიმდევრული, არალეგიტიმურია და წინააღმდეგობაში მოდის საერთაშორისო სამართლის ნორმებთან. თუ კრემლი ისევ განაგძობს ამ პოლიტიკას, მაშინ მსოფლიო არენაზე მისი პოზიციები, მისი რეპუტაცია და იმიჯი საგრნობლად გაუარესდება.

ზოგჯერ ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამ ტიპის ზეწოლა მნიშვნელოვანი არ არის და შედეგი არ მოაქვს, მაგრამ, რეალურად, საკითხი დგას ასე - რამდენად დიდი გახდება ეს პრობლემა პუტინისთვის და რამდენად გააფუჭებს ის თუნდაც მის პირად ურთიერთობებს მსოფლიოს წამყვან ლიდერებთან.

**- თუმცა, ძალიან ძნელი წარმოსადგენია, რომ, მაგალითად, შირაკმა და შრიოდერმა პირადი ურთიერთობები პუტინთან საქართველოს გულისთვის გაიფუჭონ.**

- მართალი ხართ, მაგრამ დღეს ევროპის ქვეყნების ლიდერებს შორის კონსენსუსი რუსეთის პოლიტიკაზე გაცილებით უფრო მყარია, ვიდრე ეს რამდენიმე წლის წინ იყო. 10 დღის წინ მე ვესაუბრე ევროკომისიის მაღალი თანამდებობის პირს და მისი შეხედულებები იდენტურია იმისა, რაზეც ახლა ვსაუბრობ.

როცა ევროპაში ბუშის ვიზიტზე ვფიქრობდი, ყველაზე მეტად იმან გამაოცა, თუ როგორ შეიცვალა ევროპა ბოლო 10 წლის განმავლობაში. როდესაც პრეზიდენტი კლინტონი ჩასული იყო ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 50 წლისთავზე მოსკოვში 1995 წელს, მაშინ არც ევროპის კავშირსა და არც ნატოს ახალი წევრები არ ჰყოლია. ახლა ნატოს მიზიდულობის ცენტრი აღმოსავლეთშია და არა დასავლეთში. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ინტელექტუალური ელიტა და პოლიტიკური ლიდერები აცნობიერებენ, რომ ისინი აღარ არიან უბრალოდ პატარა ქვეყნები, დასავლეთსა და რუსეთს შორის მოქცეულნი. არამედ ისინი დღეს ამერიკის სრულფასოვანი პარტნიორები არიან. ეს კი ძალიან დიდი ცვლილებაა.

პოლონეთი, მაგალითად, უკვე აღარ ლაპარაკობს ამერიკის შეერთებულ შტატებთან, როგორც ქვეყანა, რომელსაც თავისი სპეციფიური ინტერესები აქვს და ამ ინტერესების დაცვას ცდილობს. ის დღეს ლაპარაკობს, როგორც ამერიკის პარტნიორი.

ბუნებრივია, ეს ეხება ბალტიისპირეთის რესპუბლიკებსა და სხვა ქვეყნებსაც. ეს კი თავის შედეგს მომავალში აუცილებლად გამოიღებს.

ვინ აიღო ლიდერობა მაშინ, როდესაც საჭირო იყო რუსეთის აგრესიული პოლიტიკის შეჩერება უკრაინაში? - პოლონეთმა და ბალტიისპირეთის ქვეყნებმა. ვინ ყოყმანობდა და ვის უჭირდა გადაწყვეტილების მიღება? - რამდენიმე ძირითად ევროპულ ქვეყანას.

ცვლილებები ევროპის ორი უმთავრესი ინსტიტუტის, ნატოსა და ევროკავშირის კომპოზიციაში ფუნდამენტურია იმისათვის, რომ მათ წინააღმდეგობა გამოხატონ რუსეთის დღევანდელი პოლიტიკისადმი, რომელსაც ის თავისი მეზობლების მიმართ ახორციელებს.

მე ვფიქრობ, სამართლიანი იქნება იმის აღნიშვნა, რომ რუსეთი დღეს უფრო იზოლირებულია ევროპისაგან, ვიდრე ოდესმე საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს ტენდენცია კარგად გავაანალიზოთ, რადგან ურთიერთობები დიდ სახელმწიფოებს შორის უკვე აღარ ყალიბდება მხოლოდ საფრანგეთისა და გერმანიის ხედვასა და მიდგომებზე დაყრდნობით.

როდესაც ევროკავშირი ჩამოაყალიბებს თავის პოლიტიკას რუსეთთან მიმართებაში, ეს პოლიტიკა აუცილებლად ასახავს ევროპული ქვეყნების ხედვას და რუსული პოლიტიკის მათეულ აღქმას. ეს ხედვა კი მნიშვნელოვნად განსხვავდება საფრანგეთისა და გერმანიის ლიდერების შეხედულებებისაგან.

**- 9 მაისს მოსკოვში ლენინისა და სტალინის პორტრეტების სიუხვე და თვითონ პუტინის გამოსვლა კიდევ ერთი ნათელი დასტური გახდა იმისა, რომ რუსეთი უკან, საბჭოთა დროში ბრუნდება და ეს ტენდენცია საკმაოდ შეუქცევად ხასიათს ატარებს. რა უნდა მოხდეს ისეთი, რომელიც ამ პროცესებს შეაჩერებს და რუსეთის ელიტას აჩვენებს, რომ ცვლილებების დრო დადგა?**

- მე ვფიქრობ, რომ ეს იქნება იზოლაციის განცდა. ეს განცდა კი ქვედინებასავით გასდევდა იმ მოვლენებს, რომელთა მოწმეც ჩვენ ევროპაში პრეზიდენტ ბუშის ვიზიტის დროს გავხდით.

ერთი მხრივ, ჩანდა, რუსეთი განაგძობს იმის მტკიცებას, რომ მეორე მსოფლიო ომის მოგება მას აძლევს ლეგიტიმურ უფლებას და მყარ პოზიციას, რათა გავლენა მოახდინოს ევროპის საქმეებზე. მიუხედავად იმისა, რომ ეს 60 წლის წინ მოხდა. მეორე მხრივ, ჩვენ ვხედავთ, რამდენად მნიშვნელოვანი ევოლუციური პროცესები მოხდა ევროპაში სწორედ ამ 60 წლის, განსაკუთრებით კი ბოლო 15 წლის განმავლობაში. ბოლო 15 წელმა ძირი გამოუთხარა რუსეთის ძალაუფლებასა და სურვილს, მართოს ევროპა, რაც, მისი აზრით, მას 1945 წლის გამარჯვებამ მისცა.

ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ 1989 და 1991 წლებმა გადააფასა 1945 წელი. და ეს პროცესი დღემდე გრძელდება. პუტინი დღეს ცდილობს, რომ ამ ტრანსფორმაციას ხელი შეუშალოს, რადგან იყო ევროპის ნაწილი, დღეს ნიშნავს, აღიარო არჩევანის თავისუფლებისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის ის უფლება, რომელიც მის მეზობელ პატარა სახელმწიფოებს გააჩნიათ. რუსეთი კი ჯერ აქამდე ვერ მომწიფდა. მაგრამ ეს მაინც გარდაუვალი პროცესია.

თუ რუსეთს უნდა, იყოს იზოლირებული, ეს მისი უფლებაა, მაგრამ ამის ფასი - იქნება ეს ფსიქოლოგიური, პოლიტიკური თუ ეკონომიკური - ძალიან ძვირი აღმოჩნდება.

**- როგორც ამბობენ, "კაგებეს" აგენტები ვერ იცვლებიან. ცვლილებებისათვის ახალი თაობაა საჭირო და როგორც ზბიგნევ ბჟეჟინსკის ხშირად უყვარს გამეორება, ეს ახალგაზრდა თაობა აუცილებლად შეცვლის რუსეთის მომავალს. მაგრამ დღეს მთავარია კითხვა, სად არის ეს თაობა. რატომ არავინ ჩანს რუსულ პოლიტიკურ ლანდშაფტზე ისეთი, ვინც ამ ცვლილებების იმედს კიდევ უფრო გაამძაფრებდა და ხელშესახებს გახდიდა?**

- პუტინი ჯერჯერობით ისევ იღებს იმ სარგებელს, რომელიც ელცინის დროინდელმა უწესრიგობამ მოუტანა. მას შეუძლია წესრიგის შეგრძნების შექმნა იმ ხერხებით, რომლითაც ის აგვარებს თავის პოლიტიკურ და ეკონომიკურ პრობლემებს. მაგრამ ამისგან უსაზღვროდ სარგებელის მიღება შეუძლებელია. ეკონომიკაში გარკვეული წარმატებების მიღწევის პარალელურად, რუსეთის საერთაშორისო პოზიციები თანდათან სუსტდება.

ეს კი აუცილებლად გამოიწვევს რუსეთის ელიტის უკმაყოფილებას.

რუსეთის ახალგაზრდა ელიტა არ არის კმაყოფილი იმ მეთოდებით, რომელსაც პუტინი საგარეო პოლიტიკაში იყენებს. მე ვფიქრობ, რომ რუსეთის იზოლაცია ცივილიზებული მსოფლიოსაგან არ შედის ამ ელიტის ინტერესებში. იგი მხოლოდ ძველი უშიშროების სამსახურის ისტებლიშმენტის ინტერესებს ემსახურება. ეს კი აუცილებლად შეიცვლება.

**- მაგრამ სანამ ცვლილებები დაიწყება, რუსეთის ბოლო იმედად ის ყოფილი საჭოთა რესპუბლიკები რჩება, რომელთაც ავტორიტარული რეჟიმები მართავს. ეს ლიდერები დღეს, რუსეთის ინტერესების სასარგებლოდ, თავიანთ ქვეყანაში დემოკრატიის გავრცელებას ყველანაირი ხერხებით შეეწინააღმდეგებიან. რამდენიმე ხნის წინ უზბეკეთში განვითარებულმა მოვლენებმა აჩვენა, რომ კარიმოვი საკუთარი ხალხის დახვრეტასაც კი არ მოერიდება მასობრივი მღელვარების შემთხვევაში.**

- ავტორიტარულ რეჟიმებს ცენტრალურ აზიაში და სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში სურთ, მსოფლიოს აჩვენონ, რომ თავიანთ ქვეყნებში ისინი სტაბილურობის ერთადერთ გარანტებად რჩებიან.

მაგრამ ის, რასაც ჩვენ ახლა ვხედავთ უზბეკეთში, კიდევ ერთი ნათელი დასტურია იმისა, რომ ასეთი სტაბილურობა მირაჟია და სხვა არაფერი. ის არ არის დამყარებული რეალურ სოციალურ კონსენსუსზე და ამ ქვეყნების ლიდერების პოლიტიკურ ლეგიტიმურობაზე. ეს კი ნიშნავს, რომ ყოველთვის შეიძლება მოხდეს დიდი "აფეთქებები" ისეთ ქვეყნებში, სადაც არ არსებობენ ლიდერები, რომლებიც ცდილობენ საზოგადოებაში კონსენსუსის მიღწევასა და დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობას.

საქართველოსა და უკრაინის მაგალითმა შთააგონა ხალხი ვაშინგტონში, რომ დემოკრატია შესაძლებელია ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში. ის, რაც ახლა უზბეკეთში ხდება, არ უნდა გახდეს იმის საბაბი, ვინმემ იფიქროს, რომ დემოკრატიისთვის ბრძოლა ძალიან საშიშია. პირიქით, ეს უნდა გახდეს იმის დასტური, რომ ავტორიტარული რეჟიმები არასტაბილურობის კერაა.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ისე როგორც იმ ქვეყნებმა, რომლებიც უზბეკეთში განვითარებული მოვლენების შედეგებს თავის თავზეც იგრძნობენ (მაგალითად, საქართველომ), სწორად შეაფასოს ეს მოვლენები და საჯარო დისკუსიები გამართოს იმაზე, როგორ მიჰყავს ავტორიტარულ რეჟიმებს ქვეყნები ძალადობამდე და კონფლიქტამდე.

ამ კონტექსტში ძალიან მნიშვნელოვანია კითხვა - მოიქცევა თუ არა აზერბაიჯანის პრეზიდენტი ისე, როგორც იქცევიან ცენტრალური აზიის ლიდერები, თუ ის საქართველო-უკრაინის მოდელს აირჩევს.

ჩვენს - ისევე როგორც საქართველოს - ინტერესებშია, რომ აზერბაიჯანში არ ვნახოთ ის შედეგები, რომელსაც დღეს უზბეკეთში ვხედავთ. იმედია, რომ ეს ასე არც მოხდება, რადგან აზერბაიჯანში უფრო თანამედროვე სისტემა მოქმედებს და პოლიტიკური ელიტის ლიდერები უფრო თანამედროვედ აზროვნებენ.

**- "ვარდების რევოლუცია" საქართველოში თავისუფლებისა და დემოკრატიისთვის ბრძოლის მხოლოდ დასაწყისი იყო. მაგრამ, ვაშინგტონში თანდათან ფეხს იკიდებს მოსაზრება, რომ დემოკრატიის თვალსაზრისით საქართველოში ყველაფერი ისე კარგად არ მიდის, როგორც ეს საჭიროა. რა არის ის პრობლემები, რომლებზეც აქ ყველაზე ხშირად საუბრობენ?**

- ეს თქვენთვის კარგად ნაცნობი პრობლემებია, რადგან ამ პრობლემებზე პირველ რიგში საქართველოში ლაპარაკობენ. ჩვენ არა გვაქვს რამე საიდუმლო ანალიზი იმის შესახებ, რაც თქვენს ქვეყანაში ხდება. ჩვენ ვიცით, არსებობს პრეტენზიები, რომ პარლამენტი არ არის პლურალისტური, პრობლემებია მედიაში, ისევე როგორც სამოქალაქო საზოგადოებაში. ახლა ჩვენ ვცდილობთ, შევაფასოთ, არის ეს ჩვეულებრივი პრეტენზიები, რომელიც ყველა დემოკრატიას ახასიათებს თუ სახეზეა მართლაც ძალაუფლების ზედმეტი კონსოლიდაცია, რაც დემოკრატიისთვის საფრთხის შემცველი შეიძლება იყოს.

მე არა მგონია, რომ დღეს ვაშინგტონში ვინმეს მყარად ჰქონდეს ჩამოყალიბებული პოზიცია ამ საფრთხეებზე. რადგან ყველამ იცის, რომ საქართველოს ისეთი პროლემები აქვს, რომელთა გადაჭრა მხლოდ საზოგადოების ძლიერი კონსენსუსითა და კონსოლიდაციითაა შესაძლებელი.

და თუ ძალაუფლების ეს კონსოლიდაცია არ შეიცავს საფრთხეს, რომელიც მომავალში პრობლემებს შეუქმნის დემოკრატიას, მაშინ ამერიკაში აღელვების საფუძველიც არ იქნება.

**- დღეს რა არის საქართველოს მთავარი ღირებულება - მისი სწრაფვა დემოკრატიისაკენ თუ მისი გეოპოლიტიკური მდებარეობა.**

- ორივე. რადგან პატარა ქვეყნისთვის ძალიან ძნელია, ამერიკის შეერთებული შტატებისთვის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა შეინარჩუნოს, თუ მას დემოკრატიული ფასეულობები არ გააჩნია.

საქართველოსთან ჩვენმა ურთიერთობამ აჩვენა, რომ მაშინაც კი, როდესაც პატარა სახელმწიფო ხარ, თუ შენ ატარებ იგივე ღირებულებებს და გაქვს იგივე ხედვა, ამერიკის შეერთებული შტატების თანასწორუფლებიანი პარტნიორი ხარ.

მე ვფიქრობ, რომ საქართველომ აჩვენა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური, სოციალური და ინტელექტუალური დინამიზმი, რომელსაც ადგილი აქვს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში. და ეს თავის შედეგს აუცილებლად მოიტანს, თვითონ რუსეთის შიგნითაც. რადგან, რუსებს აღარ უნდათ, რომ მათ განიხილავდნენ, როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაწილს, რომელიც მოდერნიზაციის წინააღმდეგ იბრძვის.

*ინტერვიუს მომზადებაში გაწეული დახმარებისთვის რედაქცია უღრმეს მადლობას უხდის "თი ბი სი ბანკს".*




ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან

რადიო „მწვანე ტალღა" თავისუფალი აზრის რადიო FM 107.4

ამომავალი მზის ქვეყანა

სტუმარი: თამუნა იოსელიანი (ხელოვნებათმცოდნე)

საქართველოს ტელეკომი

TELECOM GEORGIA

ახალი დაბალი ტარიფები

თქვენ სარგებლობთ საერთაშორისო საუბრებით და:

- გსურთ არ გქონდეთ დავალიანება ტელეფონზე;
- გათიშული გაქვთ 8-იანი;
- ან უბრალოდ გინდათ მნიშვნელოვნად დაზოგოთ ფული...

„საქართველოს ტელეკომი" გთავაზობთ ტელეკომბარათით მომსახურებას:

ყველაზე დაბალი ტარიფი საერთაშორისო საუბრებზე (24სთ-ის განმავლობაში):

დროის წამობრივი აღრიცხვა

აშშ

რუსეთი

ევროპა (ფიქსირებულ ტელეფონზე)

მხოლოდ 30თ.

ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები

8-10

ბარათები შეიძინეთ „საქართველოს ტელეკომის" საკომუნიკაციო ცენტრებსა და ანგარიშსწორების პუნქტებში

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge


# პარლამენტში "საბრძოლო" განწყობაა



*დეპუტატებს უკმაყოფილების მიზეზს რა გამოულევს.*

გიორგი ასანიშვილი

გუშინ სალომე ზურაბიშვილს ორ ფრონტზე მოუხდა ბრძოლა: შუადღისას საგარეო საქმეთა მინისტრი რუს დიპლომატებთან სამხედრო ბაზების გაყვანის საკითხს არკვევდა, საღამოს კი - პარლამენტში, ბიუროს სხდომაზე, დეპუტატების კითხვებზე პასუხობდა. თავდაპირველად დაგეგმილი იყო, რომ ზურაბიშვილი საკანონმდებლო ორგანოში 15 საათზე გამოცხადებულიყო, მაგრამ პარლამენტის თავმჯდომარესთან მისი კონსულტაციების შემდეგ გადაწყდა, რომ მინისტრთან დეპუტატების შეხვედრა მოგვიანებით, მას შემდეგ გაიმართებოდა, როდესაც რუსულ მხარესთან მოლაპარაკებების კონკრეტული შედეგები უკვე ცნობილი იქნებოდა.

საგარეო საქმეთა მინისტრთან "ბრძოლაში ჩაბმამდე", კანონმდებლები მთავრობის საპარლამენტო მდივანთან, გიორგი ხუროშვილთან სხვადასხვა სადავო საკითხებს არკვევდნენ. მათი პოზიციების დაახლოება ვერ მოხერხდა, რადგან ორივე მხარე თავის სიმართლეში ღრმად არის დარწმუნებული. კერძოდ, აღმასრულებელი ხელისუფლება უკან დახევას არ აპირებს "სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" კანონში ცვლილებების შეტანის საკითხში, რომელიც ფინანსთა და იუსტიციის მინისტრებისთვის საიდუმლო ნორმატიული აქტის გამოცემის უფლების მინიჭებას გულისხმობს.

მთავრობა ასევე შეუვალია, როდესაც დეპუტატები ითხოვენ, რომ ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მივლინებით წარგზავნილ ჟურნალისტებს ომის ვეტერანის სტატუსი მიენიჭოთ. გიორგი ხუროშვილი ვარაუდობს, რომ როგორც კი ცალკეული ჟურნალისტებისთვის პრივილეგიები დაწესდება, შეღავათებით სარგებლობას უამრავი ადამიანი შეეცდება. მთავრობის საპარლამენტო მდივანი პრობლემას იმაში ხედავს, რომ იმ ადამიანების ზუსტი აღრიცხვა არ არსებობს, ვინც ფრონტზე ყოფნისას საომარ ოპერაციებს აშუქებდა.

ვიდრე მთავრობა და პარლამენტი ერთმანეთში დავობს, თავად საპარლამენტო უმრავლესობის შიგნით სიმშვიდემ დაისადგურა. არადა, სავარაუდო იყო, რომ ბიუროს გუშინდელ სხდომაზე სახელისუფლებო ფრაქციის ცალკეულ წევრებს შორის ურთიერთობები გამწვავდებოდა. ასეთი ვარაუდის საბაბს ის ფაქტი იძლეოდა, რომ გასულ პარასკევს უმრავლესობამ არ გაითვალისწინა ნინო ბურჯანაძის თხოვნა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების კანონპროექტის ერთ-ერთი სადავო მუხლის განხილვის გადადების თაობაზე და დოკუმენტს იმ დროს უყარა კენჭი, როდესაც პარლამენტის თავმჯდომარე პლენარულ სხდომას არ ესწრებოდა.

ნინო ბურჯანაძემ უმრავლესობასთან ურთიერთობების გართულება არ ისურვა და მტყუანმართლის ძებნა აღარ დაიწყო. პარლამენტის თავმჯდომარემ მომხდარი კოლეგების გულმავიწყობით ახსნა და ბიუროს სხდომაზე გამოთქვა იმედი, რომ მომავალში მსგავსი რამ აღარ მოხდება.

თუმცა, დეპუტატებს უკმაყოფილების მიზეზს რა გამოულევს - თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი თარგამაძე პროტესტს გამოთქვამს იმის გამო, რომ ნატო-ს საპარლამენტო დელეგაციის ბრიუსელში გამგზავრება კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა.

**"პარლამენტის ბუღალტერიაში მეუბნებიან, სამივლინებო ხარჯები ამოწურულიაო. საკანონმდებლო ორგანოს ბიუჯეტის გასამმაგების პირობებში, როგორ შეიძლება ასეთი რამ მოხდეს?"** - გაოცებას ვერ მალავს გივი თარგამაძე. ამ კითხვაზე პასუხი მან ძალიან ვიწრო წრეში მიიღო: "ახსნა-განმარტებისთვის" ბიუროს სხდომა დაიხურა და, ჟურნალისტებთან ერთად, დარბაზიდან პარლამენტის აპარატის თანამშრომლებიც დაითხოვეს.

## ვერცხლის 5 პრინციპის კავალრობა 16-მა საზოგადოებრივმა ორგანიზაციამ დაიმსახურა



22 მაისს ერეკლე მეორეს მოედანზე, კაფე "კალაში" "სამოქალაქო ინტერესების დაცვის პროგრამის" ფარგლებში შექმნილი საქართველოს საზოგადოებრივ ორგანიზაციათა "ეთიკის კოდექსის" ვერცხლის ხუთი პრინციპის კავალრების დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა. ღონისძიებას, რომელიც USAID-ის ფინანსური ხელშეწყობით განხორციელდა, "ეთიკის კოდექსის" ხელმომწერი საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ასევე სხვა ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები ესწრებოდნენ.

"ეთიკის კოდექსის" ვერცხლის ხუთი პრინციპის კავალრის ტიტული იმ არასამთავრობო ორგანიზაციებმა დაიმსახურეს, რომლებიც ერთი წლის განმავლობაში სწორედ ამ კოდექსის პრინციპებით ხელმძღვანელობდნენ, რის ნიშნადაც მათ საზეიმოდ გადაეცათ სიგელები.

წლების განმავლობაში არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობას კანონმდებლობა განსაზღვრავდა. თუმცა, კანონს გარეთ რჩებოდა ისეთი საკითხები, რომელიც არასამთავრობო სექტორისათვის შიდა რეგულაციისა და გამჭვირვალობის საკითხებს განსაზღვრავდა. ამიტომ "სამოქალაქო ინტერესების დაცვის პროგრამის" ფარგლებში გაერთიანებულმა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ის პრინციპები, რომელიც საზოგადოებასთან ურთიერთობებს გაამარტივებდა, თავადვე შეიმუშავეს და შექმნილ დოკუმენტს "საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ეთიკური კოდექსი" უწოდეს.

"ეს დოკუმენტი უკვე გახდა სამოქმედო გეგმა მთელი სექტორისათვის. კოდექსის პრეამბულიდან გამომდინარე მთავარი პრინციპი ღიაობა და გამჭვირვალობაა. კოდექსი შექმნილია იმისთვის, რომ ჩვენმა საზოგადოებამ გაიგოს, თუ ვინ ვართ ჩვენ და რა პრინციპებით ვხელმძღვანელობთ," - "ეთიკის კოდექსის" შექმნის დეტალებს იხსენებდა სამოქალაქო განვითარების ცენტრ "ალტერნატივა"-ს აღმასრულებელი დირექტორი **ნინო სანადირაძე.**

აღნიშნული დოკუმენტი პირველ ეტაპზე შესასრულებელ 5 ყველაზე მნიშვნელოვან პრინციპს მოიცავს: საზოგადოებრივი ორგანიზაცია წელიწადში ერთხელ აქვეყნებს წლიურ ანგარიშს, საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რეგულარულად ატარებს მოწვეულ აუდიტორულ შემოწმებას, საზოგადოებრივი ორგანიზაცია იმართება კოლეგიალური ორგანოს მიერ და კოლეგიალური ორგანო გადაწყვეტილების მიღების პროცესში დამოუკიდებელია, ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს მისიის აღწერა და შინაგანაწესი, რომელშიც სრულად იქნება გაწერილი საქმიანობის ზუსტი მექანიზმები. ეს დოკუმენტები მტკიცდება ორგანიზაციის მმართველობის კოლეგიალური ორგანოს მიერ, ინფორმაცია საზოგადოებრივი ორგანიზაციის მისიის, წევრების, მოღვაწეობისა და ფინანსირების შესახებ ღიაა, საქმიანობა კი გამჭვირვალე.

"ჩვენს საქმიანობაში ბრინჯაოს პერიოდი უკვე დიდი ხანია, გავიარეთ, ახლა ვერცხლის ხანაა. იმედს ვიტოვებთ, რომ ჩვენი მომსახურება საზოგადოებისთვის პროფესიონალური გახდება და ოქროს და პლატინის ხანაც დაგვიდგება. ეს არ ნიშნავს, რომ ორგანიზაციები მუდმივად შეინარჩუნებენ ვერცხლის 5 პრინციპის კავალრის ტიტულს, კოდექსის აღსრულება მუდმივი პროცესია, კოდექსის პრინციპებს არ უნდა გადავუხვიოთ, "ეთიკის კოდექსი" არის არა "დოკუმენტი დოკუმენტისთვის", არამედ ინსტრუმენტი, რომელიც სექტორის პოპულარიზაციასა და მასში ახალი ძალების მოზიდვას შეუწყობს ხელს" - ითქვა დაჯილდოების ცერემონიალზე.

# ბერგენში ხელმოწერილი კომუნიკე და განათლების ევროსივრცესთან ინტეგრირების პერსპექტივა

*20 მაისს, ბერგენში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ ხელი მოაწერა დეკლარაციას - საქართველოს განათლების საერთო ევროპულ სივრცეში შესვლის პასუხისმგებლობა დაეკისრა.*

*უფრო ადრე, 1999 წლის ივნისში, იტალიის ქალაქ ბოლონიაში, ევროპის 29 ქვეყნის განათლების მინისტრი შეიკრიბა და ხელი მოაწერეს დეკლარაციას, რომლითაც ვალდებულება აიღეს, რომ 2010 წლისთვის შეიქმნას ევროპის განათლების ერთიანი სივრცე. ჩამოაყალიბეს ის პრინციპები, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს ევროპული განათლება 2010 წლისთვის. ეს პროცესი ფორმალურად გაფორმდა 1999 წელს, თუმცა ამას წინ უსწრებდა სორბონაში ოთხი მინისტრის (გერმანიის, იტალიის, საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის) შეხვედრა. მათ მიერ პარიზში მიღებულ დეკლარაციაში გამოთქმული იყო შეშფოთება, რომ მათი ქვეყნების უმაღლესი განათლების სისტემები არ არის მიმზიდველი და კონკურენტუნარიანი. დეკლარაციაში არის წინადადება: "ჩვენ მოვალენი ვართ, შევქმნათ განათლების ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ჩვენი მოქალაქეების და მთლიანად ჩვენი კონტინენტის კეთილდღეობას." ბერგენში ხელმოწერილი დოკუმენტით უკვე საქართველოც მოვალეა, თავისი მოქალაქეების კეთილდღეობა უზრუნველყოს.*

"ბოლონიის პროცესს" საზოგადოება მეტნაკლებად იცნობს. გთავაზობთ საუბარს ამ პროცესის შესახებ.

საუბრობენ "ბოლონიის პროცესში საქართველოს უმაღლესი განათლების ჩართვის ხელშეწყობის" პროექტის თანამშრომლები ლალი ბაქრაძე (სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პროგრამის დირექტორი), ლიკა ღლონტი (თსუ, პროგრამული უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი), მარინა ქარჩავა (ESM -ის პრორექტორი), ემზარ ჯგერენაია (სოციოლოგი).

**ლ. ბ. -** პარასკევს ნორვეგიის ქალაქ ბერგენში მინისტრმა ხელი მოაწერა დეკლარაციას, გამოქვეყნდა ბერგენის კომუნიკე. იქ ჩაწერილია საქართველო, როგორც ერთ-ერთი მონაწილე ქვეყანა და მოცემულია ის ვალდებულებები, რაც ჩვენ ავიღეთ და უნდა შევასრულოთ, რომ 2010 წლისთვის ვიყოთ ბოლონიის პროცესის სრულფასოვანი წევრები.

**ე. ჯ. -** საქმე ეხება იმას, რომ გაჩნდა ახალი პოლიტიკური რეალობა ევროკავშირის სახით. ევროკავშირის ქვეყნებს სურთ, შექმნან ერთიანი სივრცე იმისათვის, რომ ნებისმიერმა მოქალაქემ ნებისმიერ ადგილზე შეძლოს მუშაობა ევროპულ სივრცეში, ე.ი. უნდა არსებობდეს ერთიანი სტანდარტი ევროპულ სივრცეში. ამიტომ, ამ სტანდარტის შემუშავებაც, ცხადია, არის ბოლონიის პროცესის მიზანი; რომ გერმანელმა სპეციალისტმა შეძლოს ესპანეთში მუშაობა, ესპანელმა - საფრანგეთში და ა.შ. ანუ პროფესიულ ჰომოგენურობაზე მაქვს საუბარი და არა იდენტობის დეგრადაციაზე. საქართველოსთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან თუ ჩვენ ევროკავშირში ჩავერთვებით და ოდესმე ევროკავშირის წევრი გავხდებით, ჩვენი სპეციალისტები შეძლებენ წასვლას ევროპაში: მასწავლებლები - მასწავლებლებად, სტუდენტები - სასწავლებლად, რადგან ჩვენი სასწავლო სისტემა ისეა მოწყობილი, როგორც ევროპაში. შესაძლებელი იქნება, უცხოელი ჩამოვიდეს საქართველოში და აქ ისწავლოს. ასე რომ, ჩვენ თუ განათლების კარგ სისტემას შევქმნით, ეს იქნება მომგებიანი საქმე, ბიზნესი. არაჩვეულებრივი შესაძლებლობაა პროფესორისთვის, წავიდეს და ლექციები წაიკითხოს უცხოეთში, შემდეგ დაბრუნდეს, ან უცხოელი ჩამოვიდეს. ჩვენი ხალხის ოცნება ევროპასთან ინტეგრაციისა არ ნიშნავს პოლიტიკურ ან ეკონომიკურ ინტეგრაციას და სწორედ ეს არის იდეა, რომ განათლება სოციალიზაციას ნიშნავს. მისი მეშვეობით ხდება ღირებულებების ათვისება, ამდენად, ძალიან მნიშვნელოვანი პროცესია და როგორმე ხელი უნდა შევუწყოთ ამ პროცესის განვითარებას.

**ლ. ღ. -** ევროპულ სივრცეში ინტეგრირება ხდება მაშინ, როცა ქვეყანა კონკურენტუნარიანია, როცა კონკურენტუნარიანობის რესურსი გააჩნია. ეს რესურსი, ტრადიციულად, იყო მატერიალური - შრომა და მიწა, და ამ რესურსებს "კაპიტალისტური ქვეყნები" იყენებდნენ განვითარებად ქვეყნებში. მაგრამ არსებობს თანამედროვე რესურსები - ინფორმაციული, ინსტიტუციური რესურსი და ცოდნა. ცოდნა, თურმე, შეიძლება კონკურენტუნარიანი რესურსი აღმოჩნდეს. თუ შეგიძლია, როგორც მწარმოებელმა, მიაწოდო მომხმარებელს, სხვა ქვეყნის წარმომადგენელს. ეს ნიშნავს, რომ შენს პროდუქტზე არის მოთხოვნა და შეგიძლია გაყიდო. თუ შექმენი ისეთი ცოდნა, რომლის გაყიდვა შეგიძლია, მაშინ კონკურენტუნარიანი ხდები. ეს არის ბოლონიის პროცესის ერთ-ერთი მიზანი.

**ლ. ბ. -** ბოლონიის პროცესის მიზანი ის არის, რომ ევროპული განათლება უნდა იყოს მიმზიდველი და კონკურენტუნარიანი არა მარტო ევროპისთვის, არამედ მსოფლიოსთვის. ევროპამ დაინახა, რომ სერიოზულად ჩამორჩა ჩრდილოეთ ამერიკას, იაპონიას და კორეას, და აქედან გამომდინარე, გადაწყვიტა, გადადგას სერიოზული ნაბიჯები უმაღლესი განათლების კონსოლიდაციის გზით გარდაქმნისაკენ. ერთი ასეთი ნაბიჯია ბოლონიის პროცესი. ეს ყველაფერი გასაკეთებელია. გუშინწინ მოვაწერეთ ხელი და ჩვენ მოგვეცეს შანსი, ვიყოთ ევროპაში: ჩვენი სისტემა იყოს გასაგები, ურთიერთშესადარი და თავსებადი. რა თქმა უნდა, ეს არის პრინციპები. არსებობს დიპლომის დანართი, ხარისხი. ეს ყველგან შესაბამისი უნდა იყოს. ევროპამ შემოგვთავაზა და ჩვენ უნდა ვიაროთ ამ მიმართულებით. საქართველოს უმაღლესი განათლების კანონი ბოლონიის პროცესის პრინციპებს შეესაბამება, მაგრამ ერთია კანონი და მეორეა - აღსრულება.

**ე. ჯ. -** დიდი პრობლემაა და ძნელი სამუშაო იქნება ინსტიტუციური მოწყობა - შეიქმნას იმ ფუნქციების დაწესებულებები, რომელიც უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში შესარწყმელად იმუშავებს, რომ რაც ხელშეკრულებაში დევს, ის განხორციელდეს. რეფორმისთვის სწორედ ეს იქნება ყველაზე რთული და ამას თუ ვერ შევძლებთ, შედეგის მიღება გაჭირდება.

საზოგადოებაში არსებობს შიში რეფორმების მიმართ, რადგან ხშირ შემთხვევაში საზოგადოებამ არ იცის, რა არის შინაარსი, რისკენაა მიმართული. ის, რომ ბოლონიის პროცესი არ უკავშირდება პროფესორ-მასწავლებელთა შემცირებას, ან მათთვის გამოცდების ჩატარებას, დიდი უმრავლესობისთვის უცნობია, მაგრამ შიში აქვთ. ბოლონიის პროცესი საქართველოს პროფესორ-მასწავლებლებს, სიკეთის გარდა, არაფერს მოუტანს, ეს უნიკალური გზაა შესაძლებლობების გამოვლენისკენ და ახალი ჰორიზონტის დასაპყრობად.

**ლ. ბ. -** ბოლონიის პროცესის დეკლარაციებსა და კომუნიკეში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ სარეფორმო ქმედებებში საზოგადოების აქტივის ჩაბმა აუცილებელია. ჩვენს შემთხვევაში, ყველანაირი ნეგატიური დამოკიდებულება სწორედ არაინფორმირებულობასთან არის დაკავშირებული - რას ითვალისწინებს და რას გულისხმობს ეს დოკუმენტები, ეს პროცესი. როცა გაიგებენ ბოლონიის პროცესის ძირითად პრინციპებს, საქმე გაიოლდება. სწორედ ამას ემსახურება ჩვენი ინსტიტუტის პროექტი, წიგნების გამოცემა. მაგრამ ერთია წიგნის გამოცემა და მეორეა - მისი წაკითხვა.

რა თქმა უნდა, საჭიროა პროფესორ-მასწავლებლებთან საუბარი და მათ უნდა იცოდნენ, რომ პროფესორ-მასწავლებელთა გარეშე უმაღლესი განათლების რეფორმა ვერ გატარდება. როცა ვამბობთ, რომ სამსაფეხუროვანი სისტემა უნდა შეიქმნას (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), ვინ უნდა შექმნას პროგრამა? რა თქმა უნდა, შესაბამისი საგნების პროფესორ-მასწავლებლებმა.

ჩატარებულმა აკრედიტაციამ დაგვანახა, რომ ჩვენ ისევე "მოწინავეები" ვართ უმაღლესი სასწავლებლების რაოდენობის მიხედვით, მაგრამ ხარისხი? თუ ევროპისთვის ინტეგრაცია გზაა კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად, ჩვენთვის ეს პირდაპირი გზაა ჩვენი განათლების სისტემის გადასარჩენად, ქვეყნის გადასარჩენად. საქართველოდან ინტელექტის გადინების შემაშფოთებელი დინამიკაა. ნებისმიერი სტუდენტი გეტყვით, რომ მას უნდა საზღვარგარეთ სწავლა და ბევრი მათგანი იქ დარჩენაზე ოცნებობს. რეალური სურათი სავალალოა. ჩვენგან სტუდენტები კი არ უნდა გარბოდნენ, არამედ მობილურები უნდა იყვნენ.

**ე. ჯ. -** ჩვენ ჩამოვრჩით, თორემ ჩვენი ისტორიული ფესვები ევროპულ განათლებაში მიდის - ჩვენი უნივერსიტეტი დაარსებულია, როგორც ევროპული ტიპის უნივერსიტეტი და ის ევროპაში განათლებამიღებულმა ადამიანებმა დააარსეს. მაგრამ დრომ ახალი გამოწვევა მოიტანა და ჩვენ უნდა ვუპასუხოთ, თორემ კატასტროფის წინაშე აღმოვჩნდებით. დღეს სახელმწიფო დასავლეთში განათლებამიღებულებს დაბრუნებისკენ მოუწოდებს - რამდენი დაბრუნდება? საქართველოში მიღებული განათლება კი, ხშირ შემთხვევაში, არ შეესაბამება მსოფლიო სტანდარტებს, საქართველოში მიღებული განათლება პრესტიჟული არ არის.

**ლ. ღ. -** ჩვენ გვყავს კადრები, პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები, უბრალოდ, საჭიროა ჩარჩოების შეცვლა. და ეს ჩვენვე უნდა გავაკეთოთ, ვერც ერთი ევროპელი, როგორი კვალიფიკაციისაც არ უნდა იყოს, ამას ჩვენს ნაცვლად ვერ გააკეთებს და პროგრამებს ვერ დაგვიწერს. ჩვენ მათი გამოცდილებით და კონსულტაციით შეგვიძლია ვისარგებლოთ. ეს დიდი შრომაა, დიდი დრო, ფინანსური უზრუნველყოფა. მაგრამ რაკი ეს სახელმწიფო პოლიტიკის ნაწილია, ამას ყველაფერს სერიოზული მხარდაჭერა სჭირდება - გასაკეთებელია როგორც შინაარსი, ასევე ადმინისტრაციული ფორმა თითოეული უმაღლესი სასწავლებლის დონეზე. ბოლონიის დეკლარაციის პირველი ექვსი პრინციპი ამბობს, რომ პროცესში მონაწილე ნებისმიერ ქვეყანაში მიღებული განათლება უნდა იყოს აღიარებული და ცნობადი მეორე ქვეყნის უმაღლესი სასწავლებლის მიერ, როგორც შინაარსით, ასევე ადმინისტრირებით. სტუდენტს თავისი დოკუმენტაცია უნდა მიჰყვებოდეს, დიპლომს ჰქონდეს დანართი, ნიშნების ფურცელი, სასწავლო ხელშეკრულება... ეს ბევრი ქაღალდია და, შესაბამისად, ჩასატარებელია ბევრი სამუშაო. ჩვენ უნდა ვფლობდეთ ინფორმაციას, მაგრამ ასევე უნდა გავცემდეთ მას. მობილობა არ უნდა იყოს ცალმხრივი. ჩვენ გვაქვს პოტენციალი, რომ თუნდაც აღმოსავლეთ ევროპის სტუდენტისთვის მისაზიდი გავხადოთ ჩვენი განათლების სისტემის პროგრამები.

**მ. ქ. -** მობილურობა ძალიან დადებითი მხარეა. ეს ნიშნავს, რომ მხოლოდ ჩვენი სტუდენტები კი არ მიდიოდნენ საზღვარგარეთ, არამედ ისინიც ჩამოდიოდნენ. სასწავლო პროგრამები ისე უნდა გვქონდეს აწყობილი და შედგენილი, რომ რომ იქაური სტუდენტისთვის გასაგები იყოს და მიმზიდველი. ინსტიტუციურმა სისტემამ უნდა გააკეთოს ის, რომ რაც იმ სტუდენტს უნდა, ჩვენ გვქონდეს. ნებისმიერმა ქართველმა და არაქართველმა ისე უნდა ისწავლოს ამ სივრცეში, რომ თავისი განათლების წარმომავლობის გამო არ დაზარალდეს. ახალი სისტემა იქნება არა ლექტორზე ორიენტირებული, არამედ- სტუდენტზე. შემთხვევითი არ არის, რომ დეკლარაციას ხელს განათლების მინისტრი აწერს -ეს ნაციონალური პროცესია, ეს პოლიტიკაა და არა რომელიმე უმაღლესი სასწავლებლის ამბიცია. ამას სერიოზული სახელმწიფო და საზოგადოებრივი მხარდაჭერა სჭირდება. ბოლონიის პროცესში ჩართვა ჩვენ საშუალებას გვაძლევს, რომ ჩვენი სიტყვა ვთქვათ. 2010 წლამდე ხუთი წელია და ეს მცირე დროა ჩვენთვის, ევროპაშიც კი უამრავი პრობლემა აქვთ.

**ე. ჯ. -** მაგრამ ევროპა თავისი გამოცდილებით წინააღმდეგობებს უფრო იოლად დაძლევს, ჩვენთვის ამ დროში ეს შეუძლებელია. ჩვენთან სპეციალისტების, ცოდნის დონე არის. ასეთი ხალხი ბევრია, მაგრამ ეს უნდა მოექცეს ახალ ინსტიტუციაში და მაშინ ის "გაყიდვადი" გახდება. საქართველოს წინაშე ახალი შესაძლებლობები გაიშლება. ის, რომ არ დაიკარგება ჩვენი ეროვნული და კულტურული სპეციფიკა, ამას ბოლონიის დეკლარაციები ხაზს უსვამს და საქართველომ ისევე უნდა მართოს თავისი განათლება საქართველოში, როგორც საფრანგეთმა - საფრანგეთში. აქ იდენტობა საფრთხის ქვეშ არ დგება. ეს ახალი ჰორიზონტია.

*დალი კუპრავა*

## არასამთავრობო და ბიზნეს სექტორების კოორდინაციაზე "სოციალური პროექტების ბირჟა" იზრუნებს

"სოციალური პროექტების ბირჟა" სამოქალაქო ინტერესების დაცვის პროგრამის ფარგლებში ხორციელდება და პროექტის პრეზენტაცია ბიზნესისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლების წინაშე მოხდა. ფუნქციონირება დაიწყო ახალმა ვებ გვერდმა "სოციალური პროექტების ბირჟა" (**www.spe.ge**). პროექტს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხადაჭერით საქართველოს გაეროს ასოციაცია, საკონსულტაციო ჯგუფი "ჯეპრა", სამოქალაქო ინიციატივების ცენტრი და ფედერაცია "გადავარჩინოთ ბავშვები" ახორციელებენ.

ბირჟის მთავარი ამოცანაა არსებული სოციალური პრობლემების გადაჭრის მიზნით ხელი შეუწყოს თანამშრომლობის ფორმების ჩამოყალიბებას საზოგადოებრივ და ბიზნეს სექტორს შორის.

"ბირჟაზე განთავსებულია, ერთი მხრივ, ბიზნესკომპანიების სოციალური პრიორიტეტები და სავარაუდო ბიუჯეტი, ხოლო მეორე მხრივ, არასამთავრობო ორგანიზაციების სხვადასხვა ინიციატივები და სერვისები. დაინტერესებულ პირებს თუ ორგანიზაციებს შეუძლიათ მიიღონ ინფორმაცია სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში სხვადასხვა ქვეყნებში მიმდინარე სიახლეებისა და პროცესების თაობაზე, გაეცნონ მსოფლიოს წამყვანი კომპანიების მიერ განხორციელებული სოციალური კამპანიების წარმატებულ მაგალითებს, სოციალური ანგარიშების მომზადების მეთოდიკას," - **განმარტავს საკონსულტაციო ჯგუფი "ჯეპრას" დირექტორი სოსო გალუმაშვილი.**

ვებ გვერდზე დღეისათვის წარმოდგენილია 21 ბიზნესკომპანია და 38 არასამთავრობო ორგანიზაცია. ბირჟის წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ორგანიზაცია, რომელსაც განხორციელებული აქვს სოციალური პროექტები ან აპირებს მის განხორციელებას, აკმაყოფილებს "სოციალური პროექტების ბირჟის" დებულების მოთხოვნებს.

ვირტუალურ ბირჟაზე დარეგისტრირებულ ორგანიზაციებს შეუძლიათ, მონაწილეობა მიიღონ ბირჟის ინიციატივით წარმოებულ სოციალურ კამპანიებში, საზოგადოებას გააცნონ მათ მიერ სოციალურ სექტორში განხორციელებული საქმიანობა და ახალი ინიციატივები.

როგორც **პროექტის კოორდინატორმა ირაკლი ლექვინაძემ** განაცხადა: "სოციალური პროექტების ბირჟა" უფლებამოსილია ხელი შეუწყოს და რეკომენდაციები მისცეს ბიზნესს და არასამთავრობო ორგანიზაციებს სოციალური პროექტების განხორციელებასა და სოციალური კამპანიის წარმოებაში."

საგულისხმოა, რომ დღემდე საქართველოში არ არსებობდა ორგანიზებული სტრუქტურა, რომელიც ორი სექტორის კოორდინაციას შეუწყობდა ხელს. ბირჟის სახით ასეთი მექანიზმი უკვე შექმნილია, რამაც ბიზნესის და არასამთავრობო ორგანიზაციების პარტნიორობას უნდა შეუწყოს ხელი და თანამშრომლობა საზოგადოებისათვის უფრო სასარგებლო და ხელშესახები გახადოს.

# რეკლამების მიღმა

## წამლის სააგენტო საკვები დანამატების რეკლამირების აკრძალვას ითხოვს

*შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წამლის სააგენტო წამლის შესახებ კანონში ცვლილებების პროექტს ამზადებს. ცვლილება საკვებ დანამატებსაც შეეხება, რის შედეგადაც მათი აბსოლუტურად ქაოსური რეალიზაცია გარკვეულ კონტროლს დაექვემდებარება.*

ნანა ქადაგიშვილი

პრესის ფურცლებსა და ტელევიზიის სარეკლამო რგოლებზე ხშირად ნახავთ ამა თუ იმ ფირმისა თუ ინდივიდუალური პირის მიერ გამოქვეყნებულ განცხადებებს, სადაც ისინი მცენარეული საშუალებებით თითქმის ყველანაირი დაავადების განკურნების გარანტიას იძლევიან. ეს მცენარეული საშუალებები, უმეტესად, საკვები დანამატებია, რომელიც საქართველოშიც მზადდება და უცხოეთიდანაც შემოდის. ხშირად, იმპორტიორი თუ მწარმოებელი ფირმები ამ სახის პროდუქტს, აფთიაქების გვერდის ავლით, პირდაპირ სამკურნალო ფირმებსა და საავადმყოფოებში ავრცელებენ. არადა, არ არსებობს ოფიციალური უწყება, რომელიც საკვები დანამატების უსაფრთხოებაზე პასუხს აგებდეს. ჯანდაცვის სამინისტროში მათ შესახებ ინფორმაციაც კი არ აქვთ. **"მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში, მათ შორის - საქართველოში, სახელმწიფო საკვებ დანამატს მედიკამენტად არ აღიარებენ. ამიტომ, მათ დამზადება-შემოტანას რეგისტრაცია არ სჭირდება და, შესაბამისად, ჯანდაცვის სამინისტროსაც მათ შესახებ ინფორმაცია არ გააჩნია. გამონაკლისს წარმოადგენს თერაპიული ეფექტის მქონე საკვები დანამატები, რომელთა დარეგისტრირებასაც კანონი ითხოვს. თუმცა, ასეთი საკვების დანამატების მწარმოებელ-იმპორტიორები თავის დაძვრენას იოლად ახერხებენ, ოფიციალურ სტრუქტურებში აცხადებენ, რომ მათ პროდუქტს თერაპიული ეფექტი არ აქვს. თუმცა, მომხმარებელს საწინააღმდეგოს უმტკიცებენ,"** - აცხადებს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წამლის სააგენტოს უფროსი თინათინ ტურძელაძე.

საკვები დანამატების გამავრცელებელი ფირმების მიმზიდველი რეკლამები იოლი საშუალებაა გულუბრყვილო პაციენტის ანკესზე წამოსაგებად. ეს კი ზოგჯერ ავადმყოფის დაზარალებით სრულდება. არასამთავრობო ორგანიზაციამ "მოძრაობა ფარმაკოტერორიზმის წინააღმდეგ" ერთი ასეთი ფაქტი მოგვაწოდა: აღნიშნულ ორგანიზაციას დახმარებისთვის მიმართეს ბორჯომში მცხოვრები, ეპილეფსიით დაავადებული, 23 წლის ბიჭის ახლობლებმა. **"ეს ახალგაზრდა წლების განმავლობაში მკურნალობდა და მისი მდგომარეობა სტაბილური იყო მანამდე, სანამ ფირმა "კონსულტანტს" არ მიაკითხა. მისმა ნათესავებმა რეკლამის მეშვეობით შეიტყვეს, რომ აღნიშნულ ფირმაში მომუშავე, ვინმე ნინო ფირცხალავა ყველა სახის დაავადებას კურნავს და დახმარებისთვის მიმართეს. როგორც ავადმყოფის ახლობლები ირწმუნებიან, ფირცხალავამ ეპილეფსიით დაავადებულ ავადმყოფს მოუხსნა ყველა მედიკამენტი, რასაც მანამდე სვამდა და დაუნიშნა საკვები დანამატები: "ჟიზნეტონიკ," "გორმონიზატორ ზდაროვია", "ბიტ №1", "ბიტ №2", "ჟემჩუჟინა ზდაროვია". "კონსულტანტში" მკურნალობამ ის შედეგი გამოიღო, რომ ავადმყოფს კრუნჩხვები ძალზე გაუხშირდა. ამჟამად მისი მდგომარეობა კი გამოსწორდა, რადგან ფირცხალავასთან სიარულს თავი დაანება და მკურნალობის ძველ კურსს დაუბრუნდა, მაგრამ ეპილეფსიით დაავადებულისთვის წამლების მოხსნა დანაშაულია,"** - აცხადებს არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელი ქეთევან ბარამიძე.

როგორც ჯანდაცვის სამინისტროს სტანდარტიზაციის, ლიცენზირებისა და სერტიფიცირების დეპარტამენტში გავარკვიეთ, ფირმა "კონსულტანტი", როგორც სამედიცინო დაწესებულება, არსად არის რეგისტრირებული. მართალია, ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნებულ რეკლამებში ნინო ფირცხალავა (პროფესიით ბიოქიმიკოსი და კოსმეტოლოგი) მკურნალად არის მოხსენიებული, მაგრამ მაინც ვერაფერს შეედავები, რადგან ეს ფირმა საკვებ დანამატებს ავრცელებს და ლიცენზია არც მოეთხოვება. ამასთან, საკვები დანამატების დანიშვნის უფლება ნებისმიერი პროფესიის ადამიანს აქვს.

რაც შეეხება ზემოთ დასახელებულ შემთხვევას, ნინო ფირცხალავა აღნიშნული პაციენტისთვის წამლების მოხსნის ფაქტს უარყოფს. **"საკვები დანამატები ავადმყოფს წამლების პარალელურად დავუნიშნე. ეს დანამატები, რომელთაც ფარმაცევტულ ფირმებისგან ("ალტერა", "ლიკია", "ტიტანი") ვყიდულობ, რამდენიმე ადგილას იყიდება აფთიაქებში (მაგალითად, ალ.ყაზბეგის ქ №14, ცოტნე დადიანის №144 და ფალიაშვილის №11),"** - აცხადებს იგი. თუმცა, ვერც ერთ დასახელებულ აფთიაქში აღნიშნულ საკვებ დანამატებს ვერ მივაკვლიეთ. უფრო მეტიც, ისინი თბილისში არსებულ არც ერთ ფარმაცევტულ ბაზაში არ აღმოაჩნდათ.

ასე თუ ისე, ერთი რამე ფაქტია, რომ ასეთი ფირმებისა თუ ინდივიდუალური პირების საქმიანობის კონტროლი არავის მოეთხოვება. წამლის შესახებ კანონში შესატანი ცვლილებები, რომელსაც წამლის სააგენტო ამზადებს, არსებული გაურკვევლობის, გარკვეულწილად, დარეგულირებას ისახავს მიზნად. **"უნდა ავკრძალოთ საკვები დანამატების, როგორც არარეგისტრირებული პროდუქტის, რეკლამირება და შემოვიღოთ რეგისტრაცია, რომელიც მათ უსაფრთხოებასა და თერაპიულ ეფექტს დაადასტურებს,"** - აცხადებს ტურძელაძე.

# ცრუ განგაში ეპიდემიებთან დაკავშირებით

თამარ მაისურაძე

ზაფხულის სეზონის მოახლოებასთან ერთად, მოსახლეობას ეპიდემიოლოგიური ინფექციების გავრცელების შესაძლებლობა აშინებს. გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოში ლეიშმანიოზისა და მალარიის ეპიდემიებია მოსალოდნელი. დაავადებათა კონტროლის ცენტრის ხელმძღვანელი პაატა იმნაძე ამ ინფორმაციას არ ადასტურებს და აღნიშნავს, რომ მალარიის გავრცელების საშიშროება არ არის. "წინასწარი გათვლით, გასული წლის მსგავსად, წელს მალარიის 250-მდე შემთხვევის დაფიქსირებას ვვარაუდობთ. ყველანაირი წინაპირობა არსებობს იმისათვის, რომ ეს დაავადება არ გავრცელდეს," - გვითხრა მან.

მალარიის მატარებელი კოღო ანოფელესი საქართველოს საზღვრისპირა რაიონებში, სიღნაღში, ყვარელსა და ლაგოდეხშია გავრცელებული. მალარიის კერად, ასევე, ქვემო ქართლის რაიონებიც - მარნეული და გარდაბანი მოიაზრება.

დასავლეთ საქართველოში, ამ მხრივ, 2002 წლის შემდეგ, დადებითი დინამიკაა შენარჩუნებული. იქიდან გამომდინარე, რომ გასულ წელს მალარიის გავრცელების შემთხვევები მინიმუმამდე იქნა დაყვანილი, დაავადებათა კონტროლის ცენტრში იმედოვნებენ, რომ წელსაც იგივე მდგომარეობა შენარჩუნდება.

რაც შეეხება ლეიშმანიოზის შემთხვევებს, რომელთა ზრდა დაკავშირებულია დაავადების ძირითადი რეზერვუარის - ძაღლების რაოდენობის ზრდასთან, მათი მატება, ძირითადად, 1990 წლიდან დაიწყო. 1990 წელს აღირიცხული იყო მხოლოდ 12 შემთხვევა, 2004 წელს კი - 125. ლეიშმანიოზი გამოვლენილია მარნეულის, ბოლნისის, გარდაბნის, მცხეთის, თეთრი წყაროს, სიღნაღის, დედოფლის წყაროს, დმანისის რაიონებში, რუსთავში და თბილისში. ძაღლებიდან ადამიანს ავადმყოფობა მცირე ზომის მწერის - ფლებოტომუსის საშუალებით გადაეცემა. დაავადებულთა დიდი უმრავლესობა ოთხ წლამდე ასაკის ბავშვია.

დაავადების ინკუბაციური პერიოდი 20 დღიდან 1 წლამდეა. დაავადებისათვის, ზოგადად, დამახასიათებელია მაღალი ტემპერატურა, მოთენთილობა, ადინამია, ფერმკრთალობა, უმადობა. ელენთა და ღვიძლი გადიდებულია. ვითარდება ანემია. სპეციფიური მკურნალობის გარეშე ავადმყოფი შეიძლება დაიღუპოს.

პაატა იმნაძე მცირეწლოვანი ბავშვების მშობლებს ურჩევს, ბავშვები შებინდებისას არ გაიყვანონ სასეირნოდ იქ, სადაც დაავადების კერებია.

# შრიოდერი ვადამდელი არჩევნების ჩატარებას ითხოვს

### ჩრდილოეთ რეინ-ვესტფალიის არჩევნებში დამარცხება, შესაძლოა, სოციალ-დემოკრატებს ძვირი დაუჯდეთ

**"ჩრდილოეთ რეინ-ვესტფალიაში ჩემი პარტიის მარცხი ჩვენი რეფორმების პოლიტიკურ მხარდაჭერას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს,"** - განაცხადა გერმანიის კანცლერმა გერჰარდ შრიოდერმა მას შემდეგ, რაც წინასწარი შედეგებით სოციალ-დემოკრატთა დამარცხების შესახებ გავრცელდა ცნობა.

ვინაიდან რეინ-ვესტფალია გერმანიის ყველაზე მჭიდროდ დასახლებული პროვინციაა, არჩევნებში მარცხი პოლიტიკური პარტიისთვის სერიოზული ფიასკოა. ამ გავლენიან რეგიონში წამყვანი პოზიციები სოციალ-დემოკრატებს 1966 წლიდან უკავიათ. თუმცა, უმუშევრობის დონის მკვეთრმა ზრდამ და სოციალური დახმარების შემცირებამ, როგორც ჩანს, ელექტორატს მმართველი პარტიისადმი დამოკიდებულება შეაცვლევინა.

გერმანიის კანცლერის თქმით, რეფორმების გაგრძელებისათვის, რაც ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას ისახავს მიზნად, აუცილებელია გერმანელების აშკარა მხარდაჭერა. არჩევნების შედეგები კი ამგვარ იმედებს ნაკლებად იძლევა. სწორედ ამიტომ, შრიოდერი აუცილებლად მიიჩნევს ბუნდესტაგის არჩევნების ვადამდელ გამართვას.

უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, რეგიონებში სოციალ-დემოკრატების წარუმატებლობა მკვეთრად აისახება ბუნდესტაგსა და ბუნდესრატში პარტიულ დისბალანსზე. ბუნდესტაგის (გერმანიის პარლამენტის ქვედა პალატა) დაკომპლექტება საერთო სახალხო არჩევნების გზით ხდება, ბუნდესრატში (გერმანიის პარლამენტის ზედა პალატა) კი ადგილების განაწილება რეგიონულ დონეზე ჩატარებული არჩევნების შედეგების მიხედვით ხორციელდება. დღემდე ხელისუფლების ინიციატივის დაბლოკვისათვის ბუნდესრატის ოპოზიციას არ ჰყოფნიდა ხოლმე ხმათა აუცილებელი ორი მესამედი.

**"ჩვენი ვარაუდით, ჩრდილოეთ რეინ-ვესტფალიის არჩევნებში ქრისტიან-დემოკრატთა გამარჯვება პარლამენტის ზედა პალატაში მნიშვნელოვან ცვლილებებს გამოიწვევს. სწორედ ამიტომ, აუცილებლად მიგვაჩნია ზედა და ქვედა პალატების ჩიხში შესული ურთიერთობების რამენაირად შეცვლა,"** - განაცხადა სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელმა ფრანც მიუნტეფერინგმა.

ბუნდესტაგის არჩევნები, წესით, მომავალ წელს უნდა გაიმართოს, რადგან ახლანდელი შემადგენლობის უფლებამოსილების ვადა 2006 წლის სექტემბერში იწურება. გერჰარდ შრიოდერისა და ფრანც მიუნტეფერინგის თქმით, ვადამდელი არჩევნების ჩატარების ინიციატივით ისინი უმოკლეს ვადაში მიმართავენ ქვეყნის პრეზიდენტსა და პარლამენტს.



*სოციალ-დემოკრატთა ეპოქის დასასრული.*

წინასწარი მონაცემებით, სოციალ-დემოკრატებმა ხმათა მხოლოდ 37.5 პროცენტი მოიპოვეს, ხოლო ოპოზიციურმა ქრისტიან-დემოკრატიულმა პარტიამ - 45. კოალიციაში სოციალ-დემოკრატიული პარტიის პარტნიორებს - "მწვანეებს" ელექტორატის 6-მა პროცენტმა დაუჭირა მხარი.

გერჰარდ შრიოდერისაგან განსხვავებით, ხალისიან განწყობაზეა ქრისტიან-დემოკრატთა ლიდერი ანჟელა მერკელი, რომელიც ჯერ კიდევ ჩრდილოეთ რეინ-ვესტფალიის არჩევნებამდე უწინასწარმეტყველებდა "წითლებისა და მწვანეების" ალიანსს სახელისუფლებო მარცხს.

**"ქრისტიანულ-დემოკრატიულ პარტიას ამომრჩეველმა სენსაციური გამარჯვება მოაპოვებინა,"** - განაცხადა წინასწარი შედეგების გაცნობის შემდეგ ანჟელა მერკელმა.

# დსთ-ს დაშლის პროცესი

### თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის დასრულებით იწყება

პირველი გვერდიდან

საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო "გრანი" იტყობინება, რომ რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან გამოსული ხმების თანახმად, დსთ-ს სივრცეში სამხედრო თანამშრომლობის შეწყვეტაზე საბოლოო გადაწყვეტილებას მოსკოვში 20-22 ივნისს დაგეგმილ კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის სხდომაზე მიიღებენ. შეგახსენებთ, დსთ-ს წევრი-სახელმწიფოებიდან შექმნილ ამ ერთ-ერთ ყველაზე ქმედით ორგანოში რუსეთი, სომხეთი, ბელარუსი, ყაზახეთი, ყირგიზეთი და ტაჯიკეთი შედიან.

"25 ივნისს, სავარაუდოდ, ოფიციალურად განაცხადებენ თანამეგობრობის ისეთი სტრუქტურების ლიკვიდაციის შესახებ, როგორიცაა დსთ-ს თავდაცვის მინისტრთა საბჭო და დსთ-ში სამხედრო თანამშრომლობის საკოორდინაციო შტაბი. ასეთი გადაწყვეტილება განპირობებულია არა მარტო დსთ-ს ქვეყნებს შორის თანამშრომლობის სხვადასხვა დონით, არამედ ზოგიერთი ქვეყნის განცხადებებით; კერძოდ იმით, რომ საქართველომ და უკრაინამ ნატო-ში შესვლის სურვილი გამოთქვეს", - აცხადებს კრემლის ანონიმური წყარო.

მთავარი პრობლემა, რომლის მოგვარებაზეც რუსი სამხედროები დღესვე ზრუნავენ, დსთ-ში ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ერთიანი სისტემის სტრუქტურულ ცვლილებებს უკავშირდება. დსთ-ს გაერთიანებული ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვა დღეისთვის თანამეგობრობის ყველა ქვეყანას ფარავს, მაგრამ საქართველოსა და უკრაინის ნატო-ში შესვლით, როგორც რუსები ვარაუდობენ, გაჩნდება "შავი ხვრელები". "არ გვინდა, ფაქტის წინაშე აღმოვჩნდეთ, აუცილებელია ამისთვის წინასწარ მოვემზადოთ", - ასეთია კრემლის პოზიცია.

რაც შეეხება სამხედრო თანამშრომლობის მომავალს - უკვე გადაწყვეტილია, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში მისი ერთადერთი მოქმედი ორგანო კოლექტიური უსაფრთოხების ხელშეკრულების ორგანიზაციაა. მართალია, ამ ორგანოს სამდივნოში ჯერჯერობით უარყოფენ დსთ-ს ფორმატით სამხედრო თანამშრომლობის შეწყვეტას, თუმცა იქვე ადასტურებენ, რომ კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის ფარგლებში მიმდინარე ღონისძიებები გაცილებით აღემატება დსთ-ს სივრცეში თანამშრომლობის მასშტაბებს.

აღსანიშნავია, რომ კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის სტრუქტურა, შეიძლება ითქვას, უკვე შეესაბამება სრულმასშტაბიანი სამხედრო ალიანსის მოთხოვნებს. ორგანიზაციაში არსებობს შეთანხმებები სამხედრო პროდუქციის დაბალი ფასებით მიწოდებაზე, სამხედრო კადრების შეღავათიან (უფასო) მომზადებაზე და ა.შ. დსთ-ს ფორმატით მსგავსი შეთანხმებები არასოდეს მიღწეულა.

"ეს ყველაფერი კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის წევრ-ქვეყნებს ყოველწლიურად მილიონობით დოლარის ეკონომიის საშუალებას აძლევს", - აღნიშნავენ ორგანიზაციის სამდივნოში.

*24 საათი*

# დიქტატურიდან დემოკრატიისკენ მიმავალი ფეთქებადსაშიში გზა

ერთ კვირაზე ოდნავ მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ბაღდადში მყოფმა აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა კონდოლიზა რაისმა ერაყის დემოკრატიული მიღწევების შესახებ ამაღლებული განწყობით ილაპარაკა და ერაყელ კოლეგებს ძალადობის ჩასანაცვლებლად პოლიტიკური ალტერნატივის მოძებნაც დაავალა. თუმცა, საპატიო სტუმრის წასვლის შემდეგ (ისევე, როგორც მანამდე) აფეთქებები ერაყში კვლავაც ისმის.

"მეწამული რევოლუციის" სამშობლოში (ძნელი სათქმელია, რატომ უწოდა ჯორჯ ბუშმა ეს სახელი ერაყის დიქტატორის ამერიკული ჯარის დახმარებით დამხობას) ყველა დღე ერთმანეთს ჰგავს. ერთადერთი, რაც შეიძლება მათ ერთმანეთისგან განასხვავებდეს, ტერაქტების შედეგად დაღუპულთა და დაჭრილთა რაოდენობაა.

გუშინაც ერაყში ერთდროულად რამდენიმე ტერაქტი განხორციელდა.

მათგან ყველაზე "მასშტაბურის", დანაღმული ავტომანქანის აფეთქების შედეგად, დაუზუსტებელი მონაცემებით, 10-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა და ასამდე დაიჭრა.

ბაღდადის ჩრდილოეთ ნაწილში, შიიტურ რაიონში მდებარე რესტორანთან აფეთქების ხმა სადილობის დროს, მაშინ გაისმა, როცა იქ ყველაზე მეტი კლიენტი იმყოფებოდა. მართალია, დაღუპულთა და დაჭრილთა რაოდენობა ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ, როგორც სააგენტოები იტყობინებიან, პოპულარულ რესტორანში აფეთქების დროს ასობით ადამიანი სადილობდა. რესტორან "ჰაბაიბნას" სამსართულიანი სახლის ერთ-ერთი სართული უკავია. აფეთქების შედეგად დაზიანდა ახლომდებარე შენობები, დამწვარია რამდენიმე ავტომანქანა.

გუშინვე ქალაქ თაზა-ჰურმას მერიასთან დანაღმული სატვირთო ავტომანქანა აფეთქდა. ტერაქტის შედეგად ხუთი ადამიანი დაიღუპა და 18 დაიჭრა.

მანამდე, დილით, ბაღდადში ერაყის პრემიერ-მინისტრის იბრაჰიმ ალ-ჯაფარის ერთ-ერთი თანაშემწე, "ბოევიკებთან" მებრძოლი სპეციალური ქვედანაყოფის უფროსი მოკლეს. ვაელ რუბაი უცნობმა იმ დროს დაცხრილა, როცა ის ავტომანქანით სამსახურში მიდიოდა. თავდასხმის შედეგად პრემიერის თანაშემწესთან ერთად დაიღუპა მისი მძღოლიც.



*აფეთქებები გრძელდება.*

გუშინდელ ტერაქტებს ერაყის დედაქალაქში წინ უსწრებდა მასშტაბური ანტიტერორისტული ოპერაცია. "ბი ბი სი"-ს ცნობით, ბაღდადის დასავლეთ ნაწილში აბუ-გრეიბის ციხეზე თავდასხმის ორგანიზებაში ეჭვმიტანილები არიან დაკავებულნი. ერაყის უსაფრთხოების ძალები ავრცელებენ ინფორმაციას, რომ სპეციალური რეიდის დროს 285 ადამიანი დააკავეს.

ანტიტერორისტული სპეცოპერაციები ხორციელდებოდა ქვეყნის სხვა რაიონებშიც; მაგალითად, ერაყი-ირანის საზღვართან მდებარე ვასითის პროვინციაში პოლონელმა და ერაყელმა სამხედრო მოსამსახურეებმა, დაახლოებით, 190 ადამიანი დააკავეს. ისინი აჯანყებულთა რაზმებთან კავშირში არიან ეჭვმიტანილნი. ჩხრეკისას ამოღებულია ასაფეთქებელი ნივთიერებები და იარაღი.

ერაყის ხელისუფლების განცხადებით, მასობრივი რეიდების მიზანს ტერაქტების აღკვეთა წარმოადგენს. შეგახსენებთ, მხოლოდ მაისში ერაყში ამბოხებულთა თავდასხმებისა და აფეთქებების შედეგად 550-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

*24 საათი*

# პუტინი "მეგობარი" პრეზიდენტის მამას აჯილდოებს

აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტი ჯორჯ ბუში უფროსი ორშაბათს სამდღიანი არაოფიციალური ვიზიტით რუსეთს ეწვია. ჯერ კიდევ გასულ კვირაში გავრცელებული ინფორმაციით, "დაიმლერ-კრაისლერის" საერთაშორისო საბჭოს მიერ ორგანიზებული ვიზიტის მიზანია კომერციული პროექტების განხილვა.

ამავდროულად, "გორბაჩოვის ფონდის" პრესსამსახური იტყობინება, რომ მოსკოვში ყოფნის დროს აშშ-ს ექს-პრეზიდენტი გორბაჩოვის მიწვევით ორ ღონისძიებაში მიიღებს მონაწილეობას.

მოსკოვში ჩასვლისთანავე საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი "მესაფლავე" რუსეთის პრეზიდენტს შეხვდა და კრემლიდან "ხელდამშვენებულიც" წამოვიდა. ვლადიმირ პუტინმა მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ბუში-უფროსი გამარჯვების დღის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი ჯილდოთი დაასაჩუქრა. "ვიცი, რომ ამ ომში არა მარტო მონაწილეობდით, არამედ ტრაგიკული ამბავიც შეგემთხვათ - ვიცი, რომ ჩამოგაგდეს," - ამბობს ვლადიმირ პუტინი. საქმე ისაა, რომ ჯორჯ ბუში მეორე მსოფლიო ომის დროს სამხედრო მფრინავად მსახურობდა და ერთ-ერთი საბრძოლო ოპერაციის დროს მისი თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

გუშინდელ შეხვედრაზე პუტინს "მეგობარი" პრეზიდენტი ბუშის მოკითხვაც არ დავიწყებია. "ძალიან სასიამოვნო იყო თქვენი შვილის ხილვა გამარჯვების 60 წლის იუბილეზე მოსკოვში. თქვენ კი მინდა, დაგაჯილდოვოთ, როგორც ომის ვეტერანი."

აშშ-ს ყოფილი პრეზიდენტი დღესაც აქტიურ საზოგადო მოღვაწეობას ეწევა. როგორც ამბობენ, მისგან შვილიც ხშირად სარგებლობს რჩევებით. მოსკოვში წამოსვლამდეც შეხვედრია ამერიკის ამჟამინდელ მმართველს ბუში-უფროსი. "პარასკევს საღამოს ამერიკის 43-ე პრეზიდენტთან ერთად ვივახშმე... მას არ უთხოვია რაიმე კონკრეტული გზავნილის გადმოცემა, მაგრამ მითხრა, რომ უზომოდ კმაყოფილია მოსკოვში თავისი ვიზიტით. იგი მიიჩნევს, რომ ვიზიტი წარმატებული იყო. თუმცა, ნეგატიურად აღიქვა ზოგიერთი კრიტიკა, რომელიც შემდგომში მისი მისამართით იყო გამოთქმული. მიუხედავად ამისა, თვლის, რომ გამორჩეული ვიზიტი იყო," - უთხრა ყოფილმა პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინს.

ერთი მნიშვნელოვანი დეტალი - ამერიკელმა სტუმარმა სპეციალურად აღნიშნა, რომ კონკრეტულ საკითხებზე მას შემდეგ ისაუბრებს პუტინთან, რაც პრესის წარმომადგენლები ოთახს დატოვებენ. ასე რომ, ბუში-უფროსისა და პუტინის პირისპირ საუბრის შინაარსი საიდუმლოდ დარჩა.

შეგახსენებთ, ჯორჯ ბუში-უფროსი უკანასკნელად რუსეთში 2003 წლის სექტემბერში კერძო ვიზიტით იმყოფებოდა. მაშინ ყოფილი პრეზიდენტი მოსკოვს, სანკტ-პეტერბურგსა და სოჭს ეწვია. სოჭში მას თავად პუტინი მასპინძლობდა სამთავრობო აგარაკზე "ბოჩარევ რუჩეი"-ში.

## ორი სიტყვით

**ევროპა.** ბრიუსელში ლიტვის, ლატვიის, პოლონეთის, გერმანიისა და სლოვაკეთის თავდაცვის მინისტრებმა ერთობლივი საბრძოლო ჯგუფის შექმნის შესახებ პოლიტიკურ დეკლარაციას მოაწერეს ხელი. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, გაერთიანებული სამხედრო დანაყოფი ევროკავშირის სწრაფი რეაგირების ძალების ნაწილი გახდება.

როგორც ჯერ კიდევ გასული წლის ნოემბერში ევროკავშირის წევრი-სახელმწიფოების თავდაცვის მინისტრები შეთანხმდნენ, ორგანიზაციის სწრაფი რეაგირების ძალები 13 ასეთი ჯგუფისაგან უნდა შედგებოდეს.

ამგვარი ჯგუფების ჩამოყალიბება 2005 წლის დასაწყისში დაიწყო. დღეს დიდი ბრიტანეთის სწრაფი რეაგირების ქვედანაყოფი "მორიგეობს". **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**ახლო აღმოსავლეთი.** ორშაბათს გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პალესტინის ნაციონალური ადმინისტრაციის საპარლამენტო არჩევნები გადავადდება. პალესტინის ადმინისტრაციის საარჩევნო კომისიის წარმომადგენლის თქმით, არჩევნების გადადების მიზეზი 17 ივლისამდე შესასრულებელი სამუშაოებისთვის დროის უქონლობაა.

სააგენტო "ესოშიეიტიდ პრეს"-ის თანახმად, პალესტინის საარჩევნო კომისიაში არჩევნების უზადოდ მომზადებისათვის საარჩევნო კანონის საბოლოოდ დამტკიცების შემდეგ, სულ მცირე, 2 თვეს ითხოვენ.

ზემოაღნიშნული კანონის საბოლოოდ დამტკიცებას კი ხელს უშლის სადეპუტატო მანდატების განაწილებასთან დაკავშირებით პალესტინის ნაციონალური ადმინისტრაციის მეთაურს მაჰმუდ აბასსა და საკანონმდებლო ორგანოს შორის არსებული უთანხმოება.

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, საპარლამენტო არჩევნების ახალი თარიღის დასახელების თხოვნით, მაჰმუდ აბასს უკვე მიმართა საარჩევნო კომისიამ. **რიანოვოსტი**

■ ■ ■

**ამერიკა.** ვენესუელამ შესაძლოა, აშშ-სთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტოს, თუკი ვაშინგტონი კარაკასს კუბელ ტერორისტს ლუის პოსადა კარილესს არ გადასცემს. ამის შესახებ ქვეყნის პრეზიდენტმა უგო ჩავესმა ტელევიზიით გამოსვლისას განაცხადა.

ამასთან, მან აღნიშნა, რომ ამგვარი გადაწყვეტილების მიღებამდე ვენესუელა აშშ-ს მოსაფიქრებლად დროს კიდევ აძლევს.

**"ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ ჯერჯერობით აშშ-ს მთავრობას კუბელი ტერორისტის ლუის პოსადას ექსტრადიციის არანაირი სურვილი არ აქვს,"** - განაცხადა ჩავესმა.

მისივე თქმით, ვენესუელა დამნაშავეთა გადაცემის შესახებ ორმხრივი ხელშეკრულების გათვალისწინებით იმოქმედებს, რომლის თანახმად, ექსტრადიციის მოთხოვნა 60 დღის ვადაში უნდა დაკმაყოფილდეს. აღნიშნული ვადა კი ნელ-ნელა იწურება.

ვენესუელა და კუბა ლუის პოსადა კარილიესს კუბური სამგზავრო თვითმფრინავის და კუბაზე სასტუმროს აფეთქებაში ადანაშაულებენ. 1976 წელს კომპანია "კუბანა დე ავიასიონის" ავიალაინერის აფეთქების შედეგად 73 ადამიანი დაიღუპა.

ითვლება, რომ ამ დივერსიის გეგმა ვენესუელის მოქალაქემ კარილესმა კარაკასში ყოფნისას შეიმუშავა. მის 2 თანამოაზრეს სასამართლომ 20 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. თავად კარილესს კი ამნისტია შეეხო.

77 წლის კარილესი მაიამში ყალბი პასპორტით გასულ კვირას დააკავეს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 13 ივნისს მის საქმეს აშშ-ს სასამართლო განიხილავს. ლუის პოსადა კარილესს ამჯერად საიმიგრაციო კანონის დარღვევაში ადანაშაულებს. **ინტერპრესი**

■ ■ ■

**ინდოეთი.** ინდოეთის დედაქალაქ დელიში, სადაც კვირას ორი კინოთეატრი ააფეთქეს, კიდევ ერთი ტერაქტი განხორციელდა, ამჯერად - უკვე ორშაბათს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აფეთქების შედეგად ერთი ადამიანი დაიჭრა. აფეთქება იმ დროს მოხდა, როცა გამვლელმა მამაკაცმა ქუჩაში ჩანთა იპოვა და მისი გახსნა სცადა. დაჭრილი სასწრაფოდ იქნა საავადმყოფოში გადაყვანილი.

გუშინდელ ტერაქტთან შედარებით გაცილებით მრავალრიცხოვანი იყო კვირას საღამოს 2 კინოთეატრში მომხდარი აფეთქებების შედეგად დაშავებულთა რაოდენობა. კვირის ტერაქტს ერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, ხოლო 60-ზე მეტმა მოქალაქემ სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანება მიიღო.

ორივე კინოთეატრში უჩვენებდნენ ფილმს "ჯო ბოლე სო ნიჰალი", რომელმაც სიკხთა ორგანიზაციების მკაცრი პროტესტი გამოიწვია. მათი აზრით, ფილმის სიუჟეტი სიკხთა რელიგიურ გრძნობებს შეურაცხყოფს. სურათი ინდოეთის კინემატოგრაფიული დედაქალაქის - მუმბაის (ყოფილი ბომბეის) ეკრანებიდან უკვე მოხსნეს. მოელიან, რომ ანალოგიურ გადაწყვეტილებას ინდოეთის ყველაზე მჭიდროდ დასახლებული შტატის - უტარ-პრადეშის ხელისუფლებაც მიიღებს. სამართალდამცველი ორგანოების თანამშრომელთა წინასწარი ვერსიით, დელის კინოთეატრებში მომხდარ აფეთქებებს ტერორისტული აქტის კვალიფიკაცია უნდა მიეცეს, თუმცა ინციდენტზე პასუხისმგებლობა ჯერჯერობით არც ერთ დაჯგუფებას არ აუღია. **ინტერპრესი**

■ ■ ■

**ესპანეთი.** ესპანური გაზეთის "პაის" მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ხელისუფლებამ ქვეყნის შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციის მიზნით დამატებით 2.5 მლრდ ევრო გამოყო. გაზეთმა ზემოაღნიშნული ინფორმაცია ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს წყაროზე დაყრდნობით გაავრცელა.

ამ თანხით ესპანეთის არმიისათვის NH-90 ტიპის საშუალო კლასის 45 ახალი ვერტმფრენის შესყიდვა იგეგმება. გარდა ამისა, სამხედრო-საზღვაო ძალებისათვის ქალაქ ელ-ფეროლის გემთსაშენში "ნავანტია" F-100 კლასის ფრეგატა აიგება, რომლის ღირებულებაც 700 მილიონ ევროს შეადგენს. დღესდღეობით ამავე გემთსაშენში ნორვეგიის დაკვეთით ერთი და იგივე ტიპის 4 გემი მზადდება.

პუერტო-რეალის გემთსაშენში მრავალმხრივი დანიშნულების 4 გემის აგება იგეგმება, რომლებიც ტერორიზმისა და ნარკოტრეფიკის წინააღმდეგ ბრძოლაში სამეთვალყურეო მიზნებით იქნება გამოყენებული. ამავე გემთსაშენში აიგება ორკორპუსიანი ტანკერი.

შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციის მიზნით გამოყოფილი თანხის ნაწილი ტანკსაწინააღმდეგო 3 000 რაკეტის შესყიდვისთვისაა განკუთვნილი.

ზემოაღნიშნულ დამატებით სახსრებს ემატება ის თანხები, რომლებიც შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციის მიზნით ესპანეთის ხელისუფლებამ დღემდე გამოყო და რაც 30 მილიარდ ევროზე მეტია. ეს თანხა EF-2000 ტიპის ავიაგამანადგურებლის, S-80 ტიპის წყალქვეშა ნავის, "ლეოპარდის" ტიპის ტანკების, "ვეფხვის" ტიპის ვერტმფრენებისა და სხვა მოდელების აგებას უნდა მოხმარდეს.

ესპანეთის შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციის პროგრამა რომ სრულყოფილად განხორციელდეს, ხელისუფლებას დამატებით კიდევ უამრავი თანხის გამოყოფა მოუწევს. **24 საათი**

■ ■ ■

**რუსეთი.** რუსეთში სახელმწიფო ვიზიტით მყოფი ინდოეთის პრეზიდენტის აბდულ კალანის სამუშაო პროგრამა გუშინ დაიწყო.

**"ჩვენი ურთიერთობები ვითარდება, თუმცა მეტი ინტენსივობაც არ იქნებოდა ურიგო. რუსეთში ჩემი ვიზიტი სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროში კავშირების ინტენსიფიკაციას ისახავს მიზნად,"** - განაცხადა ინდოეთის პრეზიდენტმა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრაზე. მისივე თქმით, რუსეთსა და ინდოეთს შორის სავაჭრო სფეროში საქონელბრუნვამ 10 წელიწადში 25 მლრდ აშშ დოლარს უნდა მიაღწიოს.

**"ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიყენებთ ვაჭრობის სფეროში ჩვენს სრულ პოტენციალს. დღეს საქონელბრუნვა 3 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს, მაგრამ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებთან შეხვედრისას მე უკვე აღვნიშნე საქონელბრუნვის 25 მლრდ აშშ დოლარამდე გაზრდის რეალური პერსპექტივა,"** - აღნიშნა კალანმა.

ინდოეთის პრეზიდენტმა ტერორიზმის საფრთხესა და მასთან ბრძოლის აუცილებლობაზეც ისაუბრა.

**"ტერორიზმი უდიდესი გამოწვევაა, როგორც ინდოეთისთვის, ასევე რუსეთისთვისაც. ჩვენ უნდა ვიპოვოთ ამ ბოროტების ფესვები,"** - თქვა კალანმა. მისი თქმით, ტერორიზმის ხელშემწყობ ფაქტორად სიღატაკეც შეიძლება ჩაითვალოს, ამიტომ ღარიბი ქვეყნებისათვის მდიდარი ქვეყნების მიერ გაწეული დახმარება ძალიან მნიშვნელოვანია.

დაბოლოს, აბდულ კალანი ბირთვული განიარაღების საკითხსაც შეეხო.

**"დიდძალი ბირთვული მარაგი მრავალ სახელმწიფოს აქვს, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს რუსეთი და აშშ. თუ ისინი დაიწყებენ სრულ ბირთვულ განიარაღებას, მაშინ მათ პატარა სახელმწიფოებიც მიბაძავენ,"** - აღნიშნა ინდოეთის პრეზიდენტმა. **რიანოვოსტი**

# სტატისტიკის დეპარტამენტს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს



*ახალი ხელმძღვანელი უწყებაში რეფორმების გასატარებლად მზადაა.*

ბექა ევგენიძე

გუშინ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრმა ალექსი ალექსიშვილმა სტატისტიკის დეპარტამენტში თანამშრომლებს დეპარტამენტის ახალი თავმჯდომარე ზაზა ბროლაძე წარუდგინა. როგორც მინისტრმა განაცხადა, ახალი ხელმძღვანელი უწყებაში რეფორმების გასატარებლად მზადაა. **"დეპარტამენტში მართვის სისტემა უნდა გაუმჯობესდეს, რათა აქტუალური და საჭირო ინფორმაცია რაც შეიძლება სწრაფად იქნეს მოძიებული. ამის განხორციელება კი ბროლაძემ უნდა შეძლოს,"** - განაცხადა ალექსიშვილმა.

თავის მხრივ, ბროლაძე პირობას დებს, რომ მაქსიმალურად შეასრულებს იმ დავალებებს, რასაც სახელმწიფო მისცემს. აქვე, ახალი ხელმძღვანელი აცხადებს, რომ დეპარტამენტში რადიკალური საკადრო ცვლილებების განხორციელებას არ გეგმავს.

**"მე რევოლუციური ცვლილებებისთვის არ ვარ მოსული და ყველა თანამშრომელს აქტიური მუშაობისაკენ მოვუწოდებ. ჩემი მოსვლა გარკვეულ სამთავრობო პერეტრუბაციას უკავშირდება, ვინაიდან ახალი სისხლი დეპარტამენტის მუშაობას უფრო ეფექტურს გახდის,"** - ამბობს ზაზა ბროლაძე.

ზაზა ბროლაძემ სტატისტიკის დეპარტამენტის თანამდებობაზე თემურ ბერიძე შეცვალა. იგი საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩამოვიდა, არის ილინოისის უნივერსიტეტის მაგისტრი ეკონომიკურ პოლიტიკაში, სხვადასხვა დროს მუშაობდა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე, საგადასახადო შემოსავლების სამინისტროში, ფინანსთა სამინისტროში და ეროვნულ ბანკში.

როგორც ალექსი ალექსიშვილი აცხადებს, **"ბერიძე ქვეყანას კვლავ გამოადგება როგორც პრაქტიკულ, ასევე სამეცნიერო საქმიანობაში."** თუმცა, მინისტრმა არ დააკონკრეტა, სტატისტიკის დეპარტამენტის ყოფილი უფროსი მომავალში სად დასაქმდება.

# განახლებული "წითელი ხიდის" საბაჟო-გამშვები პუნქტი გაიხსნა

## მომდევნო გაჩერება ფსოუს და როკის გვირაბის საბაჟოები იქნება

*გუშინ განახლებული "წითელი ხიდის" საბაჟო-გამშვები პუნქტის პრეზენტაცია საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა გახსნა. როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, პუნქტის რეკონსტრუქცია საბაჟოზე არსებული პრობლემების მოგვარებას არ ნიშნავს, თუმცა პროცესი გამოსწორებისკენ დაიძრა.*

"წითელი ხიდის" საბაჟო-გამშვები პუნქტის რეკონსტრუქცია, რომელიც მძიმე და მსუბუქწონიანი ავტომობილისა და ავტობუსებისთვის ცალ-ცალკე გასასვლელის მშენებლობას ითვალისწინებდა, კვირას დასრულდა. საბაჟო პუნქტის რეკონსტრუქციაზე 4 მილიონი ლარი დაიხარჯა, რომელიც საზღვრის განმტკიცების პროექტის ფარგლებში საქართველოს აშშ-ს მთავრობამ გამოუყო.

ფინანსთა სამინისტრო იმედოვნებს, რომ ამიერიდან მგზავრებს საათობით რიგში დგომა აღარ მოუწევთ. თუმცა, გუშინ ახალი საბაჟო-გამშვები პუნქტისა და წითელი ხიდის ახალი მებაჟეების მიმართ რიგითი მოქალაქეები უკმაყოფილებას მაინც გამოხატავდნენ. მათი თქმით, ახალი შენობის აგების შემდეგ, თანამედროვე ტექნოლოგიასთან ერთად, გაიზარდა ბიუროკრატიზმი და მოქალაქეებს რამდენიმე სახის დოკუმენტის შევსება უწევთ. მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოთქვამს, აგრეთვე, სახელმწიფოს მიერ დაწესებულ 35-პროცენტიან საბაჟო გადასახადზეც და საქართველოს ხელისუფლებას მის შემცირებას სთხოვს. გუშინ საქართველოს პრეზიდენტი ამ მოთხოვნის შესრულებაზე უარს აცხადებდა.

როგორც გუშინ, განახლებული საბაჟო-გამშვები პუნქტის პრეზენტაციაზე, საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, იგი ევროპული სტანდარტების შესაბამისი ქართული საბაჟო პუნქტების გახსნას მდინარე ფსოუზე და როკის გვირაბთანაც გეგმავს. **"არ მოვისვენებ, სანამ ფსოუზე და როკის გვირაბთან ევროპული სტილის ქართული საბაჟოები არ გაიხსნება,"** - აცხადებდა გუშინ საქართველოს პრეზიდენტი.

მიმდინარე წელს ასევე დაგეგმილია სადახლოსა და ყაზბეგში საბაჟო-გამშვები პუნქტების რეკონსტრუქცია.


*"წითელი ხიდის" საბაჟო-გამშვები პუნქტის რეკონსტრუქცია კვირას დასრულდა.*

# აფხაზეთის ტერიტორიაზე ყირგიზეთის ბანკებიც აქტიურობენ

*აფხაზეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკაში რუსული ბანკების უკანონო საქმიანობის შესახებ "24 საათი" ამ ცოტა ხნის წინათ დეტალურად წერდა. თუმცა, როგორც დღეს ირკვევა, მათ გარდა, სეპარატისტთა რეგიონში შეღწევა ყირგიზეთის კომერციულმა ბანკებმაც დაიწყეს.*

მარიამ ჭაჭვაძე

საქართველოს ეროვნული ბანკის ხელთ არსებული ინფორმაციით, აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედ საფინანსო სტრუქტურებთან ყირგიზეთის კომერციული საბანკო დაწესებულებებიც თანამშრომლობენ. ერთ-ერთი ასეთი ბიშკეკში მდებარე "აზიაუნივერსალბანკია", რომლის, ისევე როგორც სხვა ბანკების საქმიანობა, აფხაზეთის ტერიტორიაზე არალეგიტიმურია.

ყირგიზეთის ხელისუფლების ინფორმირების და მათი ბანკების აფხაზურ სტრუქტურებთან უკანონო თანამშრომლობის აღკვეთის მიზნით, ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა რომან გოცირიძემ თავის კოლეგას, ყირგიზეთის ეროვნული ბანკის თავმჯდომარეს ულან სარბანოვს და რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს კურმანბეკ ბაკიევს ოფიციალური წერილები უკვე გაუგზავნა.

რომან გოცირიძის მიერ ყირგიზეთის მთავრობისადმი გაგზავნილ წერილში ნათქვამია: **"ბოლო პერიოდში ადგილი აქვს აფხაზეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის ბანკებსა და ყირგიზეთის ზოგიერთ საბანკო დაწესებულებას შორის კონტაქტების გააქტიურებას. პრობლემაა ის, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღიარების მიუხედავად, ცნობილი მიზეზების გამო, საქართველოს ეროვნული ბანკი მოკლებულია აფხაზური ბანკების საქმიანობის რეგულირების შესაძლებლობას. შესაბამისად, აფხაზეთის საბანკო სტრუქტურები საქართველოს ეროვნული ბანკის ლიცენზიის გარეშე ფუნქციონირებენ, არ ექვემდებარებიან კონტროლისა და ინსპექტირების საქართველოს კანონმდებლობითა და ნორმატიული აქტებით გათვალისწინებულ სისტემასა და ნორმებს. ამდენად, საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპების, მათ შორის, ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობის, კერძოდ, საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის ნორმებიდან გამომდინარე, აფხაზეთის კომერციული ბანკები უნდა განვიხილოთ, როგორც არალეგიტიმური სტრუქტურები."**

რომან გოცირიძე ყურადღებას ამახვილებს იმ საკითხზე, რომ საბანკო სისტემის არაკონტროლირებადი საქმიანობა ყველა პირობას ქმნის სხვადასხვა ფინანსური მაქინაციების - დანაშაულებრივი გზით მიღებული უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის, სხვადასხვა ჯურის ექსტრემისტული და ტერორისტული ფორმირებების დაფინანსების სქემების ასამუშავებლად. აფხაზეთში უკანონოდ მოქმედ კომერციულ ბანკებთან კონტაქტების დამყარებით, ყირგიზეთის ბანკები შესაძლოა, ჩართული აღმოჩნდნენ ამგვარ არასამართლებრივ საქმიანობაში, რაც, თავის მხრივ, უარყოფითად აისახება საერთაშორისო საბანკო წრეებში არა მარტო მათ რეპუტაციაზე, არამედ ნეგატიურად შეიძლება იმოქმედოს მთლიანად ყირგიზეთის ფინანსური სისტემის სტაბილურობაზე, - მიიჩნევს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი.

რომან გოცირიძე ყირგიზეთის ეროვნული ბანკის თავმჯდომარეს მიმართავს თხოვნით, აღნიშნული პრობლემის შესწავლა შესაბამის სტრუქტურებს დაავალოს, მიიღოს გადაწყვეტილება გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციის, დსთ-ს ქვეყნების მეთაურთა მიერ აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების საკითხზე მიღებული გადაწყვეტილებებისა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (რომლის წევრი ყირგიზეთიც არის) შესაბამისი პრინციპების გათვალისწინებით.

რუსეთის ცალკეული ბანკების მხრიდან აფხაზურ საფინანსო სტრუქტურებთან გააქტიურებული თანამშრომლობის შესახებ რომან გოცირიძემ ოფიციალური მიმართვა, რამდენიმე დღის წინ, რუსეთის ფედერაციის ცენტრალური ბანკის თავმჯდომარესა და რუსეთის ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ხელმძღვანელსაც გაუგზავნა.

# 25 მაისს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენში ნავთობს საზეიმოდ გაუშვებენ

*საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის პრეზიდენტები 25 მაისს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენში ნავთობს საზეიმოდ გაუშვებენ. დიდი საექსპორტო მილსადენის მშენებლობა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიამ (BTC Co) უკვე დაასრულა.*

როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაციის ხელმძღვანელმა ნიკოლოზ ვაშაკიძემ განაცხადა, ნავთობსადენში ნავთობის გაშვების საზეიმო ცერემონიალს საქართველოს, თურქეთის და აზერბაიჯანის პრეზიდენტების გარდა, ყაზახეთის პრეზიდენტი და აშშ-ს ენერგეტიკის მინისტრი დაესწრებიან.

**"ის ფაქტი, რომ ნავთობსადენის გახსნის საზეიმო ცერემონიალს ყაზახეთის პრეზიდენტი ესწრება, იმის მაუწყებელია, რომ ნავთობსადენში ყაზახური ნავთობის გატარების საკითხი უკვე გადაწყვეტილია. 25 მაისს ბაქოში გაფორმდება სამთავრობათაშორისო შეთანხმება, სადაც უკვე ოფიციალურად გაირკვევა, რა რაოდენობის ყაზახური ნავთობი გაივლის ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენში,"** - განაცხადა ვაშაკიძემ. მისი თქმით, 25 მაისს ბაქოში ნავთობსადენში გაშვებული ნავთობი საქართველოს საზღვარს ივლისის დასაწყისში გადმოკვეთს, ხოლო სექტემბრის ბოლოს უკვე ჯეიჰანამდე მიაღწევს. **"საქართველომ ნავთობსადენიდან ბევრი სარგებელი მიიღო, ეს არის დივიდენდები, რომელიც უკვე განხორციელდა და მომავალშიც განხორციელდება,"** - განაცხადა ვაშაკიძემ.

მისი თქმით, ნავთობსადენის სრული დატვირთვის შემთხვევაში, საქართველო წელიწადში ნავთობის გატარების ტარიფს - 50 მილიონ დოლარს მიიღებს. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის შესახებ ხელშეკრულება სამ სახელმწიფოს შორის 1999 წელს გაფორმდა, 2002 წელს გაიცა ნავთობსადენის გარემოსდაცვითი ნებართვა, ხოლო მშენებლობა 2003 წელს დაიწყო.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და შაჰდენიზი-ერზერუმის გაზსადენისთვის კომპანია BTC Co 3 მილიარდ დოლარს დახარჯავს. გაზსადენი 2006 წლის სექტემბერში გაიხსნება.

*24 საათი*

# თბილისში ელექტროენერგიის დამტაცებლებს დააჯარიმებენ

1 ივნისიდან დედაქალაქის ელექტროგამანაწილებელი კომპანია "თელასი" ელექტროენერგიის დატაცების ფაქტებზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმების შედგენას დაიწყებს. ამ სიახლესთან დაკავშირებით დღეს "თელასში" საგანგებო ბრიფინგი მოეწყობა.

ბიუჯეტის სასარგებლოდ ფიზიკური ან იურიდიული პირების დაჯარიმებას კომპანია "ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებების და დამატებების შესახებ" კანონში პარლამენტის მიერ 2004 წლის 29 დეკემბერს მიღებული ცვლილებისა და საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2005 წლის 30 მარტის N3 დადგენილების საფუძველზე განახორციელებს.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 961 მუხლის თანახმად, წარმოების ლიცენზიანტის, გადაცემის ან განაწილების ქსელიდან ელექტროენერგიის დატაცება, ე.ი. ელექტროენერგიის მოხმარება მისი აღრიცხვის გარეშე ან აღრიცხვის წესების დარღვევით, ჯარიმით დაისჯება. ფიზიკური პირისათვის ჯარიმა - 600 ლარი, იურიდიული პირისა და დაწესებულებისთვის 5000 ლარი იქნება. იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით, გამოიწვევს ფიზიკური პირის დაჯარიმებას 1200 ლარით, იურიდიული პირისა და დაწესებულების - 15000 ლარით.

საკანონმდებლო ცვლილების თანახმად, თბილისის ელექტროგამანაწილებელი ქსელის ფარგლებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის უფლება ენიჭება "თელასს", როგორც ენერგოსექტორის ლიცენზიანტს. კომპანია, ენერგეტიკის მარეგულირებელი კომისიის მიერ დადგენილი წესის მიხედვით, სამართალდარღვევის ფაქტის აღმოჩენის შემთხვევაში, სათანადო პირს სამართალდარღვევის ოქმს შეუდგენს, რომელიც შემდგომი რეაგირებისთვის სასამართლოს გადაეცემა. სასამართლოს მიერ დადგენილ თანხას სამართალდამრღვევი პირი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადაიხდის. ასე რომ, "თელასი" მომხმარებლებს სამართალდარღვევებისგან თავის შეკავებას ურჩევს და მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის დადგენილი ნორმების შესაბამისად გადახდას სთხოვს.

*24 საათი*

*საბიუჯეტო მონიტორინგი*

EPRC
Economic Policy and Research Center
ეკონომიკური პოლიტიკისა და კვლევის ცენტრი
01 79, თბილისი, საქართველო, შალვა ნუცუბიძის ქ. 1/6
ტელ/ფაქსი (995 32) 92 25 51 www.eprc.ge

ფონდი "ღია საზოგადოება - საქართველო"

# სახაზინო სამსახური საბიუჯეტო მონაცემებს ფარავს და ექვებს აძლიერებს

## ფინანსთა სამინისტრო აგრძელებს ბიუჯეტის მაქინაციებით შესრულება-გადაჭარბების მავნე ტრადიციას?!

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური, უკვე თვეზე მეტია, რაც აღარ გვაწვდის საჯარო ინფორმაციას სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობისა და ბიუჯეტის შემოსავლების შესახებ და ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული ბიულეტენის გამოყენებისკენ მიგვითითებს.

ბიულეტენში გამოქვეყნებული ინფორმაცია არასრული სახით არის წარმოდგენილი, რაც სერიოზული ეჭვის საბაბს გვაძლევს და გვაფიქრებინებს, რომ ფინანსთა სამინისტრო ბიუჯეტის მაქინაციებით შესრულება-გადაჭარბების ჩვეულ მავნე ტრადიციას კვლავაც აგრძელებს.

ჩვენს ეჭვებს კიდევ უფრო აძლიერებს 18 მაისს საქართველოს პარლამენტში შესული "საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ" კანონპროექტი, სადაც სრულიად დაუსაბუთებელია, თუ საიდან და რა წყაროებით ხდება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების ზრდის დაგეგმვა 66,86 მლნ ლარით.

განსაკუთრებით საყურადღებოა ის 20 მლნ ლარი, რომელიც, როგორც კანონპროექტის განმარტებით ბარათშია მითითებული, სახელმწიფო ბიუჯეტის 4 თვის საპროგნოზო მაჩვენებლის გადაჭარბებით მიღებული თანხაა.

ამასთან დაკავშირებით: 1. კანონი "ბიუჯეტისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ" საერთოდ არ იცნობს გეგმის პროგნოზს და დაუშვებელია მისი გამოყენება ბიუჯეტის დაგეგმვისათვის; 2. ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრს არაერთხელ დაუსაბუთებია, რომ ფინანსთა სამინისტროს მიერ სპეციალურად ხდებოდა ყოველთვიური საპროგნოზო გეგმების შემცირება, რათა ყოველი თვის ბოლოს ფინანსთა სამინისტროს "გადაჭარბება" დაეფიქსირებინა. ამ მხრივ, არც 2005 წლის ბიუჯეტი აღმოჩნდა გამონაკლისი - საბიუჯეტო შემოსავლების გეგმები საკმაოდ შემცირებულია და, ალბათ, ისევ გათვლილია წლის ბოლო თვეზე აქცენტის გადატანა.

მაგალითისათვის: ფინანსთა სამინისტროს ვებ-გვერდზე განთავსებული ბიულეტენის მიხედვით, საგადასახადო შემოსავლების 4 თვის პროგნოზი გახლავთ 442,17 მლნ ლარი, ხოლო შესრულება - 487,37 მლნ ლარი. ერთი შეხედვით, გეგმა 10-პროცენტიანი გადაჭარბებით არის შესრულებული, მაგრამ თუ სხვა კუთხით შევხედავთ და იმ ფაქტსაც გავითვალისწინებთ, რომ გაზრდილი გეგმით შესასრულებელია 1657,95 მლნ ლარი, ვნახავთ, რომ 4 თვის გეგმა არის წლიური გეგმის მხოლოდ 27 პროცენტი.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ 5 თვის საგადასახადო შემოსავლების გეგმა არის 576,95 მილიონი ლარი, ნათელია, რომ ასეთი ტემპებით წლის პირველი ნახევრის შესრულება საგადასახადო კუთხით იქნება წლიური მონაცემის 43 პროცენტის ფარგლებში, რაც საკმაოდ დაბალი მაჩვენებელია და ავტომატურად გულისხმობს, რომ ფინანსთა სამინისტრო ბიუჯეტის შესრულებას წლის ბოლო თვეებში სხვადასხვა მაქინაციებით შეეცდება.

ასევე საგულისხმოა ერთი ფაქტი: კანონი "საბიუჯეტო უფლებამოსილების თაობაზე" ითვალისწინებდა, რომ ბიუჯეტის ნახევარი წლის შესრულება, წლის მონაცემთან შედარებით, არანაკლებ 48 პროცენტი უნდა ყოფილიყო, მაგრამ კანონიდან, სამწუხაროდ, ეს მუხლი შარშან ამოიღეს. ამიტომაც მიგვაჩნია, რომ ფინანსთა სამინისტროს ბიუჯეტის შესრულებისათვის, საგადასახადო შემოსავლების მობილიზების კუთხით, დიდი გარჯა მოუწევს. ასევე არავითარი პერსპექტივა არ არსებობს იმისათვის, რომ დღეისათვის საბაჟო შემოსავლები 46,86 მლნ ლარით მეტი დაიგეგმოს.

რეალურადაც რომ გვქონდეს ბიუჯეტის შემოსავლების გადაჭარბება, მთავრობა არ უნდა ზრდიდეს ბიუჯეტის დეფიციტს, არამედ ამ დეფიციტის შემცირებას უნდა ახდენდეს. დღეისათვის კი ბიუჯეტის დეფიციტი გაზრდილია 20 მლნ-ით, რაც მშპ-სთან მიმართებაში 3 პროცენტზე მეტს წარმოადგენს. ეს კი ქვეყნის მაკროეკონომიკურ სტაბილურობას დიდი რისკის ქვეშ აყენებს. ასევე, მთლიანად ქვეყანას ათავსებს რისკიანი ქვეყნების გვერდით, რაც უცხოური ინვესტიციების ფასსაც გაზრდის. ასე რომ, ხარჯების სტიმულირებით გამოწვეული ეს საბიუჯეტო ცვლილებები, ჩვენის აზრით, არამართებულია.

იმისათვის, რომ ამგვარი მოსალოდნელი საფრთხეების თაობაზე დროულად შევძლოთ საზოგადოების ინფორმირება, რადგანაც სხვადასხვა მიზეზების გამო, ფინანსთა სამინისტრო ამგვარ საფრთხეებს სათანადო ყურადღებას ვერ უთმობს, ვიმედოვნებთ, რომ ფინანსთა სამინისტრო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის შესაბამისად, ყოველდღიურ რეჟიმში კვლავაც გამოგვიგზავნის ინფორმაციას სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის თაობაზე.



# "გენერალური პროკურატურა სასტიკ მოპყრობასა და წამებაში ბრალდებულ პოლიციის მაღალჩინოსნებს მფარველობს"

*"მცემდა უსასტიკესად, უკნიდან თავს ვიღაც მიჭერდა, კისრით ვეკავე. წიხლებით მირტყამდა, შუბლში ოთხჯერ მიმარტყა; რატომ მკლავ-მეთქი, - ვკითხე. მიპასუხა, - დაწერე, რომ ნარკოტიკი შენიაო"...- ასე აღწერს მამუკა ჩუბინიძე პოლიციის განყოფილებაში მისი ცემა-წამების ფაქტს.*

ხათუნა ჯანგირაშვილი

როგორც გაირკვა, ნარკოტიკის ყიდვა-გაყიდვის ბრალდებით, საკუთარ სახლში დაკავებულ მამუკა ჩუბინიძეს, მას შემდეგ, რაც მან ადვოკატთან და ადამიანის უფლებების დამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრა მოითხოვა, პოლიციის უფროსმა მეორედ კიდევ სცემა უმოწყალოდ. რაც მთავარია, ცემის შედეგად მიღებული დაზიანებები დაფიქსირებულია შს სამმართველოს დროებითი მოთავსების იზოლატორის ჟურნალშიც, სადაც მამუკა ჩუბინიძე სამართალდამცველებმა პოლიციის განყოფილებიდან გადაიყვანეს.

**"დაკავებულმა დაზიანებები თავად მიაყენა საკუთარ თავს,"** - ასეთი გახლავთ დადგენილების შინაარსი, რომელიც გენერალურმა პროკურატურამ გამოიტანა.

"თავისუფლების ინსტიტუტში" ირწმუნებიან, რომ ნარკოტიკის შენახვა-რეალიზების ბრალდებით დაკავებული მამუკა ჩუბინიძე ისანი-სამგორის რაიონის პოლიციის ერთ-ერთი ქვეგანყოფილების უფროსმა, ვიცე-პოლკოვნიკმა, მამუკა დავითინიძემ აწამა. გენერალური პროკურატურის მტკიცებას, რომ დაკავებულმა "თავად მიიყენა დაზიანებები", კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან ის ექსპერტები და ექიმ-ფსიქიატრები, რომლებმაც დაკავებულისთვის ექსპერტიზის ჩატარება საქმეში "თავისუფლების ინსტიტუტის" ჩარევის შედეგად მოახერხეს.

საქმე ისაა, რომ გამომძიებელმა არ დააკმაყოფილა მამუკა ჩუბინიძის ადვოკატის შუამდგომლობა მისი დაცვის ქვეშ მყოფისთვის სახელმწიფო სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე. "თავისუფლების ინსტიტუტის" წევრების მოთხოვნით, დაკავებულთან ფსიქო-რეაბილიტაციის ცენტრის "ემპათიის" წევრები დაუშვეს. ექსპერტიზის დასკვნა ცემა-წამების ფაქტს ადასტურებს.

ფსიქო-რეაბილიტაციის ცენტრის "ემპათიის" ხელმძღვანელის მაია ჯიშკარიანის განმარტებით, **"სამედიცინო შემოწმების შედეგად სახეზეა სხეულის სერიოზული დაზიანებები, მრავლობითი ჭრილობები, თავის ქალის დახურული ტრავმა. გამოსაკვლევი ობიექტი სერიოზულ ფსიქოლოგიურ-სტრესულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. გამოსაკვლევი ობიექტი აცხადებდა, რომ ის ნარკოტიკის მომხმარებელია და "ლომკაში" იმყოფებოდა, თუმცა ის სიმპტომები და ტკივილები, რაც მას გააჩნდა, არ ახასიათებს ეგრეთ წოდებულ "ლომკას". დაკავების შემდგომ ჩუბინიძეს ნარკოლოგიური ექსპერტიზა ჩაუტარდა, მაგრამ შესაბამისი დოკუმენტაცია ჩვენ არ გვინახავს",** - აცხადებს მაია ჯიშკარიანი. მისივე განმარტებით, **"გამოსაკვლევი ობიექტი, გარდა მიყენებული სერიოზული დაზიანებებისა, განიცდიდა ფსიქოლოგიურ დაძაბულობას და ჰქონდა მოსალოდნელი საშიშროების განცდა".**

ფსიქო-რეაბილიტაციის ცენტრის ხელმძღვანელი ამბობს, რომ მამუკა ჩუბინიძემ განუცხადა ექსპერტებს, რომ წინა მხარის მიდამოში, მართლაც, თავად მიიყენა დაზიანება. ექსპერტის განმარტებითვე, ის დაზიანებები, რომლებსაც პროკურატურა დაკავებულის ნამოქმედარს უწოდებს, პრაქტიკულად, შეუძლებელი იყო, მამუკა ჩუბინიძეს საკუთარი თავისთვის მიეყენებინა. ჩვენი ინფორმაციით, ჩუბინიძემ წინა მხარის მიდამოს დაზიანება ისანი-სამგორის რაიონის პოლიციის შენობაში მიიღო, როდესაც სასამართლო დარბაზში შეყვანისას კედელს ურტყამდა ხელს. **"მიუხედავად მრავალგზის მოთხოვნისა, გამომძიებელმა ადვოკატს, საერთაშორისო ნორმების დარღვევით, უარი უთხრა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, რომლითაც დაკავებულს სახელმწიფო ექსპერტიზა უნდა ჩატარებოდა. საქმეში ჩვენი ჩარევის შემდეგ გამომძიებელი იძულებული გახდა, დაეწერა ბრძანება ექსპერტიზის ჩატარების შესახებ. თუმცა, ექსპერტიზაზე წაყვანის ნაცვლად, მამუკა ჩუბინიძე პოლიციის განყოფილებიდან გამოიყვანეს, აიყვანეს ზედა**(შეგახსენებთ, რომ ისანი-სამგორის რაიონის პოლიცია, პროკურატურა და სასამართლო აქამდე ერთ შენობაში იყო განთავსებული) **სართულზე და რამდენიმე წუთში სასამართლომ მას წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა,"** - გვითხრა "თავისუფლების ინსტიტუტის" წევრმა თეა თუთბერიძემ.

"თავისუფლების ინსტიტუტი" გენერალურ პროკურატურას უპირისპირდება და აცხადებს, რომ გენერალური პროკურატურა სასტიკ მოპყრობასა და წამებში ბრალდებულ პოლიციის მაღალჩინოსნებს მფარველობს.

**"ჩვენ პროტესტს გამოვთქვამთ გენერალური პროკურორის ზურაბ ადეიშვილის 2005 წლის 17 მაისის უკანონო დადგენილების გამო. ამ დადგენილების საფუძველზე, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობიდან თავისუფლდება პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკი მამუკა დავითინიძე, რომელსაც 2004 წლის აგვისტოში დაკავებულის სასტიკ ცემაში ედება ბრალი. პროკურორმა, რომელსაც საქმის გამოძიება ევალებოდა, საქმე დახურა. გენერალური პროკურატურა, სამართალდამცველების პასუხისმგებლობის საკითხის დაყენების ნაცვლად, აცხადებს, რომ დაკავებულმა თავი დაიზიანა. გენერალური პროკურატურისვე გადაწყვეტილებით, დროებითი დაკავების იზოლატორის თანამშრომლის წინააღმდეგ, რომელმაც პოლიციის განყოფილებიდან შეყვანილი დაკავებულის სხეულის დაზიანებები დააფიქსირა, სისხლის სამართლის საქმე აღიძვრება. ჩვენ გენერალურ პროკურატურას მივმართეთ, რის საფუძველზეც, შინაგან საქმეთა სამმართველოს პირველი განყოფილების უფროსის პოლიციის ვიცე-პოლკოვნიკის მამუკა დავითინიძის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და მასზე ძებნა გამოცხადდა. გამოძიება არ ჩატარებულა და დამნაშავე პოლიციელი არ დაუკავებიათ; უფრო მეტიც, მოგვიანებით გენერალურმა პროკურატურამ პოლიციელის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის დახურვის თაობაზე ჯერ სასამართლოს მიმართა, შემდეგ კი საქმე ოფიციალურად დახურულად გამოაცხადა,"** - ამბობს თეა თუთბერიძე.



ვახო ხაინდრავა ფოტო

*"თავისუფლების ინსტიტუტის" ოფისში გუშინ სტუმრად იმყოფებოდა სასტიკად ნაწამები მამუკა ჩუბინიძის დედა.*

"თავისუფლების ინსტიტუტის" ოფისში გუშინ სტუმრად იმყოფებოდა სასტიკად ნაწამები მამუკა ჩუბინიძის დედა, რომელიც დეტალურად იხსენებდა იმ დღეს, როდესაც მის ოჯახში ჯერ - ორი უცნობი, მოგვიანებით კი ერთბაშად 10-15 პოლიციელი შევიდა. **"ჩემი თვალით დავინახე, როგორ დაიხარა ერთ-ერთი მათგანი და როგორ ჩააცურა ჩემს საყვარელ ვაზაში რაღაც. მერე ისევ თვითონ ამოიღო და მობილურით ვიღაცას ამცნო - 0, 034 გრამიაო,"** - ასე იხსენებს მომხდარს ჩუბინიძის დედა. მისი განმარტებით, პოლიციელთა განრისხება მოწმედ შეყვანილმა მეზობლებმა გამოიწვიეს, როდესაც მათ მომხდარის სისწორეში ეჭვი შეიტანეს და უარი განაცხადეს, ჩხრეკის ოქმზე ხელი მოეწერათ.

# რუსეთის თავდაცვის მინისტრის ვაჟმა ავტოავარიის შედეგად ადამიანი მოკლა

პარასკევს, გვიან ღამით მოსკოვში მომხდარი ავტოკატასტროფა სერიოზული სკანდალის საფუძველი გახდა. ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც უცხოურ, პრესტიჟულ მანქანას მართავდა და გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობდა, ფეხით მოსიარულე ასაკოვან ქალს დაეჯახა და სასიკვდილო დაზიანება მიაყენა. რამდენიმე წუთში შემთხვევის ადგილზე მილიციისა და პროკურატურის ხელმძღვანელობამ მოიყარა თავი. საქმე ისაა, რომ ავტომანქანას მართავდა რუსეთის თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვის უფროსი ვაჟი ალექსანდრ ივანოვი. ამის შესახებ ინფორმაცია რუსეთის სამართალდამცველმა სტრუქტურებმა უკვე ოფიციალურად გაავრცელეს. "დიდი სისწრაფით მიმავალმა "ფოლკსვაგენ ბორა"-ს მარკის ავტომანქანამ, რომელსაც ალექსანდრ ივანოვი მართავდა, ფეხით მოსიარულე მოქალაქე სვეტლანა ბერიძე გაიტანა. ავარია ფეხით მოსიარულეთა რეგულირებადი გადასასვლელის ზონაში მოხდა," - ასეთი ინფორმაცია გაავრცელა მოსკოვის მილიციამ. თუმცა, ავარიის გამომწვევი მიზეზები ჯერჯერობით დადგენილი არ არის. გავრცელებული ერთი ვერსიით, ავტოავარია ივანოვის მიზეზით მოხდა, მეორე ვერსიით კი, სვეტლანა ბერიძე გადასასვლელზე იმ დროს გადავიდა, როცა შუქნიშანი მწვანე ფერს აჩვენებდა; ივანოვი ეცადა სიჩქარის შენელებას, მაგრამ მანქანა ახლად დაგებულ ასფალტზე მოსრიალდა და 68 წლის სვეტლანა ბერიძეს დაეჯახა. სხვა ვერსიით, "ფოლკსვაგენი" ქალს იმ დროს დაეჯახა, როცა ის ავტომაგისტრალზე გადარბოდა.

გავრცელებული ინფორმაციით, 28 წლის ალექსანდრ ივანოვის წინააღმდეგ შეიძლება სისხლის სამართლის საქმე აღიძრას რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის 264-ე მუხლის მეორე ნაწილით - საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის კვალიფიკაციით - გაუფრთხილებლობით საგზაო წესების დარღვევა, რასაც ადამიანის სიკვდილი მოჰყვა. იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის თავდაცვის მინისტრის ვაჟს დანაშაული დაუდასტურდება, მას ხუთ წლამდე პატიმრობა და სამი წლით სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევა ელის.

რუსეთის თავდაცვის მინისტრს ორი ვაჟი ჰყავს. მის 24 წლის ვაჟზე სერგეი ივანოვზე ცოტა ხნის წინ ჟურნალი "ფორბსი" წერდა. მარტში ჟურნალმა გამოაქვეყნა სტატია, რომლის მიხედვითაც, "გაზპრომის" მთავარი ფინანსური ცენტრის "გაზპრომბანკის" ვიცე-პრეზიდენტად დაინიშნა რუსეთის თავდაცვის მინისტრის 24 წლის ვაჟი სერგეი ივანოვი.

თავდაცვის უწყების ხელმძღვანელი თავის ვაჟებზე არ ლაპარაკობს, თავად ახალგაზრდები კი პრესას გაურბიან.

# პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე პატიმრობაში დარჩა

თბილისის საოლქო სასამართლოს განჩინებით, პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილე ლაშა ჭიჭინაძე კვლავ წინასწარ პატიმრობაში დარჩება.

საოლქო სასამართლომ ძალაში დატოვა ამავე სასამართლოს 18 მაისის გადაწყვეტილება, რომლითაც ლაშა ჭიჭინაძეს წინასწარი პატიმრობის ვადა კიდევ ორი თვით გაუგრძელდა.

პროცესი ხმაურის ფონზე მიმდინარეობდა. მოსამართლეს განჩინების ბოლომდე წაკითხვის საშუალება არ მიეცა, რადგან განჩინების გამოცხადებამ ჭიჭინაძის ნათესავებისა და მხარდამჭერების აღშფოთება და ვნებათაღელვა გამოიწვია. პროცესზე პროფკავშირების გაერთიანება სასამართლოს გირაოს გადახდასაც სთავაზობდა ჭიჭინაძისთვის წინასწარი პატიმრობის შემცველი აღმკვეთი ღონისძიების სხვა არასაპატიმრო ფორმით შეცვლის სანაცვლოდ. გირაოს სახით, გაერთიანება მის კუთვნილებაში არსებული ერთ-ერთი სასტუმროს აქციებს დებდა, რომლის ღირებულება, დაახლოებით, 680 ათასი ლარია. მოსამართლემ აღნიშნული შუამდგომლობა არ გაითვალისწინა და ჭიჭინაძე კვლავ წინასწარ პატიმრობაში დატოვა.

ლაშა ჭიჭინაძე 2005 წლის 19 თებერვალს დააკავეს. მას ფინანსურმა პოლიციამ თაღლითობის მუხლი წაუყენა.

*ინტერ-პრესი*

# თამაზ ბაკურიძე თავს პოლიტპატიმრად მიიჩნევს

აჭარის ტელერადიომაუწყებლობის ყოფილი ხელმძღვანელის, განსასჯელ თამაზ ბაკურიძის უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციები აჭარის მართლმსაჯულების წარმომადგენლებს განაჩენის გამოტანის დროს ობიექტურობის დაცვას სთხოვენ.

გუშინ ბათუმის საქალაქო სასამართლომ ბაკურიძის წინააღმდეგ აღძრული საქმის არსებითი განხილვა დაასრულა; შესაბამისად, უახლოეს ხანში განაჩენი იქნება გამოტანილი.

როგორც გუშინ ჟურნალისტთა სახლში გამართულ პრესკონფერენციაზე არასამთავრობო ორგანიზაცია "საქართველოს დემოკრატიული პრინციპებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის კავშირის" წარმომადგენელმა დავით ლილუაშვილმა განაცხადა, ბაკურიძის წინააღმდეგ აღძრული საქმის სასამართლოში განხილვის პერიოდში პროცესებზე მხარეთა შორის შეჯიბრებითობის პრინციპი აბსოლუტურად დარღვეული იყო. მისივე თქმით, მოსამართლე ხმაშურიძემ პროკურატურას ბრალის მტკიცებისთვის შეუზღუდავი საშუალება მისცა, ხოლო ადვოკატის შუამდგომლობების უმრავლესობა საერთოდ უგულვებელყო.

როგორც პრესკონფერენციაზე განმარტეს, სასამართლო სხდომები დაზარალებული მხარის გარეშე წარიმართა - ანუ არ არსებობს პირი, რომელსაც ბაკურიძის არაკანონიერი ქმედებით მნიშვნელოვანი ზარალი მიადგა.

ბაკურიძის მხარდამჭერები თვლიან, რომ ასლან აბაშიძის ხელისუფლების პერიოდში ჟურნალისტის წინააღმდეგ განხორციელებული არაკანონიერი სისხლის სამართლებრივი დევნა ინერციით გააგრძელა ახალმა ხელისუფლებამ. თავად განსასჯელი თავს პოლიტპატიმრად მიიჩნევს და ხელისუფლებას სთხოვს - ნუ დაუშვებენ პრეცედენტს, რომ ქვეყანას საპატიმროში ჟურნალისტი პოლიტპატიმრის სტატუსით ჰყავდეს.

აჭარის ტელერადიომაუწყებლობის ყოფილი ხელმძღვანელი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი მეთაურის ასლან აბაშიძის პრესსამსახურის უფროსი თამაზ ბაკურიძე 2004 წლის სექტემბერში დააკავეს. მას ბრალად ედება აჭარის ტელევიზიის კუთვნილი თანხების არამიზნობრივად ხარჯვა, გადასახადებისგან თავის არიდება, ბიუჯეტისთვის განსაკუთრებით დიდი ოდენობით ზარალის მიყენება და თანხების მითვისება. დამტკიცების შემთხვევაში, ეს ბრალდებები 10-დან 15 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

*ინტერ-პრესი*

# სულხან მოლაშვილის საქმეს საქალაქო სასამართლო განიხილავს

კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარის სულხან მოლაშვილის სასამართლო პროცესის დანიშვნის ვადა კვლავ უცნობია. მოლაშვილის ადვოკატის შალვა შავგულიძის განცხადებით, თბილისის ისან-სამგორის რაიონულმა სასამართლომ გაიზიარა მათი შუამდგომლობა და საქმე განსახილველად უზენაეს სასამართლოს გადაუგზავნა. თუმცა, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის კოტე კუბლაშვილის გადაწყვეტილებით, ერთი თვეა, რაც საქმე ისევ რაიონულ სასამართლოს დაუბრუნდა.

შავგულიძის თქმით, სასამართლოებში სტრუქტურული რეფორმის შესაბამისად, საქმე საქალაქო სასამართლოს გადაეცა. პროცესის დანიშვნის გაჭიანურებაც, შესაძლოა, სწორედ ამას უკავშირდება.

მისი განცხადებით, როგორც კი მოლაშვილის საქმე კონკრეტულ მოსამართლეს დაეწერება და პროცესი დაინიშნება, იგი ამ მოსამართლის აცილების საკითხს აუცილებლად დააყენებს. მოტივი იგივე რჩება - ადვოკატი მიიჩნევს, რომ კონტროლის პალატის ყოფილი უფროსის საქმე უზენაესი სასამართლოს განსჯადობას მიეკუთვნება.

ჯერჯერობით არ დანიშნულა პროცესი არც ევროსასამართლოში. ერთადერთი, რაც ევროსასამართლომ გადაწყვიტა, ის არის, რომ სულხან მოლაშვილის საქმეს დაჩქარებული წესით განიხილავს.

ადვოკატის თქმით, ამ სტრუქტურაში, ჩვეულებრივ, საქმის განხილვა 2-3 წელიწადს მიმდინარეობს, კონტროლის პალატის ყოფილი ხელმძღვანელის შემთხვევაში კი, ეს ვადები გაცილებით ნაკლები იქნება.

*მედიანიუსი*

# ლევან სამხარაულის მკვლელობის თვითმხილველი დაკითხეს

იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ცენტრის უფროსის ლევან სამხარაულის მკვლელობასთან დაკავშირებით გამოძიებამ უკვე დაკითხა სამხარაულის მეგობარი და მკვლელობის უშუალო მოწმე ზეზვა ასაბაშვილი.

ასაბაშვილი, რომელიც მძიმედ დაჭრილია, ამჟამად თბილისის ერთ-ერთ კლინიკაში იმყოფება. მას უკვე გაუკეთდა ოპერაცია.

კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსის თემურ ანჯაფარიძის თქმით, ასაბაშვილი მკვლელობის მოტივებზე ვერ საუბრობს და აცხადებს, რომ ინციდენტამდე არც მას და არც ლევან სამხარაულს მკვლელთან, თავიანთ კლასელთან, დავით მჭედლიშვილთან უთანხმოება არ ჰქონიათ.

მისი განმარტებით, ლევან სამხარაული წარმოშობით ყვარლიდანაა და იქ მეგობრის დედის პანაშვიდზე იყო ჩასული. ქუჩაში მათ შემთხვევით შეხვდათ დავით მჭედლიშვილი და ჩვეულებრივად მოიკითხეს ერთმანეთი. საუბრის დროს მჭედლიშვილმა სამხარაულს და ასაბაშვილს "ტტ"-ს სისტემის პისტოლეტიდან მოულოდნელად ესროლა. დაჭრილებმა გაქცევა სცადეს, მაგრამ მათ მჭედლიშვილი დაედევნა და კიდევ რამდენჯერმე ესროლა სამხარაულს, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა. მკვლელობის შემდეგ კი მჭედლიშვილმა საკუთარ სახლში თავი მოიკლა.

ლევან სამხარაული 24 წლის იყო, უცოლშვილო. იგი შაბათს დაბრუნდა ჰოლანდიიდან, სადაც სამსახურებრივ მივლინებაში იმყოფებოდა. დავით მჭედლიშვილი არსად არ მუშაობდა. მას კრიმინალური წარსული არ ჰქონდა. ახლობლები მის ფსიქიკურ მდგომარეობაზე ვერაფერს ამბობენ.

*პრაიმ-ნიუსი*

# ბათუმის საპყრობილიდან კომპიუტერები ამოიღეს

შესაძლოა, ახლო მომავალში ბათუმის მესამე საპყრობილის ადმინისტრაციის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხი დაისვას. ამის მიზეზი იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ იზოლატორში ჩატარებული არაგეგმიური ჩხრეკა გახდა. ჩხრეკის შედეგად საკანში სხვადასხვა სახის აკრძალული ნივთები აღმოჩნდა, მათ შორის - ორი კომპიუტერი, კომპიუტერის 5 ცალი დისკეტა, 27 ცალი მობილური ტელეფონი, 10 ცალი დანა, ტელეფონის 40 ცალი სატენი, 30 ცალი მჩხვლეტავი და ბასრი საგანი, 10 ლიტრი ალკოჰოლური სასმელი "ბრაგა".

გარდა ამისა, ჩხრეკისას აღმოაჩინეს ფხვნილი, რომელიც, სავარაუდოდ, ნარკოტიკული ნივთიერებაა და ექსპერტიზაზე გაიგზავნა. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობის განცხადებით, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ჩატარდება მოკვლევა, რის შედეგადაც გაირკვევა საპყრობილის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხი. ბათუმის მესამე საპყრობილის დირექტორმა დავით გოგმაჩაძემ გუშინ კომენტარისგან თავი შეიკავა.

*ინტერ-პრესი*


**უფასო იურიდიული კონსულტაციის ქვითარი**

**ა ნ კ ე ტ ა**

**სახელი, გვარი**........................................

**ასაკი, პროფესია, სამუშაო ადგილი**........................................

**საკონტაქტო ტელეფონი**........................................

იურიდიული ოფისი "გაპი" - წერეთლის გამზ. 77. ტელ/ფაქსი: 34-76-58. www.gapi.ge

გაზეთ "24 საათის" მკითხველს აქვს შესაძლებლობა მიიღოს უფასო იურიდიული კონსულტაცია მისთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე. [illegible]

# რუსეთი და კავკასია

## ვარლამ ჩერქეზიშვილი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ

*XX საუკუნის დასაწყისამდე ორი ქვეყნის პოლიტიკური ურთიერთობის ისტორია ყველაზე ამომწურავად გააანალიზა ივანე ჯავახიშვილმა. ქართველი მოღვაწეები მანამდეც ცდილობდნენ, შეესწავლათ და შეეფასებინათ ეს პრობლემა, ამით, ჩვენი იმჟამინდელი საზოგადოებისათვის რაციონალური სამომავლო გზები დაესახათ. მიხეილ ხელთუფლიშვილის, ზურაბ ავალიშვილისა და სხვათა ნაშრომები ამ მხრივ მრავალ საგულისხმო ნააზრევს შეიცავენ.*

*სხვა ავტორთაგან განსხვავებით, ვარლამ ჩერქეზიშვილის ნაწერები იმითაც გახლდათ გამორჩეული, რომ ისინი უმთავრესად საზღვარგარეთ ქვეყნდებოდა. აქაურ ავტორებს თუ იმპერიის ცენზურა ახრჩობდა, 1876 წლიდან ევროპულ ემიგრაციაში, უმთავრესად კი ინგლისში მცხოვრებ ვარლამ ჩერქეზიშვილს ამ მხრივ, მის მოძულე რუსეთის იმპერიულ ხელისუფლებასთან მოსარიდებელი არაფერი ჰქონდა. იგი იყო უპირველესი ქართველი მოღვაწე, რომელიც XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან დასავლური საზოგადოების წინაშე დაუღალავად ეწეოდა თავისი ქვეყნის პოლიტიკური თავისუფლების პროპაგანდას.*

*სამწუხაროდ, ჩვენთვის ვარლამ ჩერქეზიშვილის ევროპულ-ამერიკულ პრესაში გამოქვეყნებული რამდენიმე წერილია ცნობილი. 1888 წელს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებისადმი მიძღვნილი მისი პირველი წერილი სახელგანთქმულ ინგლისურ "ტაიმსში" გამოქვეყნდა. მისივე სიტყვებით, წერილი ეხებოდა "ჩვენს ხელშეკრულებას და რუსის მთავრობის მიერ გათელილ ჩვენს უფლებებს." 1895 წელს ინგლისურ ჟურნალში "Nineteenth Century" (მეცხრამეტე საუკუნე) კვლავ ვრცელი სტატია მიუძღვნა ძველ თემას, სათაურით: "საქართველოს ხელშეკრულებები რუსეთთან." 1898 წელს ლონდონში არსებულმა "თავისუფალი რუსული პრესის ფონდმა", თავისი გამოცემის "მფრინავი ფურცლების" 42-ე ნომერში გამოაქვეყნა ჩერქეზიშვილის სტატია "წერილი საქართველოს შესახებ" და სხვ.*

*ამჯერად მკითხველს ვთავაზობთ ვარლამ ჩერქეზიშვილის ერთ უცნობ წერილს. იგი გადმოგვცა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა გიორგი ჯავახიშვილმა, რის გამოც დიდ მადლობას ვუძღვნით. წერილის სათაურია: "რუსეთი და კავკასია." იგი დაწერილია თბილისში და დათარიღებულია 1891 წლის 12 აპრილით, რაც იმას ნიშნავს, რომ იმ დროს ჩერქეზიშვილი მცირე ხნით და საიდუმლოდ იმყოფებოდა სამშობლოში. იმპერიის ხელისუფლება მას დევნიდა, ვითარცა მისთვის ერთ-ერთ საშიშ რევოლუციონერს, ხოლო ევროპის მრავალი ქვეყნიდან იგი გაძევებული გახლდათ, როგორც საერთაშორისო ანარქისტული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. 1891 წლის დეკემბერში ჩერქეზიშვილი უკვე სტამბოლშია. სწორედ ამ თვის 27-ში, წერილი როგორც ჩანს იგზავნება რომელიღაც ინგლისურ გაზეთში, რომლის კორესპონდენტიცაა ქართველი პატრიოტ-ანარქისტი. მივყვეთ წერილს, რომელსაც ვაქვეყნებთ შემოკლებით. აქვე განვმარტავთ, რომ წერილში ზოგიერთი ისტორიული ფაქტი არაზუსტადაა დათარიღებული ან გადმოცემული, რაც მაშინდელი ისტორიოგრაფიული ცოდნითაა განპირობებული.*



*ვარლამ ჩერქეზიშვილი*

საქართველოს (კავკასიის) პროვინციების რუსეთთან შეერთების ამბავი ცოტად არის ცნობილი, და ეს ამბავი იციან მხოლოდ იმათ, ვისაც განსაკუთრებით შეუსწავლიათ ეს შტო ეტნოგრაფიულის მეცნიერებისა. თუ როგორ ცბიერებით შთანთქა რუსეთის განძლიერებულმა იმპერიამ ეს მამაცი და თავისუფალი ერი, ეს ამბავი ისე მიაგავს აწინდელს პოლიტიკურს ამბებს ბალკანიის ნახევარს კუნძულზედ, რომ თქვენის მკითხველებისათვის უმნიშვნელო არ იქმნება ვაცნობო ეს ახლა, როდესაც ევროპაში დიპლომატია სცდილობს როგორმე აიცდინოს თავიდამ საშიში მდგომარეობა, შექმნილი სხვა-და-სხვა გარემოებათაგან. როდესაც პეტრე დიდმა 1723 წელს სპარსეთს ომი აუტეხა რუსეთის ძლიერების გასავრცელებლად კასპიის ზღვის ნაპირზედ, მაშინ მან ელჩად გაგზავნა თავადი გალიცინი მაშინდელ საქართველოს მეფესთან ვახტანგ მეექვსესთან და სთხოვა რუსეთის ჯარს შესწევნოდა; სამაგიეროდ იგი ჰპირდებოდა საქართველოს განთავისუფლებას ურწმუნოთა შეწუხებისაგან, ჰპირდებოდა, რომ მეფე ვახტანგს დაუმკვიდრებდა ბატონობას ამიერ კავკასიის ყველა ხალხებზედ და ქვეყანასაც შემწეობა აღუთქვა.

მეფე ვახტანგი დასთანხმდა ამ პირობაზედ და 1723 წელსა სექტემბერში 60 ათასი ჯარის კაცით შეუერთდა რუსეთის ჯარს. შეერთბულის ჯარით მალე სრულიად დაამარცხეს სპარსეთის ლაშქარი. მაგრამ ამ ომს მოჰყვა 1723 წ. შერიგების ტრაქტატი რუსეთსა და ოსმალეთს შორის და ამ ტრაქტატში პეტრე სრულიად არ იხსენიებდა თავის დახმარებულ მოკავშირეს და ოსმალეთს ნებას აძლევდა თავს დასხმოდა საქართველოს. ამის შემდეგ გაიარა ორმოცდახუთმა წელმა და 1769 წელს, ეკატერინე II-ის დროს, პირველმა მინისტრმა პანინმა შეუთვალა მაშინდელ საქართველოს მეფეს ირაკლი მეორეს, კავშირით შეჰკვროდა რუსეთს ოსმალეთის წინააღმდეგ და სამაგიეროდ ჰპირდებოდა დაეცვა უვნებელი საქართველოს საზღვრები და შეენახა მისთვის ის ქვეყნები, რომელნიც ირაკლიმ ოსმალეთს წაართვა.

ამავე დროს ირაკლის კარზედ მოვიდნენ ხვანთქარის ელჩები და მსგავსავე შეწევნას დაჰპირდნენ, ოღონდ რუსეთის წინააღმდეგ ომში დაგვეხმარეო: მაგრამ ირაკლიმ რუსეთთან კავშირი ამჯობინა და ასტყდა ომი. რუსეთის და საქართველოს შეერთებული ჯარი წავიდა ახალციხისაკენ და აქ ასპინძასთან მოგროვილი ძლიერი ჯარი ოსმალეთისა თავს დაესხა მათ. ამ დროს რუსეთის სარდალმა ტოტლებენმა უეცრად უბრძანა რუსეთის ჯარს უკან წასულიყო და თუმცა ქართველები სარდალს ევედრებოდნენ შეწევნას, მან ყური არ ათხოვა, და მხოლოდ ქართველების თავგანწირულს სიმამაცეს უნდა მიეწეროს, რომ მათ დაამარცხეს და გააბრუნეს თავ-დასხმულნი ოსმალნი.

კიდევ, 1787 წ. ჩინგილოს ციხესიმაგრესთან რუსები ეგრეთვე მოიქცნენ: დაანებეს თავი ბრძოლის ველს და ქართველები მიანებეს მათს მხვედრს, რომელიც ეხლა-კი დამარცხებად გარდაიქცა. მაგრამ ყველაზედ თვალსაჩინო მაგალითი რუსეთის ღალატისა მათ ახალ-მოკავშირეთადმი მოჰხდა 1795 წელს, როდესაც რუსებმა არ მიჰხედეს ირაკლი II-თან შეკრულ ტრაქტატს. ირაკლი ენდო ამ ტრაქტატს, გასწყვიტა მეგობრობა და კავშირი ოსმალებთან და სპარსელებთან და აი - შაჰი აღა-მახმადხანი დაეცა მის ქვეყანას 60 ათასი კაცით: ირაკლიმ სთხოვა შემწეობა რუსეთის სარდალს, მაგრამ ცივი უარი მიიღო. როდესაც სპარსელებმა სრულიად დაიპყრეს და მოაოხრეს აღმოსავლეთის საქართველო, მხოლოდ მაშინ ინებეს და ათასხუთასი ყაზახი გამოგზავნეს სამოცი ათას სპარსელის წინააღმდეგ და ეს მცირე ჯარი ისევ უკან დაბრუნდა, რომ შემოსული სპარსელეები არც-კი უნახავთ.

ირაკლის სიკვდილის შემდეგ, იმისმა შვილმა გიორგი მეცამეტემ რა ნახა, რომ ქვეყანა გაოხრებულია და ყოველს წუთს შეიძლებოდა ოსმალო-სპარსთა ბრბონი თავს დასხმოდნენ, გაგზავნა პავლე პირველთან სამი ელჩი: გარსევან ჭავჭავაძე, ელიზბარ ფალავანდიშვილი და გიორგი ავალიშვილი, და მოიწვია საქაართველო რუსეთთან შეეერთებინათ, განსაზღვრულის პირობით. იმპერატორი დასთანხმდა და 1800 წელს, ნოემბერში დააკანონა ეს შეერთება ტრაქტატით, რომელსაც შემდეგ ძალა მიეცა იმერეთისა, სამეგრელოსი, გურიისა, საზოგადოდ დასავლეთის საქართველოს შესახებაც... აი უმთავრესი მუხლნი ამ ტრაქტატისა: 1) მეფე გიორგი, თავად-აზნაურნი, სამღვდელონი და ხალხი რუსეთის ქვეშევრდომობას კისრულობს. 2) გიორგი მეცამეტეს და მისთა შთამომავალთა უნდა ეკუთვნოდეთ საქართველოს ტახტი; ჰქონდეთ მეფის ხარისხი და ყოველივე აღმასრულებელი უფლება და არა კანონმდებლობითი. 3) საქართველოს ყოველივე მადანი უნდა დაეთმოს რუსეთს და სამაგიეროდ უნდა საქართველომ მიიღოს მამული რუსეთში. 4) საქართელოს ციხეებში, მეციხოვნეებად ყველგან რუსის ჯარი უნდა ჩადგეს არა უმეტეს ათასის კაცისა. 5) საქართველოს ფულის ერთს მხარეზედ საქართველოს ღერბი უნდა ჰქონდეს და მეორეზედ რუსეთისა...

ამ ტრაქტატის დამტკიცების შემდეგ პავლე პირველმა 1801 წლის იანვარში გამოსცა მანიფესტი, რომ მიღებულ იქმნეს სურვილი მეფისა და მის ხალხისა და უბრძანეთ, რომ ჩვენი ჯარი საქართველოს პროვინციებში მშვიდობის დასაცველად და საზღვრების დასაფარავად იქმნება და ჩვენ ვაცხადებთ და თავდებათ მოგვყავს ჩვენი მეფური სიტყვა და პატიოსნება, რომ საქართველოს სამეფოს შემოერთების დროდგან ჩვენ იმპერიასთან არა მარტო დაცულ იქმნან ყოველი აწინდელი უფლებანი ჩვენთან ახლად შემოერთებულ ჩვენ საყვარელ ქვეშევრდომთა და მათნი სამფლობელონი, არამედ ამ ქვეყნის მცხოვრებთ ვანიჭებთ ყოველსავე უფლებას, ჩვენის ძველის საკუთარ მცხოვრებთა, ქვეშევრდომობისას... გიორგის შემდეგ მისი შვილი და მემკვიდრე დავით აღვიდა ტახტზედ და ამან ტრაქტატის თანახმად მოაწყო აღმასრულებელი უფლების წესი და რიგი და პავლეს მემკვიდრემ, იმპერატორმა ალექსანდრემ გამოსცა მანიფესტი, რომელიც სხვათა შორის ამბობდა: "ავედითრა სრულიად რუსეთის ტახტზედ, აღვიარეთ რომ საქართველოს სამეფო შემოერთებულია ჩვენს იმპერიასთან, როგორც გამოცხადებულია იმპერატორის მანიფესტში 18 იანვარს 1801 წ." ამის შემდეგ მხოლოდ იმას სცდილობდნენ ტრაქტატის ძალა შეემცირებინათ და ქართველებისთვის მათი უფლებანი სათითაოდ ჩამოერთმიათ. იმპერატორმა ალექსანდრემ არ მიჰხედა თავის მანიფესტს და სახელმწიფო რჩევას, წარუდგინა აზრი სრულიად საქართველოს შემოერთებაზე...

ამ დროს პეტერბურგში შეანზადეს სამხედრო და ბიუროკრატიული წეს-წყობილება საქართველოს პროვინციად გასაგებად. გაოცებულნი და ამ ღალატით გულ-მოსულნი ქართველები აღელვდნენ და აჯანყდნენ, მაგრამ მალე იქმნენ დამარცხებულნი, რადგან ყაზახებს ეჭირათ იმათი დედა-ქალაქი, ციხე-სიმაგრე და დარიალის ვიწრო ხეობა, საიდამაც შეიძლებოდა იმათ ქვეყანაში შესვლა.

საბრალო მსხვერპლთ მხოლოდ ის-ღა დარჩათ დაჰმორჩილებოდნენ და რუსები ფორმალურად შეუდგნენ მთავრობის მოწყობას... რუსის დელეგატი იმერეთში სოკოლოვი ამბობს: "როდესაც იწყობდნენ პლანს ქვეყნის მართვისას, გარყვნილი ჩინოვნიკები ხელებს ისრესდნენ სიამოვნებით, რაკი აგონდებოდათ, თუ რა სარგებლობა და გამორჩენა ექმნებოდათ ცუდის გამგებლობის წყალობით; მოხელენი ყოვლად ულირსნი იყვნენ: იმათ არც საზოგადოების სამსახური ჰქონდათ გულში, არც ქვეყნის სიკეთე და კალმით ვერ აიწერებოდა მათი უწესოება და გარყვნილი ცხოვრება..." კნორინგისადმი რაპორტში გენერალი ლაზარევი სჩივის, რომ აქ, საქართველოში, ყველანი მხოლოდ ხალხის ცარცვასა სცდილობენ; გლეჯა და რბევა, რომელიც ქართველებისათვის სრულიად უცხოა, წესად გარდაიქცა და ამ ამბავმა ჩამოაგდო საშინელი სიძულვილი მოხელეებისადმი. ხალხს იმედი არა აქვს რომ მისი მდგომარეობა გაუმჯობესდება. "ყველა კანცელარიებში ქართველებს ძალიან ცუდად ექცეოდნენ და ცუდათ უბრალოზედ სცემდნენ კიდეც, ხელებს ზურგს უკან უკრავდნენ, ყელზედ თოკს უჭერდნენ და ისე ათრევდნენ აქა-იქ, როდესაც რუსის ჩინოვნიკები მათ ცოლებს და ქალებს სოფლებში აუპატიურებდნენ." ეს საშინელი ამბები მონათხრობია თებერვალში 1803 წ. ციციანოვის (ციციშვილის) რაპორტში იმპერატორ ალექსანდრეს დროს.

ეს მოხდა მაშინ, როდესაც რუსეთმა ის-ის იყო დაიწყო ახალი ქვეყნის მართვა. ამ გვარმა მოძრაობამ: "კნუტისაგან" საქმის გაჭირვებამ და ენით უთქმელმა წვალებამ სამხედრო ბეგარის დროს, გამოიწვია აჯანყება მთის ხალხისა, რომელმაც დაიჭირა მთის გასავალი, მოჰკლა პოლიციის უფროსი და უსიკვდილოდ არ უშვებდა არც ერთ რუსს, რომელიც-კი იმათ ქვეყანაში შესვლას განიზრახავდა. ხალხი განწირულებაში ჩავარდა მწუხარებისაგან, მხეცურის მოპყრობისა და ვითომდა მათ განმანთავისუფლებელ უსამართლოებისაგან და გადასწყვიტა სასიკვდინოთ თავი აღარ დაეზოგნა...

...პრაქტიკული შედეგი ამ საშინელ სისტემისა ის იყო, რომ ეს ქვეყანა ეხლა განადგურებულია, ნაციონალური სკოლები დაკეტილია, ქართული ენის ხმარება აღკრძალულია თვით ეკლესიებში და საეკლესიო წესების აგების დროსაც-კი; მსაჯულნი იმის მაგიერ, რომ თავისუფლად ამორჩეულნი ქართველნი იყვნენ, მთავრობისაგან რუსნი არიან დანიშნულნი; ქართველებს აღარსად სამსახურს არ აძლევენ; მათგანნი გავლენიანნი და შესანიშნავნი კაცნი, როგორც მაგალითად დიმიტრი ყიფიანი, - მარშალი თავად-აზნაურობისა, იდევნებიან განუკითხველად; საზოგადო აზრი დამონებულია... გაზეთები მთავრობის დაქირავებულნი არიან და არც ერთს კერძო ოჯახს არა აქვს ნება პოლიციის ნება-დაურთველად ათიოდე მეგობარი თავისთან შეჰყაროს; აი რა მოჰყვა რუსეთისაგან განთავისუფლებას იმ ხალხისა, რომლის მიწა-წყლის დაჭერამდე ხმამაღლა აცხადებდა, რომ "მე არ მწადია ქვეყნების დაპყრობა და ჩემი უფლების გავრცელებაო."

■ ■ ■

*ამის შემდეგ, ვარლამ ჩერქეზიშვილი აფრთხილებდა ბულგარელებს და ბალკანეთის ნახევარკუნძულის სხვა ხალხებს, რათა ზედმეტად არ მინდობოდნენ რუსეთის ხელისუფლების დაპირებებს და არ გაეზიარებინათ მოტყუებული საქართველოს ბედი. პუბლიკაციას კვლავ ჩერქეზიშვილის სიტყვებით დავასრულებთ. ესაა ამონარიდი მის მიერ ინგლისურ ჟურნალში "მეცხრამეტე საუკუნე" გამოქვეყნებული სტატიიდან: "საქართველოს ხელშეკრულებები რუსეთთან", რომელიც მკვლევარმა გოჩა ფერაძემ მოიძია და ქართულად გამოაქვეყნა (გ. ფერაძე - ვარლამ ჩერქეზიშვილი დიდი ბრიტანეთის წიგნსაცავებსა და არქივებში). ჩერქეზიშვილი წერს:* "ევროპული ჰუმანიზმისა და მეცნიერების ინტერესი ყოველთვის ძვირფასი იყო ჩვენი მამებისთვის და ეს სიყვარული ჩვენი უფლებებისათვის ბრძოლასთან ერთად ჩვენ მემკვიდრეობით გადმოგვცეს. იმ შემთხვევაში თუ რუსეთის მთავრობა ძალისმიერი რუსიფიკაციის პოლიტიკას გააგრძელებს, თუ ის საქართველოს მის კანონიერ უფლებებს არ აღუდგენს რომელთა დაცვაზე ზედიზედ ხუთმა იმპერატორმა დადო ფიცი, მაშინ ქვეყანა იძულებული იქნება გადარჩენის სხვა საშუალებები ეძებოს. ასი წლის წინ საქართველომ მხოლოდ იმიტომ მიმართა რუსეთს, რომ ევროპისგან მოწყვეტილი იყო. ჩვენს დროში და თანამედროვე ცივილიზაციის პირობებში კი ეს უკანასკნელი ჩვენთან გაცილებით ახლოსაა ვიდრე მოსკოვი ან პეტერბურგი. რაც შეეხება ეკონომიკურ და კულტურულ ინტერესებს საქართველო მხოლოდ ძალით არის მიჯაჭვული რუსეთზე ისევე, როგორც ლეგენდარული პრომეთეოსია მიჯაჭვული მისი ულამაზესი მთების ერთ-ერთ მწვერვალზე."

***დიმიტრი შველიძე***
***ნიკო ჯავახიშვილი***

თებერვლიდან "24 საათი" ინგლისურად.
English newspaper 24 Hours, coming out from February
გამოწერით.
on subscription basis
e-mail: public@24hours.ge
Tel: 20 24 24 Fax:20 24 25



ნაყოფიერი და მდიდარი დმანისი



B2

"მილანი" საუკეთესოა ევროპაში



B4

26 მაისს თბილისს რუსლანა ეწვევა



B8

ნომრის სტუმარი

# სოფლის მეურნეობა

## ის, რაც საუკუნეების მანძილზე ვიცით და უპირატესობა გვაქვს

პირველი გვერდიდან

**- როგორ მიგიღეს კახელებმა, თავს სტუმრად ხომ არ გრძნობთ?**

- არა. წარმოშობით თუში ვარ. ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ალვანში გავატარე მთელი ბავშვობა. ვცხოვრობ და ვმუშაობ თელავში. საღამოობით, როცა დრო მაქვს, ფეხბურთს ვთამაშობ, მეგობრებიც გავიჩინე, გავშინაურდი...

**- თბილისში გომბორიდან დადიხართ? და საერთოდ, რეგიონში დემოკრატია როგორი გზებით შევა?**

- გომბორის გზა, ალბათ, 5 წლის წინ დაინგრა. ამ გზის აღდგენა გვინდა.

გზების საკითხი კარგად არის-მეთქი, ამას ვერ ვიტყვი, მაგრამ რა თქმა უნდა, რეგიონში დემოკრატიამაც უნდა შემოაღწიოს, ეკონომიკამაც, კულტურამაც, ტრანსპორტმაც. მით უფრო, აზერბაიჯანთან მოსაზღვრე რეგიონი ვართ და კარგი გზების პირობებში ტვირთბრუნვა ერთიორად გაიზრდებოდა. ამასთან დაკავშირებით გამუდმებით ვხვდებით ინვესტორებს, ადგილობრივი სახსრების მოზიდვასაც ვცდილობთ.

**- საიდან დაიწყეთ რეგიონში არსებული ცუდი სქემების მსხვრევა?**

- პირველი წინააღმდეგობა ძველი გამგებლების გაშვება იყო, ამის გარეშე რთული იქნებოდა ამ სქემების დაშლა. რა თქმა უნდა, ძველი გამგებლები გვპირდებოდნენ, რომ შეიცვლებოდნენ და კარგად მოიქცეოდნენ, მაგრამ საუბარი ერთია და ნდობის ფაქტორი - მეორე. საბედნიეროდ, ეს წინააღმდეგობა დიდ ხანს არ გაგრძელებულა. შეიცვალა რეგიონული სტრუქტურები - პროკურატურა, პოლიცია, საგადასახადო.

**- გყავდათ ამდენი კვალიფიციური კადრი? ეს ხომ საყოველთაო პრობლემაა.**

- დიახ, ეს პრობლემა სერიოზულად დგას. კადრები იცვლებოდნენ და ზოგან - ხშირად. არის რამდენიმე კრიტერიუმი, რასაც პირადად მე და ეს მთავრობა პირველ რიგში უყენებს ადამიანს - პატიოსნება და კომპეტენტურობა. ეს უკანასკნელი ისეთი რამაა, რომ სათანადო წარსული და გამოცდილება ესაჭიროება. წინა ხელისუფლებიდან მოყოლებული ეს გამოცდილება ხშირად, უარყოფითი იყო, რადგან ამ ადამიანებმა იციან, როგორ მოიპარონ თანხები, როგორ გაფლანგონ ბიუჯეტი და ა.შ. თავის მხრივ, გამოუცდელი ადამიანიც ცოდნა და იმდენი დროც არ არის, თანამდებობაზე სწავლა დაიწყოს. ასე რთულად, ცვლილებებით და 24-საათიანი მუშაობით ვცდილობთ კადრების შერჩევას.

**- უკმაყოფილოები, ალბათ, მხოლოდ ისინი არ იყვნენ, ვინც თანამდებობებიდან გადააყენეთ. რევოლუციური აქტივობის მიუხედავად რომ თანამდებობები ვერ მიიღეს, ისინიც ოპონირებენ და ეს განსაკუთრებით რეგიონებში ხდება. როგორ გაუმკლავდით ამ ხალს?**

- ზოგს დღემდე აქვს ამბიცია. უნდა გვახსოვდეს, რომ საუბარია სახელმწიფო სამსახურზე, რომელსაც ვერ ვანდობთ სათანადო განათლების არმქონე ადამიანს. მრავალი ასეთი შემთხვევიდან ერთ-ერთს გიამბობთ - იყო ერთი ქალბატონი, რომელმაც რევოლუციის პერიოდში მართლა იბრძოლა, პარტიასაც გვერდით ედგა, ბევრი სირთულეც გაიარა და ამის შესახებ ყველამ ვიცით. მაგრამ, მას არანაირი განათლება არა აქვს - თელავის უნივერსიტეტის მხოლოდ ერთი კურსი ჰქონდა გავლილი. უფასო განყოფილებაზე სწავლის გაგრძელება შევთავაზეთ. სწავლის პარალელურად დროებითი სამსახურის პოვნასაც შევპირდით და ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ პერსპექტივა გაუჩნდებოდა. მან თქვა, რევოლუციაში ვიღებდი მონაწილეობას და დიპლომი პირდაპირ მომეცითო... მასთან ურთიერთობა აღარ გაგვიგრძელებია და ის დღესაც განაწყენებულთა სიაშია.

**- სხვა რეგიონებისგან განსხვავებული რა სპეციფიკური პრობლემებია კახეთში?**

- ხორბლის, ყურძნის და წყლის პრობლემა; დანარჩენი, დაახლოებით, სხვა რეგიონების ანალოგიურია.

**- ერთ დროს ვამბობდით, რომ ქართული ღვინო და ბორჯომი გადაგვარჩენდა. ბორჯომში უკვე გავუშვით ნავთობის მილები...**

- სხვათა შორის, ამ ხელისუფლებამ სერიოზული ნაბიჯები გადადგა იმისთვის, რომ BP-ის მილები ღრმად დაემარხა და უსაფრთხოების ზომები გაემკაცრებინა...

**- რაც შეეხება, ქართულ ღვინოს - კახელი მეღვინეები რთველს შიშით უყურებენ, რადგან მათ შარშანდელი ღვინოც კი არ გაუყიდიათ. წლევანდელი ყურძნის მისაღებად ადგილიც კი არ აქვთ. შემოდგომაზე ამან შეიძლება, სოციალური აფეთქება გამოიწვიოს. როგორ ემზადება ამისთვის ადგილობრივი ხელისუფლება?**

- ეს პრობლემა წინა წლებშიც მწვავედ იდგა და ამას ჩვენ ვაცნობიერებთ. იმის გარდა, რომ შარშანდელი ღვინო ვერ გაიყიდა, ღვინის მწარმოებლებს აქვთ საკუთარი ვენახები, რომლებიც რამდენიმე წლის წინ მოაშენეს და უკვე მოსავალსაც მიიღებენ. სხვათა შორის, ეს მოსავალი ყოველ წელს სულ უფრო და უფრო მეტი იქნება. ამ ვენახებში ისე ამუშავებენ და უვლიან ყურძენს, როგორც ეს საჭიროა. გლეხის ყურძენი კი სხვადასხვა ხარისხისაა. პარალელურად საქართველოშიც და მის საზღვრებს გარეთაც რეალიზაციის პრობლემა დგას. ამის მიზეზი მთელ "ესენგეს" სივრცეში არსებული ფალსიფიცირებული ღვინოა.

მზადების ერთადერთი გზა ფალსიფიკაციის დონის შემცირებაა. რა თქმა უნდა, შემოდგომამდე 100 პროცენტით ვერ ამოვშანთავთ ფალსიფიკაციას, მაგრამ რამდენი პროცენტითაც შემცირდება ფალსიფიცირებული ღვინო, იმდენი პროცენტით გაიზრდება რეალიზაცია.

**- კახეთში ფალსიფიკაციასთან ბრძოლის ერთ კონკრეტულ მაგალითს ხომ ვერ დამისახელებთ?**

- კახეთის ფალსიფიკაციის თავისებურება ის გახლავთ, რომ ღვინოს ერთი ჯიშის ყურძნისგან აწარმოებენ და მეორე ჯიშად ასაღებენ. ანუ, ყურძენი ამ ღვინოში, ასე თუ ისე, არის. თუმცა, ესეც დარღვევაა.

**- სხვა კუთხის ფალსიფიკაციები კახურ წესს რით სჯობიან?**

- ბოთლში კი ასხია ე.წ. ღვინო, მაგრამ ყურძნის არც ერთი მარცვალი არ არის ჩაწურული. ასეთი პატარ-პატარა "ცეხები", ძირითადად, თბილისში, შიდა ქართლში, სენაკშია... ამის წინააღმდეგ ბრძოლის კონკრეტული მაგალითი ერთია - "სამტრესტის" მიმდინარე რეფორმირება, საიდანაც ადრე ათასნაირი ლიცენზია გაიცემოდა. "სამტრესტში" გადახალისდება კადრები, დარეგულირდება ხელფასები. ალკოჰოლურ სასმელებზე ერთი ლიცენზია უნდა დაინიშნოს, რომელსაც პირდაპირ მინისტრი გააკონტროლებს, პირველ ეტაპზე ასეა საჭირო. არსებობს ლაბორატორია, რომელსაც სოფლის მეურნეობის სამინისტრო თავიდან გაუკეთებს სერტიფიცირებას. ძალიან მაღალ ტექნოლოგიებს მოითხოვს იმის დადგენა, ფალსიფიცირებულია თუ არა ღვინო. გერმანიის მთავრობის დახმარებით ასეთი ლაბორატორია ჩამოიტანეს.

სამხარეო, სოფლის მეურნეობის და ფინანსური პოლიციის წარმომადგენლების შემადგენლობით იქმნება ერთობლივი კომისია, რომელსაც პრემიერ-მინისტრი უხელმძღვანელებს. პირდაპირ მივალთ რეალიზაციის პუნქტებში, მწარმოებლებთან და ალკოჰოლურ სასმელებს შევამოწმებთ.

**- ეს ბრძოლის ერთ-ერთი, მაგრამ დროში გაწელილი ხერხია, წლევანდელ რთველს როგორ შეხვდებით?**

- ზემოხსენებულ შემოწმებას ერთ-ორ კვირაში ვიწყებთ. ერთი შეხედვით, ამას, შეიძლება, სწრაფი ეფექტი არ ჰქონდეს, მაგრამ მთავარია, გაჩნდეს იმის ფსიქოლოგიური განცდა, რომ ფალსიფიცირებული ღვინო შეიძლება ჩამოგერთვას. რესტორნები იქნება თუ ღვინის მწარმოებლები, ამისგან თავის დაცვას შეეცდებიან და საკუთარ საქმიანობას გააკონტროლებენ. ამით გაჩნდება გაცილებით მეტი მოთხოვნა ყურძენზე, ვიდრე ეს შარშან იყო. შარშან, ასე თუ ისე, იმიტომ ჩავატარეთ რთველი, რომ საზღვრები გადავკეტეთ და სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან იაფფასიანი ყურძენი ნაკლებად შემოდიოდა. სამწუხაროდ, კახეთის ზოგიერთი ქარხანა ამაში ჩაბმული იყო.

გარდა ამისა, არსებობს სპირტის პატარ-პატარა ქარხნები, რომლებიც, ვითომ აწარმოებენ პროდუქციას, სინამდვილეში კი იმპორტირებულ სპირტს იყენებენ. ასეთ ქარხნებში ფინანსური პოლიცია შევუშვით. შარშანდელი რთველი კიდევ იმიტომ გადავიტანეთ, რომ მაშინდელმა პრემიერმა ზურაბ ჟვანიამ გულთან ახლოს მიიტანა ეს პრობლემა და რთველი მილიონი ლარის უპროცენტო კრედიტით დააფინანსა.

**- როგორ ეხმარება სახელმწიფო მეღვინეებს ბაზრის გაფართოებაში?**

- მთავრობის პრაქტიკულად ყველა ვიზიტზე - ყაზახეთი იქნება ეს, რუსეთი თუ უკრაინა - ამ თემაზეა საუბარი. მაგრამ, ამ ქვეყნებს საკუთარი ინტერესები აქვთ, საკუთარი იმპორტიორები ჰყავთ და ასე ადვილი არ არის ბაზარზე გასვლა.

**- რაც შეეხება, ხორბალს...**

- ორას ოც დოლარამდე გაიზარდა საბაჟო გადასახადი ერთ ტონა იმპორტირებულ ფქვილზე. გარდა ამისა, ახლახან ავამუშავეთ ჯერ კიდევ სახელმწიფო მფლობელობაში მყოფი კაჭრეთის წისქვილკომბინატი. სახელმწიფომ იქ ახალი დირექტორი დანიშნა, შეიცვალა მენეჯმენტი და დებიტორული დავალიანების ამოღება დაიწყეს. დაახლოებით, ნახევარ მილიონამდე თანხა ამოვიღეთ. ამით პრობლემები არ მთავრდება, მაგრამ სოფლის მეურნეობის სამინისტროს დახმარებით, მომავალ წელს გაცილებით მომზადებულები შევხვდებით.

**- რომ ამბობენ, კახეთს საქართველოს სამყოფი პურის მოყვანა შეუძლიაო, მართალია?**

- დღეს ეს შეუძლებელია, მაგრამ, კარგად რომ ვცხოვრობდეთ, საკმარისი იქნება. ამისთვის საჭიროა სატრანსპორტო პარკები, სადაც გლეხს ტრანსპორტის ქირაობა შეეძლება. სოფლის მეურნეობის სამინისტრო ამ პროექტზე მუშაობს და გარდა ამისა, ამაზე ჩვენს უცხოელ მეგობრებთანაც ვმუშაობთ. საჭიროა სათესლე მეურნეობები, ირიგაცია, სასუქი...

**- პროფესიით ეკონომისტი ხართ, როდის მოასწარით სოფლის მეურნეობის საკითხებში ასე ჩაღრმავება?**

- ეკონომიკური კუთხით გარკვეული ბაზა მქონდა, მაგრამ დანარჩენს ადგილზე გავეცანი.

**- იმიტომ, რომ საქართველო აგრარული ქვეყანაა?**

- ზოგადად ასეა და ამ მხრივ დიდი ყურადღების გამოჩენაა საჭირო. რაც უნდა ამბიცია გვქონდეს, ერთ, ორ ან სამ წელიწადში გაგვიჭირდება ისეთი კადრების გაზრდა, რაც მაღალტექნოლოგიური ინდუსტრიების ქვეყანას სჭირდება. ამ დროში კი ჩვენ ეკონომიკური ეფექტი გვჭირდება. უნდა მივხედოთ სოფლის მეურნეობას, რაც საუკუნეების მანძილზე ვიცით და რაშიც კონკურენტული უპირატესობა გვაქვს.

ჩვენი ეკონომიკისთვის რომ ინვესტიციები საჭიროა, ეს ყველამ იცის. ინვესტიციისთვის კი, უპირველეს ყოვლისა, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობაა აუცილებელი. ინვესტორს უნდა ჰქონდეს განცდა, რომ თუ მის ბიზნესს რაიმე პრობლემა დაუდგება, სასამართლო არავის ინტერესებს არ დაიცავს და სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებს. კიდევ სხვა მრავალი კრიტერიუმია - საგადასახადო კოდექსი, ენერგეტიკა, სატრანსპორტო, სატელეფონო კომუნიკაციები. ამის გარეშე ქვეყანა ინვესტორთათვის მიმზიდველი არ არის. კიდევ უფრო გრძელვადიანი და რთულია იმ რესურსის შექმნა, რისთვისაც ამდენი ხანია კახა ლომაია მუშაობს და მტრები გაიჩინა. ის მუშაობს იმისთვის, რომ 10-15 წლის მერე სხვა წარმატებული ქვეყნების რიგში მოვექცეთ.

**- რეფორმატორთა ხვედრიც ეს არის...**

- სამწუხაროდ... უფრო ფინანსურ და ტექნიკურ საკითხსაც მინდა შევეხო. მხოლოდ ერთი-ორი ბანკი და კომპანია უშვებს ფასიან ქაღალდებს, რაც ჩვენს ბირჟაზე წარმატებულად კვოტირებს. ასეთ ორგანიზაციებში დასავლეთში განათლება მიღებული მენეჯერები და მმართველები მუშაობენ და ესმით ფასიანი ქაღალდების ფასი. ყველამ უნდა გაიგოს, რომ ეს არის ფინანსური წყაროების მოზიდვის დამატებითი საშუალება, რითიც ბანკებს კონკურენცია ექმნებათ და ისინიც საპროცენტო განაკვეთის დაწევას ეცდებიან. ამ გზით, ამ კომპანიების მუშაობა გამჭვირვალე ხდება, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, კერძო ინვესტორი არ გენდობა. კიდევ ერთი დადებითი მომენტი ის არის, რომ თანხები მუთაქებში არ შეინახება და საზღვარგარეთის ბანკებში არ დაბანდდება.

ამას გარდა, აუცილებელია სატრანსპორტო და განსაკუთრებით, სატელეფონო კომუნიკაციების განვითარება. ჩვენთან მობილურზე ლაპარაკი სამჯერ უფრო ძვირი ღირს, ვიდრე ამერიკაში - რატომ უნდა იყოს ასე? კარტელივით აქვთ შექმნილი და 10 წელია, თეთრი არ აკლდება ტარიფს, ან როუმინგს რა ფასები აქვს?!

**- საკუთარი მუშაობის ტრანსპარენტულობაზე რას იტყვით?**

- ექვს თვეში ერთხელ ვუშვებთ ჟურნალს, რომელსაც პარლამენტს, მთავრობას და დაინტერესებულ პირებს ვაწვდით. იქ წერია ყველაფერი, რაც გავაკეთეთ და რა პრობლემებიც გვიდგას.

**- პანკისში საინტერესო არაფერი ხდება? იქაური ნარკოტრასა და წამლის დამამზადებელი "ცეხები" არ გინახავთ?**

- ნარკოტრასა არა, ეს ნარკოჩიხი უფრო იყო. იყო შეხვედრების რამდენიმე ცენტრი. ნარკორეალიზატორებს უკავშირდებოდნენ თბილისიდან და მთელი საქართველოდან. "ცეხები" და კოლუმბიური კარტელები არა, მაგრამ დაფასოება, შერევა-გადარევა კი ხდებოდა. მას შემდეგ, რაც ხეობა ე.წ. ბოევიკებისა და ათასი ჯურის კრიმინალისგან გაიწმინდა, ინფორმაციაც ხელმისაწვდომი გახდა, პოლიციისთვისაც გაიხსნა გზა და ნარკორეალიზატორთა აქტივობა და რაოდენობაც შემცირდა. ძალიან ბევრი დავაკავეთ და სასამართლომაც მრავალწლიანი სასჯელები მიუსაჯა...

**- ამ მხრივ ლაგოდეხის სოფელ კაბალსაც ჰქონდა განთქმული სახელი.**

- იქ უფრო მარიხუანაზე იყვნენ ორიენტირებულნი. ვერ ვიტყვით, რომ ნარკორეალიზატორები მოვსპეთ... სხვათა შორის, მათი გამოვლენა რთულია, რადგან რამდენიმე საკონტროლო შესყიდვა უნდა გააკეთო, სხვაგვარად სასამართლოს მათი გამტყუნება უჭირს.

**- რას ნიშნავს საკონტროლო შესყიდვა?**

- სასამართლოს ნებართვით შეისყიდო ნარკოტიკი, შემდეგ ეს უნდა დაილუქოს. მერე კიდევ უნდა შეისყიდო, რათა დარწმუნდე, რომ ეს მართლაც რეალიზატორია. სხვაგვარად, გეტყვის, რომ ის მომხმარებელია, ან რომ მას წამალი ჩაუდეს. ამან ის გამოიწვია, რომ რეალიზატორები ფრთხილობენ და მხოლოდ რამდენიმე კაცს ენდობიან.

**- სოფლის მეურნეობისა არ იყოს, ამაშიც ჩახედული ხართ.**

- თვეობით ვმუშაობდით, ღამეებს ვათენებდით, ვუსაფრდებოდით. აგენტი არ უნდა გაშიფრულიყო, ამისთვის უნდა მოიქცეს ისე, როგორც ნარკომანი, არადა ეს ადამიანები ნარკომანები არ იყვნენ. ერთი-ორჯერ, ნარკორეალიზატორმა პირდაპირ მოსთხოვა, აქ გაიკეთე წამალიო...

**- საინტერესო ადგილზე მივედით, მერე, როგორ მოიქცნენ?**

- რა თქმა უნდა, არ გაიკეთეს, რითიც საფრთხეში ჩაიგდეს სიცოცხლე და მერე მათ გამოსახსნელად ოპერაციის ჩატარება მოგვიხდა.

**- თქვენი კოლეგა რწმუნებულებისგან მსმენია, რომ ეს უუფლებო ინსტიტუციაა...**

- არ არის ამის თქმა საჭირო, ჩემმა ქვეშევრდომებმა ამის შესახებ არ იციან... უფრო სერიოზულად კი - ჩვენ მემკვიდრეობით გვერგო შევარდნაძის დროს შექმნილი კანონმდებლობა. რა თქმა უნდა, მეტი უფლებების მოსახვეჭად არ ვიბრძვით, მაგრამ რეგიონული მოწყობა ერთხელ და სამუდამოდ უნდა ჩამოყალიბდეს. უნდა გაირკვეს არჩევნების, საბიუჯეტო საკითხები. რწმუნებულები ბიუჯეტებს ვერ განკარგავენ...

**- რას ეუბნებით ფულის სათხოვნელად შემოსულ მოქალაქეებს?**

- გამგეობებს ვავალებთ, მათ ბიუჯეტის განკარგვა შეუძლიათ.

**- თქვენ უკვე პრაქტიკით იცით, როგორი უნდა იყოს ადგილობრივი მოწყობა, რათა რეგიონისთვის ეფექტური იყოს, რას იტყვით ამის შესახებ?**

- წინასწარ საუბარი არ მინდა, რადგან კანონმდებლობა დახვეწის სტადიაშია. როცა კანონპროექტის სახით გამოიტანენ, მერე აუცილებლად უნდა მოეწყოს საჯარო დისკუსიები. ჩვენს მოსაზრებებს კი მუდმივად ვაწვდით, ამაზე სპეციალური ჯგუფი მუშაობს. გაისად, წლის ბოლოსთვის ადგილობრივი საკრებულოს არჩევნებია დაგეგმილი. კანონმდებლობაში ცვლილებები მანამდე უნდა შევიდეს.

**- ვინ არის რეგიონში თქვენი დაუძინებელი ოპოზიცია?**

- ჩვენთან ნელ-ნელა ყალიბდებიან ოპოზიციური პარტიები და ვნახოთ, როგორ გამოიჩენენ თავს. ამ მხრივ, "კონსერვატორები" აქტიურობენ, "ახლებიც". "რესპუბლიკელები" რაღაც არა...

**- მალე დათო უსუფაშვილი გახდება პარტიის თავმჯდომარე და მერე ნახავთ... მიღების საათები გაქვთ?**

- ასე კონკრეტულად არა, მაგრამ თავად დავდივარ და ადგილზე ვხვდები მოსახლეობას.

სხვათა შორის, სკოლებში ახალი წამოწყება დავნერგეთ - ვეხმიანებით კონკრეტულ სკოლადამთავრებულ წარმატებულ ადამიანებს, წარვუდგენთ პროექტებს ან მერხების შესაძენად, ან სკოლის შენობის შესაკეთებლად, ან ფიზიკის კაბინეტის მოსაწყობად და სახელმწიფოსთან ერთად ამ პროექტების თანადაფინანსებას ვთხოვთ. უმაღლესი განათლება ამერიკაში მაქვს მიღებული და ჩემი თანაკურსელები დღემდე მირეკავენ, რით დაეხმარებ ინსტიტუტსო... სწორედ იქიდან გადმოვიტანე ეს ინიციატივა.

**- როგორ უყურებენ კახელები ახალგაზრდა, სპორტულ, ქალაქელ გუბერნატორს?**

- მათ ჰკითხეთ.

**- სასაცილო კახურ ამბავს ვერ გაიხსენებთ?**

- ერთი მახსენდება - არ დავაკონკრეტებ, რომელი რაიონის, მაგრამ ერთ ახლად დანიშნულ გამგებელთან კარგა ხნის მანძილზე ყოველდღე შედიოდა ქალბატონი საბუთებით ხელში და სხვადასხვა საკითხებზე ესაუბრებოდა. გამგებელიც ყურადღებით უსმენდა და ამ საკითხებში ყოველდღე აღუთქვამდა დახმარებას. ბოლოს გაირკვა, რომ ეს უბრალო მოქალაქე კი არა, გამგეობის ბუღალტერი ყოფილა...

**- ღვინის სმა ხშირად გიხდებათ?**

- საერთოდ არ ვსვამ, მაგრამ ხანდახან მიწევს ხოლმე ღვინის გასინჯვა. საფრანგეთში მეგობრები მყავს და მათ ღვინის დეგუსტაცია მასწავლეს.

**- როგორც გავიგე, რეგიონში მალე ტურიზმის ახალ სახეობას დანერგავთ...**

- ამერიკელებთან და ფრანგ მეგობრებთან ერთად ტურისტული მარშრუტების შექმნაზე ვმუშაობთ - მათ იციან, რა დააინტერესებს პოტენციურ ტურისტს. ახლა უკვე ბუკლეტების გამოშვებას ვიწყებთ. მარშრუტში ისტორიული ძეგლების გარდა ღვინის ქარხნებიც არის ჩართული. გათვალისწინებულია მთის ტურიზმიც. ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ სოფელ შენაქოში დენი შეგვყავს, ომალოში უკვე გავაკეთეთ, მობილური კავშირიც არის. გვინდა პატარა კერძო სასტუმრო სახლების (guest houses) გაკეთებაც, რომელზეც იქნება სპეციალური დროშები. ტურისტს ეცოდინება, სად შეუძლია გაჩერება. ვაკეთებთ ტურიზმის საინფორმაციო ცენტრს, სადაც ყველა ინფორმაცია მოიყრის თავს. იქნება ტურები ვერტმფრენებით და სხვა...

ქართველი მოგზაურებისთვის ცალკე პროექტი გვაქვს. უცხოელებისთვის ჩართულია ღვინის დეგუსტაცია, ქართველებს ამაში ფულს არ გადავახდევინებთ. ქართველები ჭაჭის გამოსახდელებს მოინახულებენ. ამაში ღვინის ქარხნები არიან ჩართული და ამ შემოდგომაზე პრეზენტაციასაც ვაპირებთ.

**- აჭარიდან ეკოლოგიური ლტოლვილები მიიღეთ. როგორ ინტეგრირდნენ რეგიონში ეს ადამიანები?**

- სოფელი, სადაც აჭარლები ჩასახლდნენ, პანკისის ოსური სოფელია. ხალხს, ვინც ამ ბინებს ყიდდა, არავითარი საბუთი არ ჰქონდა, ზოგი საერთოდ, ვლადიკავკაზში ცხოვრობდა და არ იყო საქართველოს მოქალაქე. ეს ბინები კი ბიუჯეტმა იყიდა და რაღაც საბუთები საჭირო იყო. ამ საბუთების შექმნისთვის დრო დაგვჭირდა. თან კანონმდებლობით, ტენდერის ჩატარებაა აუცილებელი. ეს ფორსმაჟორით გაკეთდა და ამ ყველაფერს დრო დასჭირდა. ხალხს პირველადი 500 ლარით აჭარის ხელისუფლება დაეხმარა. მათი ნივთების ტრანსპორტირებაც აჭარის ხელისუფლებამ აიღო თავის თავზე.

ინტეგრაცია ძალიან კარგად მოხდა, ადგილობრივმა მოსახლეობამ ეს ხალხი გულში ჩაიხუტა...

**- მოსახლეობას ამისთვის მადლობას არ გადაუხდით?**

- აუცილებლად. სანამ თანხები ჩაირიცხებოდა, აჭარიდან ჩამოსულებს ადგილობრივი მცხოვრებნი მფარველობდნენ, აჭმევდნენ და ასმევდნენ. როდესაც ალაზანი ადიდდა, მთელი სოფელი ერთად დადგა და დიდიან-პატარიანად ებრძოდა სტიქიას. კახელები სხვანაირი ხალხია, ამაზე ორი აზრი არ არსებობს.



რაც უნდა ამბიცია გვქონდეს, ერთ, ორ ან სამ წელიწადში გაგვიჭირდება ისეთი კადრების გაზრდა, რაც მაღალტექნოლოგიური ინდუსტრიების ქვეყანას სჭირდება. უნდა მივხედოთ სოფლის მეურნეობას, რაც საუკუნეების მანძილზე ვიცით და რაშიც კონკურენტული უპირატესობა გვაქვს.




## კონცერტები

**სახელმწიფო საკონცერტო დარბაზი**
კომპოზიტორისა და მომღერლის ეთერ ჭელიძის ხსოვნის საღამო
დას: 19:00 სთ.

## თეატრები

**თეატრალური სარდაფი რუსთაველზე**
პრემიერა
ლეო ქიაჩელი
"თავადის ქალი მაია"
რეჟისორი: გიორგი სავანელი
დას: 20:00 სთ.

**თეატრალური სარდაფი ვაკეში**
რალფ კნიგი
ET CETERA
რეჟისორი: ლევან წულაძე
დასაწყისი: 19:00 სთ.

**პანტომიმის თეატრი**
"ფიროსმანი"
(პანტომიმური ნოველები)
დადგმა: ამირან შალიკაშვილი-უმცროსი
დას: 18:00 სთ.

## კინოთეატრები

**კინოს სახლი**
"ოსკარი 2005"-ის ნომინანტი ფილმი
"ნაპირზე"
რეჟისორი: ალექსანდრ პსინი
ფასი: 2 ლარი
დას: 18:00 სთ.

**რუსთაველი**
"ჯვაროსნები"
დას: 12:00 სთ.

"ფარული კამერა"
დას: 15:00 სთ.

"ვარსკვლავური ომები. ეპიზოდი III"
დას: 16:30; 19:15; 20:00 სთ.

**ამირანი**
"კონსტანტინე"
დას: 14:30; 20:00; 22:00 სთ.

"ჯვაროსნები"
დას: 17:00 სთ.

## გამოფენები

**კოპალა**
ეკა ნათენაძის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა
გახსნა: 18 საათზე.

**ქარვასლა**
სააგენტო "როიტერის" ფოტოგამოფენა

**ჯანაშიას სახელობის ისტორიის სახელმწიფო მუზეუმი**
დმანისის არქეოლოგიური აღმოჩენების განახლებული ექსპოზიცია

"ოქრომრავალი კოლხეთი - მითი და რეალობა"
(ვანის გათხრების დროს აღმოჩენილი ნივთების ექსპოზიცია)

**ეროვნული გალერეა**
პაატა მოისწრაფიშვილის პერსონალური გამოფენა "მინდივნი"
(ფერწერა, გრაფიკა)

**გოეთეს ინსტიტუტი**
გერმანული და საბჭოთა პროპაგანდისტული პლაკატების გამოფენა
"ომისდროინდელი პროპაგანდა კავკასიაში"

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* culture@24hours.ge

# ზაზა აზმაიფარაშვილი მოსკოვში კონცერტს გამართავს

25 მაისს, მოსკოვის დიდ საკონცერტო დარბაზში, თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი კონცერტს გამართავს.

ქართველი დირიჟორი რუსეთის პეტრე ჩაიკოვსკის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ ორკესტრს უდირიჟორებს. ამავე კონცერტზე, სოლისტის ამპლუაში გამოჩენილი ქართველი პიანისტი, მოსკოვის კონსერვატორიის პროფესორი, საქართველოს სახალხო არტისტი ელისო ვირსალაძე წარდგება. კონცერტზე შესრულდება მოცარტის უვერტიურა ოპერისთვის "ფიგაროს ქორწინება", მოცარტის 25-ე საფორტეპიანო კონცერტი და რეგერის "ვარიაციები მოცარტის თემებზე".

# იტალიელი მხატვარი თბილისში

ხვალ თანამედროვე ხელოვნების გალერეაში ახალგაზრდა იტალიელი მხატვრის ალბაკიარა პიზუტოს გამოფენა გაიმართება. ღონისძიებას კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, იტალიის საელჩო ორგანიზატორობს.

ალბაკიარა პიზუტო იტალიაში ცნობილია, როგორც პროფესიონალი ოსტატი ქვის მონუმენტებში, ასევე ფრესკების რესტავრაციაში; თუმცა, როგორც იტალიის საელჩოში აცხადებენ, ახალგაზრდა მხატვარმა კარიერა ფრესკების მხატვრობით დაიწყო. ***ინტერ-პრესი***

# ნაყოფიერი და მდიდარი დმანისი

### განახლებული გამოფენა ადრეული ჰომოს ადგილსამყოფელის ნაშთებით

ვერა ნეფარიძე

*გუშინ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში განახლებული გამოფენა გაიხსნა. დმანისის შარშანდელი აღმოჩენის მნიშვნელობა, რომელმაც უკვე საერთაშორისო აღიარება მოიპოვა, ამ ექსპოზიციით ფართო საზოგადოებისთვისაც უფრო თვალსაჩინო გახდება.*

განახლებული ექსპოზიციით "საქართველოს ეროვნული მუზეუმი" ადასტურებს, რომ მისი სტრატეგია თანამედროვე ადამიანის მოთხოვნილებების გათვალისწინებით, მეცნიერული აღმოჩენების მოკლე დროში ფართო საზოგადოებისთვის გაცნობაა. გამოფენით მუზეუმის დამთვალიერებლები დმანისის აღმოჩენების ისტორიას (ფოტო და ტექსტუალური მასალის საშუალებით) თუ მნიშვნელობას 1 750 000 წლის წინანდელი, ადრეული ჰომოს ადგილსამყოფელის ნაშთებით გაეცნობიან; გამოფენის ნაწილია მოკლე ვიდეოფილმი, რომელიც არქეოლოგებისა და მეცნიერების დმანისში მუშაობას ასახავს.

გუშინდელი ღონისძიება ორგანიზატორებმა საქართველოს მუზეუმის დღეს, 22 მაისს დაუკავშირეს. "საქართველოს ეროვნული მუზეუმი", რომელიც 2004 წლის 30 დეკემბერს პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე შეიქმნა, თავის ისტორიას იწყებს 1852 წლიდან, როდესაც თბილისში რუსეთის იმპერიის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების მუზეუმი დაარსდა. მუზეუმის ხელმძღვანელმა დავით ლორთქიფანიძემ კიდევ ერთხელ მიანიშნა, რომ "ეროვნული მუზეუმი" მასში შემავალი მუზეუმების საუკეთესო ტრადიციების საფუძველზეა აღმოცენებული; "ეროვნული მუზეუმი" კი, როგორც გვახსოვს, ქვეყანაში კულტურული მემკვიდრეობის სფეროში სტრუქტურული, ინსტიტუციონალური და იურიდიული რეფორმების დასაწყებად დაარსდა. რეფორმის მიზანია, ჩამოყალიბდეს საერთაშორისო სტანდარტებს შესაბამისი თანამედროვე მუზეუმი, რომელშიც ერთდროულად შესაძლებელი იქნება საგამოფენო, სამეცნიერო და საგანმანათლებლო საქმიანობა. ის, რომ ეროვნული მუზეუმის პირველ ექსპოზიციას - "ოქრომრავალი კოლხეთი" - პირველი სამი თვის მონაცემებით იმდენი დამთვალიერებელი ჰყავს, რამდენიც სულ ცოტა ხნის წინათ ერთი წლის განმავლობაში არ დადიოდა ყველა მუზეუმში, ალბათ მეტყველებს იმაზე, რომ არჩეული სტრატეგიული გზა ამართლებს.


*დავით ლორთქიფანიძე განახლებულ ექსპოზიციაზე*

არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ მუზეუმში თანდათანობით მკვიდრდება საგანმანათლებლო საქმიანობა და ამისთვის ახლა უკვე ორი ექსპოზიცია იმუშავებს.

დმანისის აღმოჩენების გამოფენაზე დამთვალიერებელი იხილავს ჰომინიდის თავის ქალასა და ქვედა ყბას, რომელმაც აღმოჩენიდან დღემდე თითქმის ყველა პოპულარულ-სამეცნიერო გამოცემები (ჟურნალები: "ნეიჩერი", "საიენსი"; ასევე, "ნეიშნლ ჯეოგრაფიკი", "გეო",) დაიპყრო. ამ აღმოჩენების მთავარი ობიექტია მილიონ რვაასი ათასი წლის წინანდელი ჰომინიდის ნაშთი, რომელსაც არც ერთი კბილი არა აქვს. ანთროპოლოგიური მონაცემებით, ჰომინიდი, სულ ცოტა, ორი წლის განმავლობაში უკბილოდ ცხოვრობდა; მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ეს ინდივიდი დახმარებას იღებდა ჯგუფის სხვა წევრებისგან, რაც ადამიანური თანაგრძნობის პირველ ნიშნებზე მიუთითებს. ამ და სხვა მოსაზრებებს აღმოჩენასთან დაკავშირებით გაცილებით დაწვრილებით და დამაჯერებლად დამთვალიერებელი ექსპოზიციაზე გაეცნობა. რაც შეეხება გუშინდელ დღეს მუზეუმში, ის განახლებული გამოფენის პრეზენტაციით არ შემოფარგლულა. სამეცნიერო ნაწილი დაეთმო სესიას, სადაც ქართველი მეცნიერები მოხსენებებით გამოვიდნენ. იქვე გაიმართა "საქართველოს ეროვნული მუზეუმის" ვებგვერდის (www.museum.ge) პრეზენტაცია.

# ვაი „სესილისგან"

### სტუდენტური ფილმების ფესტივალი, როგორც იქნა, დასრულდა

ია ვეკუა

როგორც კი კანის კინოფესტივალი დამთავრდა, მსოფლიოს ყურადღებამ მაშინვე თბილისური "სესილისკენ" გადმოინაცვლა. "სესილი" ნამდვილი ქართული ფესტივალია, სტუდენტურია და, თანაც, წელს მეხუთედ ჩატარდა. ისე, საინტერესოა, როგორ მოაღწია ამ კინოფორუმმა დღემდე?! ვინც ფესტივალის დახურვის ცერემონიალს ესწრებოდა, მხოლოდ ერთ დასკვნას გააკეთებდა - ხუთი წლის ბავშვი უფრო ჭკვიანი და მობილიზებულია, ვიდრე ზრდასრული ადამიანების მიერ ორგანიზებული "სესილი". თუმცა, სიტყვა "ორგანიზებული" იმდენად შორს დგას ამ ღონისძიებისგან, როგორც "სესილი" უკვე ხსენებული კანის ფესტივალისგან.

სტუდენტური ფილმების ფესტივალი "სესილი" წლების წინ კლუბ "სარდაფის" წიაღში იშვა. მისი დამაარსებელი, რეჟისორი დათო ჯანელიძე წლევანდელი ფესტივალის ბუკლეტში გულისამაჩუყებელ სიტყვებს წერს: **"ხუთწლიანმა შრომამ ფესტივალის ორგანიზატორებს გამოცდილება შესძინა, "სესილი" სარდაფიდან ამოვიდა და დიდი კინოთეატრების დარბაზები დაიპყრო"**. მე კი ვიტყოდი, რომ სჯობდა, სარდაფშივე დარჩენილიყო. სარდაფის ინტიმური გარემო ნებისმიერ ხელოვანზე მხოლოდ დადებითად მოქმედებს და ზოგიერთ ინტრიგანს ხარვეზებზე ლაპარაკის სურვილს უკარგავს. თუმცა, მას შემდეგ, რაც კლუბი კოხტა ევრორემონტიან საბილიარდოდ გადაკეთდა, სარდაფის კინოშნიკმა ვირთხებმა სხვა გარემოს ძებნა დაიწყეს.

ამთავითვე ვიტყვი, რომ მათი ძიების პროცესი უშედეგოდ დასრულდა. ბრჭყვიალა შესაფუთში გახვეული ფესტივალი იმავე თბილისურ "ტუსოვკად" დარჩა, როგორიც მიწისქვეშეთში იყო. თუმცა, ეს მათი ნებაა, როგორ ფესტივალსაც უნდა, ისეთს გააკეთებენ, მაგრამ, ალბათ, დამფინანსებლებთან ანგარიშის წარდგენა მაინც მოუწევთ. ფესტივალს იმდენი სპონსორი ჰყავდა, რომ წამყვან ია სუხიტაშვილს (იგი მთავარი პრიზის სილუეტსაც იმეორებდა) მათ ჩამოსათვლელად 20 წუთი მაინც დასჭირდა. ალბათ სჯობდა, "სესილის" ორგანიზატორ კვარტეტს ერთი ხეირიანი რეჟისორი დაექირავებინა (იმედია, ამ პროფესიის ადამიანებს იცნობენ. ზოგი თავადაც რეჟისორია), რომელიც გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალად წოდებულ ერთ საათს სისტემაში მოიყვანდა.

მე ამ ყველაფერს ჯიუტად მაინც ცერემონიალს ვუწოდებ, რადგან სხვა შესატყვისის შერჩევა ახალი სიტყვის გამოგონების ტოლფასი იქნება. ვინაიდან კინოთეატრ "ამირანის" დარბაზი, ძირითადად, ადგილობრივი მოსახლეობით იყო სავსე, ევროპის მასშტაბით შერცხვენას გადავრჩით, მაგრამ თითოოროლა უცხოელი ამ ამბავს მაინც გაიტანს. ეს არ იყო კინოს (თუნდაც სტუდენტურის) ზეიმი. ეს კომედიური ფილმების ფესტივალის ფინალს უფრო ჰგავდა. მაყურებელმა ბევრი იცინა, მაგრამ ნაკლებად ეცინებოდა ჟიურის, რომელიც ლარნაკის გატეხისთვის კუთხეში დაყენებული ბავშვივით იცქირებოდა და სახეზე "ბოდიში" ეწერა. პატიებას იმიტომაც ითხოვდნენ, რომ მსგავსი ცერემონიალის გარეშე შემხედვარეს აუცილებლად გაუჩნდებოდა უნდობლობა ჟიურის წევრების პროფესიონალიზმსა და სამართლიანობაში.

დავუბრუნდეთ ფესტივალს, რადგან მის მონაწილეებს არაფერი დაუშავებიათ, გარდა იმისა, რომ "სესილიზე" განაცხადი შეიტანეს. ფესტივალში 57 ფილმი მონაწილეობდა, აქედან 35 უცხოური იყო. ყველაზე დიდი გმირობა უკრაინელმა იგორ სტრემბიცკიმ ჩაიდინა, როდესაც კანის ფესტივალისთვის განკუთვნილი დოკუმენტური "თანამგზავრი" ჯერ თბილისში წარმოადგინა. ფილმმა კანში წარმატებას მიაღწია, ამიტომ "სესილის" გარეშე მისი გაშვება დიდი სირცხვილი იქნებოდა. ფილმმა საუკეთესო დოკუმენტური ფილმის ნომინაციაში გაიმარჯვა და ოქროსფერ ქანდაკებას სამუდამოდ დაეპატრონა.

ანიმაციური ფილმების ნომინაციაში რუსმა ლიზა სკვარცოვამ გაიმარჯვა. მან "სესილი" ფილმ "მაცადე, გეთაყვასთვის" დაიმსახურა. სკვარცოვას ნამუშევარს ფესტივალის ბუკლეტში მარტივი განმარტება აქვს: "სიკვდილისა და სიყვარულის" ამბავი. ჩვენც ისღა დაგვრჩენია, რომ ავტორს დავუჯეროთ და ვირწმუნოთ, რომ მან ეს ნახატი ფილმი, მართლაც, ამ ორ მარადიულ თემას მიუძღვნა.

ერთ-ერთი მთავარი პრიზი რეჟისორ ნატო შუშანიას "გარიყულამაც" მიიღო. ფილმის რეჟისორობის გარდა, შუშანია ოპერატორობას, მხატვრობასა და მემონტაჟეობასაც ითავსებს, მაგრამ მუსიკალური გაფორმებისთვის გორან ბრეგოვიჩის მუსიკას ამჯობინებს. მისი ფილმი "სახლზეა" (ასეთია "გარიყულას" ანოტაცია) და თანაც ექსპერიმენტული, ამიტომ იგი სწორედ ამ ჟანრის გამარჯვებული გახდა.

საუკეთესო მხატვრული ფილმის ნომინაციაშიც ჩვეული სტუმართმოყვარეობა გამოვიჩინეთ და პირველობა უკრაინელ ანა კაზეჯაკის "თქვენ ხართ აქ" მივანიჭეთ. ფილმი მამისა და შვილის ურთიერთობას ეხება, უფრო სწორად, იმის შესახებ მოგვითხრობს, როგორ ცდილობს 16 წლის გოგონა მშობელთან შეხვედრას.

ოთხი მთავარი პრიზის გარდა, "სესილიზე" უამრავი სხვადასხვა სინჯის პრიზი გაიცა. მათ შორის, ქალისა და მამაკაცის როლების საუკეთესოდ შესრულებისთვის. თუმცა, ეს ყველაფერი იმდენად არეულად ხდებოდა, რომ მკითხველს უფრო მეტად აღარ დავაბნევ და ვიტყვი: "ფინიტა ლა კომედია"!


*ფესტივალის მთავარი ჯილდოები*


*დაბნეული ჟიური*

# თექა - დამწყები მოდელიერების არჩევანი

### ჩვენებების სერია "კლუბ 7"-ში

*თემატური საღამოები, რომლებიც ივნისის ბოლომდე დაგეგმილია "კლუბ 7"-ში, კარგი შესაძლებლობაა იმის გასარკვევად, თუ რას შეიძლება ელოდოს ქართული მოდის ინდუსტრია ახალგაზრდა ქართველი დიზაინერებისგან; მით უმეტეს, რომ ამ ჩვენებებში დამწყები პროფესიონალები მიიღებენ მონაწილეობას. მოდის საღამოების სერიის ორგანიზატორია სამოდელო სააგენტო "გრაცია"; პირველი ჩვენება კლუბში ხვალ გაიმართება და მასში ათამდე დიზაინერის კოლექციები იქნება წარმოდგენილი.*

ამჯერად ძირითადად კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და ასპირანტების შემოქმედება იქნება საჯაროდ გამოტანილი. ჩვენების ორგანიზატორები ამბობენ, რომ მათთვის ყველაზე მნიშვნელოვანი დამწყები დიზაინერების წარმოჩენაა; თანაც, ამგვარ საღამოებზე სააგენტოს მოდელებსაც უჩნდებათ შანსი, დახვეწონ თავიანთი ხელოვნება; მით უფრო, რომ სააგენტოში საკმაოდ ახალგაზრდები (შეიძლება ითქვას, პატარებიც) - 10-დან 25 წლამდე ასაკის მოდელები არიან. თუმცა, ასაკისა თუ თავად სააგენტოს წლოვანების მიუხედავად ("გრაცია" შარშან გამოჩნდა ქართულ სამოდელო ბიზნესში), მის მოდელებს მონაწილეობა მიუღიათ ფართოდ რეკლამირებულ ღონისძიებებშიც (ეთნოგრაფ-დიზაინერ მაია ბაქრაძის კოლექციის ჩვენება "შერატონ-მეტეხი პალასში").

მოდის თემატური საღამოები "კლუბ 7"-ში ხვალიდან დაიწყება. მომდევნო უახლოეს ღონისძიებაზე დაგეგმილია საქორწინო კაბების წარმოდგენა. ამჯერად კი ძირითად თემად შერჩეულია თექა. ქსოვილებისა და სამოსის გარდა, დიზაინერები გვიჩვენებენ ფეხსაცმლისა და აქსესუარების დიზაინსაც. პირველ ჩვენებაში სააგენტოს 25 მოდელი ათამდე ახალგაზრდა დიზაინერის შემოქმედებას წარმოადგენს. მათ შორის ბევრი ფართო საზოგადოებისთვის სრულიად უცნობი იქნება, ზოგიერთი კი - ასე თუ ისე ცნობილი სხვადასხვა პროექტში მონაწილეობით. ერთ-ერთი მათგანია ჩვენების პირველი მონაწილე ანა ჩანგიანი, რომლისთვისაც, როგორც ინდივიდუალური დიზაინერისთვის, ეს საღამო პირველია. მანამდე მისი ნამუშევრები გამოფენილი იყო გალერეა "ჰობიში" და "ექსპოჯორჯიას" კომპლექსში გამართულ გამოფენაზე. "კლუბ 7"-ში ხვალინდელ ჩვენებაზე დიზაინერს 15 ნამუშევარი (ქსოვილები, შარფები და ჩექმა) გამოაქვს. როგორც თვითონ ამბობს, ამ კოლექციისთვის დამახასიათებელი დეტალია აბრეშუმი, რომელიც მის თექას კიდევ უფრო ამდიდრებს. დიზაინერი თანამშრომლობს საკოორდინაციო ცენტრ "აბრეშუმის სახლთან", რომელმაც 90-იანი წლების შემდეგ მხოლოდ წლეულს განაგრძო ფუნქციონირება. სამომავლოდ კი ახალგაზრდა დიზაინერთან ერთად თექისა და აბრეშუმის კომბინაციით კოლექციების წარმოებას გეგმავს.

ხვალინდელ ჩვენებას მუსიკალურად გააფორმებენ დამწყები მომღერლები (მუსიკალურ-თეატრალური სტუდიიდან). მოდის ჩვენებებს "კლუბ 7"-ში ივნისის ბოლოს დიდი გამოფენა-გაყიდვა დაასრულებს.


*მოდელები ხვალინდელი ჩვენებისთვის ემზადებიან.*

# დიდი სახელები, ულიმღამო ფილმები და სიტის შურისძიება

კანი ერთი წლით დაგვემშვიდობა



ბელგიელი გამარჯვებული ძმები და ემირ კუსტურიცა



ჯიმ ჯარმუში პრიზს იბარებს

11-22 მაისი - ამ სამაისო ჩარჩოში მოქცეულმა თანამედროვე კინომ შაბათს, დამაგვირგვინებელ დღეს, თავისი ფავორიტები გამოავლინა.

კანის 58-ე კინოფესტივალი დასრულდა.

დაჯილდოების ცერემონიალს უკანასკნელი ჩვენებაც მოჰყვა. მართა ფაინსმა საზოგადოებას თავისი "ქრომოფობია" წარუდგინა. მართა ცნობილი ბრიტანელი მსახიობების - ჯოზეფის და რალფის დაა. ფილმში რალფ ფაინსიც თამაშობს. ასევე: პენელოპა კრუსი, კრისტინ სკოტ ტომასი და იან ჰოლმი. მართა ფაინსი აწეწილ ოჯახურ ურთიერთობებზე მოგვითხრობს...

მანამდე კი იყო: წითელი ხალიჩა, ბევრი გამოპრანჭული ვარსკვლავი, შავი ჰალსტუხები, დალუქულ კონვერტებში მიჩქმალული გასაიდუმლოებული შედეგები, მღელვარება, გამოცხადება და გამარჯვებულთა კომენტარები.

ოქროს პალმის რტო - უმაღლესი ჯილდო ბელგიელ რეჟისორ ძმებს ჟან-პიერ და ლუკ დარდენებს გადაეცათ ფილმისთვის "ბავშვი". მათ კანში მეორედ გაიმარჯვეს. პირველად - 1999 წელს ოქროს პალმის რტო ასევე თინეიჯერულ დრამაზე აგებულ სურათს "როზეტას" ერგო.

"ბავშვის" მთავარი გმირი 20-იოდე წლის მატყუარა, ქურდბაცაცა ბიჭია, რომელიც შავ ბაზარზე საყვარელი ქალის შვილს გაჰყიდის და შემდეგ მის დაბრუნებას ცდილობს. ფილმზე ამბობენ, რომ დოსტოევსკის "დანაშაული და სასჯელითაა" შთაგონებული და თან რობერტ ბრესონის ფრანგული ფილმის "ჯიბის ქურდის" გავლენასაც განიცდის.

მთავარი პრიზი გამარჯვებულ ძმებს ჰილარი სუენქმა და მორგან ფრიმენმა გადასცეს.

**ჟან-პიერ დარდენი: "იარლიყები არასდროს ამართლებს ხოლმე. ეს პრობლემა ექმნება ყველა იმ რეჟისორს, ვინც ხელოვნების ნიმუშებს ქმნის. საოცარი სიფრთხილეა საჭირო, ფილმის ნაცვლად რაღაც მაგალითის, თვალსაჩინოების მსგავსი რომ არ გამოგივიდეს... ასე რომ, ვფიქრობ, იარლიყი "სოციალური" და კიდევ სხვა მსგავსი განსაზღვრებები უფრო პრესის გამოყოფილი საზრდოა. მართალია, ხანდახან ასე აზროვნება და იდეათა ასეთი კლასიფიცირება პრაქტიკულია, მაგრამ მაინც მგონია, რომ კინო ამ საზღვრებს სცდება".**

მეორე მნიშვნელოვანი პრიზი, ანუ მეორე ადგილი ფესტივალზე ჯიმ ჯარმუშის "დამსხვრეულ ყვავილებს" ხვდა წილად. ფილმი დრამაა. ბილ მიურეის გმირი ხანში შესულ დონ ჟუანს აგონებს მაყურებელს. ის დადის და იმ ოთხ ქალს დაეძებს, წარსულში რომ უყვარდა. ერთ-ერთი მათგანი კი ამტკიცებს, რომ მათ საერთო შვილი ჰყავთ, რომლის შესახებ "დონ ჟუანმა" არაფერი იცოდა.

**ჯიმ ჯარმუში: "ამ ჯილდოს ვიღებ ყველა იმ რეჟისორის სახელით, რომლებიც გულისთქმას მისდევენ და აკეთებენ ფილმებს საკუთარი წარმოსახვების ვიზუალურ ენაზე სათარგმნელად. ჩვენ ყველანი ერთი ოჯახის წევრები ვართ. ჩემთვის ამ ოჯახში ცხოვრება კი ნამდვილი პატივია".**

ჟიურის მესამე რჩეული ფილმი ჩინელი რეჟისორის ვანგ ქსიაშუს "შანხაური სიზმრები" იყო - 80-იანური სასიყვარულო ისტორია ქარხნებისა და სამთავრობო ბრძანებების ფონზე.

ვანგმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ შაბათს მისი დაბადების დღე იყო, ეს პრიზი კი - საუკეთესო საჩუქარი. **"ძალიან მიხარია, აქ რომ ვდგავარ, იმიტომ რომ ფილმის გადაღება ძალიან გაგვიჭირდა - თანხების მოძიების პროცესი საშინლად გაგვიჯანჯლდა".**

ფესტივალის საუკეთესო მსახიობი მამაკაცი ტომი ლი ჯონსი გახდა. ეს მისთვის განსაკუთრებული პატივი იყო. ჯონსი ხომ მთავარ როლს ასრულებს ფილმში, რომელიც თვითონ გადაიღო. სადებიუტო ნაშრომმა "მელქიადეს ესტრადას სამი დაკრძალვა" სცენარის გამოც მიიქცია ყურადღება. შესაბამისად, მექსიკელმა დრამატურგმა გილერმო არიაგამ პრიზი საუკეთესო სცენარის კატეგორიაში მიიღო.

არიაგა და ჯონსი მოგვითხრობენ ტეხასური რანჩოს მცველზე (ტომი ლი ჯონსი), რომელიც თავის მოკლულ მეგობარს - არალეგალურ ლტოლვილს მექსიკიდან - პირობას შეუსრულებს და მის ნეშტს მშობლიურ მექსიკას მიაბარებს.

ცხადია, წარმატებამ დებიუტანტი რეჟისორი და გამოცდილი მსახიობი ძალიან გაახარა. თან გაოცებაც ვერ დამალა იმის გამო, რომ "მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟულ ფესტივალზე" მისი ფილმი დაჯილდოვდა.

**ტომი ლი ჯონსი: "მინდა მადლობა გადავუხადო ყველას, ვისაც ამ პროექტის თავიდანვე სჯეროდა. დავიწყებ ჩემი მეუღლით და ყველას მადლობას გადავუხდი, ჩრდილოეთ მექსიკელების, დასავლეთ ტეხასელების და იმ პუბლიკის ჩათვლით, რომელთაც მოწონება სურათის მიმართ პრემიერაზევე დააფიქსირეს. მთელი გულით გმადლობთ".**

ემოციური მადლობა ლოგიკური იყო: ტომი ლი ჯონსის კონკურენტები ხომ ბილ მიურეი, ვიგო მორტენსენი (დევიდ კრონენბერგის სურათში "ძალადობის ისტორია") და კევინ ბეკონი (ატომ ეგოიანის სურათში "სადაც სიმართლეა") იყვნენ.

საუკეთესო ქალი მსახიობი კი ჰანა ლასლო გახდა ამოს გიტაის ფილმში "თავისუფალი ზონა" შესრულებული როლისთვის. ლასლოს გმირი ტაქსის მძღოლია. ფილმიც, ძირითადად, აღმოსავლეთის მტვრიან გზებზეა გადაღებული.

ლასლოს პრიზი რალფ ფაინსმა გადასცა. მან კი თავისი ჯილდო ჰოლოკოსტში გადარჩენილ დედას უძღვნა.

დანარჩენი ჯილდოები ასე განაწილდა:

საუკეთესო რეჟისურისთვის დაჯილდოვდა მაიკლ ჰანეკე და მისი "დამალული". უკრაინელი რეჟისორის იგორ სტრემბიცკის "მგზავრი" კი საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმი გახდა.

გაიცა საუკეთესო დებიუტანტი რეჟისორების ჯილდოებიც. ამ კატეგორიაში ამერიკელმა მირანდა ჯულაიმ ("მე და შენ და ყველა ჩვენი ნაცნობი"") და შრილანკელმა ვიმუხტი ჯაიასუნდარამ ("მიტოვებული მიწა") გაიმარჯვეს.


გამარჯვებული მექსიკელი სცენარისტი არიეგა და ტომი ლი ჯონსი


ტომი ლი ჯონსი - საუკეთესო მამაკაცი მსახიობი და პენელოპა კრუსი


კრისტინ სკოტ-ტომასი, მაიკლ ჰანეკე და ემირ კუსტურიცა

კატეგორიაში Un Certain Regard კი რუმინელი რეჟისორის კრისტი პუიუს სურათი "ბატონ ლაზარესკუს სიკვდილი" დაჯილდოვდა.

რაც შეეხება წინასწარ გაცხადებულ ფავორიტებს - ლარს ფონ ტრიერს, ვიმ ვენდერსსა და გუს ვან სანტს, ისინი ჯილდოების გარეშე დარჩნენ.

ბოლოს პრესამ კანის კინოფესტივალი თემატიკის მხრივაც შეაფასა. გაირკვა, რომ თანამედროვე მსოფლიოს პრობლემატიკა წამყვანი იყო. "თავისუფალი ზონა" ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტს ეხებოდა, ტომი ლი ჯონსის სურათი ამერიკა-მექსიკის კონფლიქტების ფონზე ვითარდებოდა, მაიკლ ჰანეკეს "დამალული" საფრანგეთი-ალჟირის მტკივნეული ურთიერთობების ფონზე; ოქროს პალმის რტოს მფლობელი "ბავშვი" კი თანამედროვე ევროპის გზააბნეული მოქალაქეების ისტორიას მოგვითხრობდა. სხვათა შორის, ჰანეკეს სურათი კრიტიკოსების ერთ-ერთი ფავორიტი იყო. ფილმში მთავარ როლებს ჟულიეტ ბინოში და დენიელ ოტული თამაშობენ.

პრესის რეზიუმე კი ასეთია: წლევანდელმა კანმა სკანდალების გარეშე ჩაიარა. მოლოდინი ვერც კონკურსში მონაწილე დიდმა სახელებმა გაამართლეს. მათი ფილმები, ზოგიერთის შეფასებით, ულიმღამოც კი იყო. ასე განწყობილი კრიტიკოსები ამბობდნენ, რომ ვუდი ალენის ფილმი Match Point ბევრ საკონკურსო ნამუშევარს სჯობდა და აუცილებლად პრიზსაც მოიპოვებდა, კონკურსში რომ შეეტანათ.

ამ ფონზე მათთვის ყველაზე დიდი გასართობი და თავშესაქცევი ჯორჯ ლუკასის "ვარსკვლავეთის ომები" იყო. ამასობაში კი საუკეთესო ფილმებს ჟიური არჩევდა ემირ კუსტურიცას თავმჯდომარეობით, რომელსაც არჩევანის გაკეთებაში ნობელის პრემიის ლაურეატი ტონი მორისონი, მსახიობები სალმა ჰაიეკი, ხავიერ ბარდემი და სხვები ეხმარებოდნენ.

## ქართული ფილმები კანის საერთაშორისო კინოფესტივალზე

1956 - **"მაგდანას ლურჯა"** (თენგიზ აბულაძე, რეზო ჩხეიძე)
მოკლემეტრაჟიანი ფილმების კონკურსი
პრიზი საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმისთვის

1964 - **"თეთრი ქარავანი"** (ელდარ შენგელაია, თამაზ მელიავა)
კონკურსი

1966 - **"ხევსურული ბალადა"** (შოთა მანაგაძე)
ახალგაზრდული ფილმების პროგრამა

1968 - **"გიორგობისთვე"** (ოთარ იოსელიანი)
რეჟისორთა ორკვირეული

1974 - **"იყო შაშვი მგალობელი"** (ოთარ იოსელიანი)
რეჟისორთა ორკვირეული

1984 - **"დღეს ღამე უთენებია"** (ლანა ღოღობერიძე)
კონკურსი

- **"ჭირი"** (დათო თაყაიშვილი)
მოკლემეტრაჟიანი ფილმების კონკურსი
მთავარი პრიზი საუკეთესო მოკლემეტრაჟიანი ფილმისთვის

1985 - **"ტყვე"** (ბონდო შოშიტაიშვილი)
მოკლემეტრაჟიანი ფილმების კონკურსი

- **"ცისფერი მთები ანუ დაუჯერებელი ამბავი"** (ელდარ შენგელაია)
რეჟისორთა ორკვირეული

1987 - **"მონანიება"** (თენგიზ აბულაძე)
კონკურსი
ჟიურის სპეციალური დიდი პრიზი
კინოკრიტიკოსთა საერთაშორისო ასოციაციის (FIPRESCI) პრიზი

- **"რობინზონიადა ანუ ჩემი ინგლისელი პაპა"** (ნანა ჯორჯაძე)
განსაკუთრებული ხედვა
პრიზი "ოქროს კამერა" საუკეთესო დებიუტისთვის

1988 - **"ბელურების გადაფრენა"** (თეიმურაზ ბაბლუანი)
რეჟისორთა ორკვირეული

- **"ამაღლება"** (ნოდარ მანაგაძე)
რეჟისორთა ორკვირეული

1992 - **"ისინი"** (ლევან ზაქარეიშვილი)
რეჟისორთა ორკვირეული

1996 - **"შეყვარებული კულინარის 1001 რეცეპტი"** (ნანა ჯორჯაძე)
რეჟისორთა ორკვირეული

2000 - **"27 დაკარგული კოცნა ანუ ზაფხული"** (ნანა ჯორჯაძე)
რეჟისორთა ორკვირეული

- **"აპრილი"** (ოთარ იოსელიანი)
კონკურსგარეშე

2005 - **"თბილისი თბილისი"** (ლევან ზაქარეიშვილი)
რეჟისორთა ორკვირეული

- **"გიორგობისთვე"** (ოთარ იოსელიანი)
კრიტიკოსთა კვირეული (კონკურსგარეშე)




# თავისუფლება ალკატრასში გამომწყვდეულ მთვრალ კენგურუს!

დაახლოებით ათი წელიწადია ვწერ. ვწერ უმეტესად უცხოურ ფეხბურთზე. უცხოურ ფეხბურთზე იმიტომ, რომ აქ ამ სფეროში საინტერესო არაფერი ხდება. არაფერი ხდება, რადგან ქართული გუნდები პერმანენტულად ირცხვენენ თავს. ირცხვენენ იმიტომ, რომ არავინ აკეთებს საქმეს სწორად და პატიოსნად. არ აკეთებს, ვინაიდან ან არ იცის, როგორ უნდა ეს, ან იცის, მაგრამ პირად კეთილდღეობაზე დაგეშილს სულ ცალ ფეხზე ჰკიდია, რატომ მიიღო მარადიული სახე ქართული ფეხბურთის კრიტიკულმა ციკლმა. კრიტიკულს ციკლს კი თვალნათლივ ვხედავთ და მე ათი წელიწადია ვწერ მხოლოდ იმას, რაც აშკარაა - სნობიზმის, მარაზმის, კრიმინალიზმის პროფიციტსა და პროფესიონალიზმის, პატრიოტიზმის კატასტროფულ დეფიციტზე.

პროფესიონალიზმი, პროფესიონალიზმი, პროფესიონალიზმი - გავიძახოდი გიჟივით და ამ პერიოდში რამდენჯერმე გამიჩნდა გრძნობა, რომ ერთი და იგივეს წერა ონანიზმია. რა პროფესიონალიზმი, რის სამშობლოს სიყვარული, დიდი მაყუთის ჭრა იყო გაჩაღებული! შენ კიდე ზიხარ, დამწუხრებული წერ და ნელ-ნელა რწმუნდები, რომ შანსი არაა, ეს დამწნილებული ფსიქოლოგია შეიცვალოს.

თურმე ყოფილა და ჩემთვის ამ შანსს ნოდარ ახალკაცი ჰქვია. რატომ? იმიტომ, რომ ვიცნობ და ასპროცენტიანი ვიცი: ეს არის წესიერი, ინტელიგენტი, მოაზროვნე, ფეხბურთზე უზომოდ შეყვარებული, პრინციპული კაცი. ჩემთვის ეს სავსებით საკმარისია. საკმარისია იმისთვისაც, რომ ჯერ სწორი გზა მოვძებნოთ და მერე ამ გზაზე გამართულად სიარული ვისწავლოთ.

მაგრამ დახეთ, უკვე დაიწყო - "ამბობენ, რომ ხელისუფლების ფავორიტი ხართ." "ხელისუფლების ფავორიტი ხომ არ ხართ?" "ხმები დაირხა, ხელისუფლების ფავორიტიაო" - ასეთი მრავალფეროვანი და შინაარსიანი კითხვები დააყარეს ჟურნალისტებმა მას საარჩევნო პროგრამის პრეზენტაციაზე და წამით მეგონა, რომ ვიტალი ხაზარაძის სააგიტაციო ლანჩზე ვიყავი და არა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენაზე.

საქართველოში, სადაც ინტელექტის დონე კარგა ხანია გასცდა საგანგაშო ზღვარს, ჭკვიანი და პატიოსანი ადამიანების ძალიან ეშინიათ და ამაში არაფერია გასაკვირი, რადგან გაცილებით მეტია უტვინო, გაიძვერა და მლიქვნელი. ეს უკანასკნელნი მეტად ჰარმონიულად გრძნობენ თავს ერთმანეთის გვერდით და ურჩევნიათ, ყველაფერი მოხდეს, ოღონდ ეს იდილია ნუ დაირღვევა.

ბოლო დღეებში ბევრი მოსაზრება მოვისმინე ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნების ირგვლივ და, ჩემდა გასაოგნებლად, აღმოვაჩინე, რომ გარკვეული ფენა ცხარე ცრემლებით მისტირის იმ პერიოდს, როცა ჩვენ ფეხბურთს მართავდნენ ისინი, ვინც მართავდნენ, როცა საქართველოს ნაკრები მთვრალი კენგურუსავით მიხტოდა ფიფას რეიტინგის ასეულს მიღმა, როცა ეროვნული გუნდის ელიტარული განშტოება პასს არ აძლევდა მდაბიოებს, როცა გაუთავებელი მარცხი ბრალდებოდა სიცხეს, წვიმას, პახმელიას, შაკიკს, ბოზ მეზობელს, როცა ფედერაციის შენობაში შეღწევა და იქიდან ელემენტარული ინფორმაციის გამოტანა უფრო ძნელი იყო, ვიდრე ალკატრასის ციხიდან ალ კაპონეს გაპარება, როცა სხვადასხვა წყაროებიდან წამოსული თანხები ფეხბურთის განვითარების გარდა ყველაფერს ხმარდებოდა - კარგ ტელეფონს, კარგ მანქანას, კაი ბიჭებს, კაი ნაშებს...

უცნაური რამ უნდა გითხრათ - თვეზე მეტია ვცდილობ ფეხბურთის თამაშს, მაგრამ არაფერი გამომდის, თორმეტი კაცი ვერ შევკრიბე - ზოგი კაიფშია, ზოგს არ სცალია, ზოგს ეზარება, ზოგს ტელევიზორთან კოტრიალი ურჩევნია, ზოგს გამაზული აქვს და სანერვიულოდ ემზადება. საქართველოში ფეხბურთი ბეისბოლს დაემსგავსა პოპულარობის ამბავში! ამაზე უარესი რა უნდა მოხდეს, მეტი ცუდი რაღა უნდა გაეკეთებინათ ფედერაციის ყოფილ ბოსებს, რომელთაც ასე გამწარებულნი მისტირიან ვიღაც-ვიღაცები. ძირითადად ისინი, ნოდარ ახალკაცი რომ აღიზიანებთ. და თუ რატომ აღიზიანებთ, მგონი, გასაგებად ავხსენი.

კიდევ კარგი, ასეთი ინტელექტუალური გაქანებისანი უმრავლესობას არ წარმოადგენენ (საპარლამენტო უმრავლესობისგან განსხვავებით). კიდევ კარგი, რომ ხალხი მიხვდა - საჭიროა თანამედროვე მენტალიტეტი, გაუთავებელი შრომა, გაერთიანება, პროფესიონალებისთვის გზის დათმობა, ნაკლები ჭორაობა, გართობა და მეტი საქმის კეთება.

მე არ ვამტკიცებ, რომ ახალკაცის მოსვლის შემთხვევაში მდგომარეობა მომენტალურად გამოსწორდება და მგონი, ისიც ამ აზრზეა. ვერც იმას ვიტყვი, რომ შეცდომები არ იქნება, რადგან საქმის, თან ასეთი რთული საქმის კეთებისას, უშეცდომო ვერავინ იქნება, გამორიცხულია. მაგრამ ფაქტია, რომ მიდგომა აპრიორი შეიცვლება და თუ რაიმე პრობლემა შეიქმნა, ფედერაციაში იქნება ხალხი, ვინც შენიშვნებს მოისმენს, გაითვალისწინებს და საერთო საკეთებელს უფრო ხარისხიანად გააკეთებს. ნოდარმა მითხრა, რომ მზადაა ნებისმიერ დროს ნებისმიერი საქმიანი სიტყვის მოსასმენად და მისაღებად. ესეც ხომ პროფესიონალიზმის ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანია.

დარწმუნებული ვარ, ბევრი იფიქრებს, რომ შეკვეთილ წერილს კითხულობს და რაღაც პირადი მიზნები მამოძრავებს. დიახ, შეკვეთილია და ასეთი შაბაშები ხშირად მიმიღია - ზოგს მოსწონდა, ზოგს - არა, ზოგი შეეწირა ამ ამბავს, ზოგიც პირიქით. შემკვეთი კი ყოველთვის ერთი იყო და არასდროს შეიცვლება - ეს არის ჩემი სინდისი.

პირადი მიზნები? არც უამისობაა. ძალიან მინდა სტადიონზე მაქსიმალური სიხშირით ვიარო და კიდევ უფრო მინდა, ჩემმა ერთი წლის გოგლამ არ გაიგოს, რომ იყო დრო, როდესაც ეროვნული ჩემპიონატის ცენტრალურ მატჩს სამასი მაყურებელი ესწრებოდა მთქნარებით, ნაკრებს და მის სტუმრებს ბოთლებს ესროდნენ, რომ ხალხი ფეხბურთზე ბოღმის, დეპრესიული ნარჩენების სანთხევად დაიარებოდა.

ვიცი, ბევრი ოცნებობს ამაზე. ყველას უნდა, მხრებზე შვილი შეისვას და ყოველ კვირა დღეს თავაწეული წავიდეს სტადიონზე, ამ მივიწყებულ ადგილას, სადაც ერთ დროს ქართული გენი, სითბო, გნებავთ, კულტურა ყვაოდა, სადაც დათო ყიფიანი ქმნიდა ელეგანტურ სასწაულებს და ამის გამო ჩვენ ძალიან გვიყვარდა, ძალიან ვაფასებდით ერთმანეთს.

იქამდე შორი გზაა, მაგრამ თუ ოდესმე ამ გზას არ დავადგებით, ვერასდროს მივაღწევთ იმ საოცარ სამყარომდე, რომელსაც ნაღდი ქართული ფეხბურთი ჰქვია და რომელიც დღეს აღარ არსებობს ჩვენივე ინვალიდი მენტალიტეტის გამო.

*მომავალ სამშაბათამდე*

ფეხბურთი

# "მილანი" საუკეთესოა ევროპაში

ასეთი აზრი გამოთქვა იტალიელების შესახებ ინგლისის "ლივერპულის" კაპიტანმა სტივენ ჯერარდმა. "მილანი" და "ლივერპული" წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის ფინალისტები არიან და წლის უმთავრეს ჯილდოს 25 მაისს სტამბულის ოლიმპიურ სტადიონზე გაითამაშებენ.

თუ "მილანის" ფინალში გასვლა ზედმეტ კითხვებს არ იწვევს, "ლივერპულის" წარმატება ყველასთვის სიურპრიზი იყო და ამიტომაც არის, რომ გულშემატკივრებს დღემდე ვერ აუხსნიათ, როგორ შეიძლება "ლივერპულმა" კარლო ანჩელოტის გუნდი დაამარცხოს. ერთადერთი, რისი იმედიც შეიძლება ინგლისელებს ჰქონდეთ, მათი მწვრთნელია, რომელმაც ტურნირის მეოთხედფინალსა და ნახევარფინალში უაღრესად დამაჯერებელი, სწორი ტაქტიკით ათამაშა გუნდი და ტურნირიდან დაითხოვა ევროპული ფეხბურთის ისეთი გრანდები, როგორებიც არიან "იუვენტუსი" და "ჩელსი".

რაფაელ ბენიტესმა ტურინში სასურველი შედეგის მიღწევის შემდეგ პრესკონფერენციაზე განმარტა, თუ როგორ შეძლო საოცრად პრაგმატული "იუვეს" დამარცხება. გულშემატკივარს ალბათ ახსოვს, რომ ენფილდ როუდზე "ლივერპულმა" მეტად აგრესიული ფეხბურთი შესთავაზა მეტოქეს და - 2:1 გაიმარჯვა. ტურინის "დელე ალპიზე" კი რაფაელ ბენიტესის გუნდმა პრაქტიკულად 60 მეტრზე ითამაშა ფეხბურთი და ტურინელები საკუთარი კარის სიახლოვეს არ მიუშვა.

"ჩვენ ძალიან კარგად ვიცოდით "იუვენტუსის" ძლიერი და სუსტი მხარეები. ამიტომაც შევეცადეთ, მათი სისუსტე გამოგვეყენებინა. ვიცით, რომ ტურინელები ძალიან ძლიერად თამაშობენ მინდვრის ცენტრალური ზონიდან. როცა გასაქანი მიეცემათ, მათი შეჩერება მეტისმეტად ძნელია. ამიტომ ჩვენ შევეცადეთ, ცენტრი გადაგვეკეტა და მეტოქე გვეიძულებინა, ფლანგებზე გადასულიყო. ფლანგებიდან ჩამოწოდებულ ბურთზე ანუ საჰაერო ორთაბრძოლაში ჩვენ გარკვეული უპირატესობა გვქონდა. ამის გამო მეტოქემ ვერ გაგვიტანა გოლი", - განაცხადა მაშინ რაფაელ ბენიტესმა.



*სტივენ ჯერარდი ამბობს, რომ "მილანი" საუკეთესოა ევროპაში, მაგრამ სტამბულში ჩასული "ლივერპულის" ფანები სხვაგვარად ფიქრობენ.*

საგულისხმოა, რომ "ლივერპული" მეორე იტალიური გრანდის წინააღმდეგაც იგივე ტაქტიკით წარმართავს ბრძოლას. თუმცა, აქ გასათვალისწინებელია, რომ "მილანი" ტიპური იტალიური ფეხბურთის წარმომადგენელი არ არის. ის სხვაგვარ, ტექნიკურ ფეხბურთს ქადაგებს და შემადგენლობაშიც მრავალმხრივი გაქანების ფეხბურთელები ჰყავს. ამიტომ არ არის გამორიცხული, კარლო ანჩელოტიმაც სიურპრიზი შესთავაზოს თავის კოლეგას. სწორედ ამაზე საუბრობს "ლივერპულის" კაპიტანი სტივენ ჯერარდი და ის "მილანს" ევროპის საუკეთესო კლუბად მიიჩნევს.

თუმცა, ჯერარდი ამბობს, რომ, ამის მიუხედავად, ჩემპიონთა ლიგას სწორედ "ლივერპული" მოიგებს. "მილანი" ფანტასტიკური გუნდია. მიმაჩნია, რომ ის საუკეთესოა ევროპაში, - უეფას ოფიციალურ საიტთან ინტერვიუში განაცხადა სტივენ ჯერარდმა, - მის შემადგენლობაში მაღალი კლასის უამრავი ფეხბურთელია როგორც დაცვითი, ისე შეტევითი სტილის. ეს "ლივერპულს" არაერთ პრობლემას შეუქმნის, მაგრამ ჩვენ ჩემპიონთა ლიგის მოგებას ვაპირებთ".

ჯერარდმა "მილანის" პრაქტიკულად ყველა ფეხბურთელი დაახასიათა და მათ შორის ამპლუის მიხედვით თავისი კოზირები გამოარჩია. "მე მომწონს "მილანის" ფეხბურთელები: კაკა, შევჩენკო, ზეედორფი. ისინი თავიანთი ხასიათით გამარჯვებულები არიან. პირლო უაღრესად ჭკვიანურ ფეხბურთს თამაშობს. გატუზო ენერგიით აღსავსეა და ამით გამოირჩევა. ის მოედანზე ძალიან აგრესიულია. ამასთან, ეს უდიდესი კლუბია, რომელიც შესანიშნავი შემსრულებლებით გამოირჩევა".

როდესაც "მილანის" დამარცხების შესაძლებლობებზე მსჯელობდა, ჯერარდმა აღნიშნა, რომ ტაქტიკის შერჩევისას ძალიან ფრთხილად უნდა მოიქცნენ. "ჩვენ თუ უკანმოუხედავად გადავალთ შეტევაში, იტალიელები აუცილებლად დაგვსჯიან, მაგრამ თუ მხოლოდ დაცვიდან ვითამაშებთ, ისინი თავის ერთ-ერთ შანსს გამოიყენებენ. ჩვენ ბევრი სხვადასხვა ტაქტიკური მონახაზი დავამუშავეთ და მივედით დასკვნამდე, რომ ოქროს შუალედი უნდა მოვნახოთ", - აღნიშნა ჯერარდმა.

"ლივერპულის" კაპიტანმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ფინალის ბედს ერთადერთი გოლი გადაწყვეტს. "არა მგონია, რომ ამ მატჩში ბევრი გოლი გავა. ორივე გუნდი დაცვაში ძალიან კარგად თამაშობს, ამიტომ ისეთი ანგარიშები, როგორიც - 3:3, 2:2 ან 3:2-ია, ნაკლებად არის მოსალოდნელი. მიმაჩნია, რომ ყველაფერს ერთი გოლი გადაწყვეტს. ვიმედოვნებ, რომ ძირითად დროში, რადგან ჩვენ არ გვინდა, ჩემპიონთა ლიგა პენალტების სერიაში მოვიგოთ".

შეგახსენებთ, რომ ფინალს, რომელიც სტამბულის ოლიმპიურ სტადიონზე 25 მაისს გაიმართება, ესპანელი მსაჯი მანუელ ენრიკე მეხუტო გონსალესი განსჯის.

# ევროპული უიკ-ენდი

გასულ უქმეებზე ტურინის "იუვენტუსი" იმ ცხრა ევროპულ კლუბს შორის დამკვიდრდა, ვინც თავისი ქვეყნის ჩემპიონის ტიტული გაიფორმა. ტურინელებმა 28-ე "სკუდეტო" მოიგეს. თანაც, ვადამდე. ამ საქმეში "ბებერ ქალბატონს" დაეხმარა "მილანი", რომელმაც შინ ვერ შეინარჩუნა ორბურთიანი უპირატესობა და "პალერმოსთან" მატჩში ფრეს დასჯერდა.

კარლო ანჩელოტის "მილანს" სხვა საფიქრალი ჰქონდა. მას სტამბულში ჩემპიონთა ლიგის ფინალი აქვს სათამაშო ინგლისის "ლივერპულთან" და ამის გამო მწვრთნელმა ძირითადი შემადგენლობის ერთბაშად 10 ფეხბურთელს მისცა დასვენების საშუალება. თუმცა, ანჩელოტის ამ საქციელს გუნდისთვის დივიდენდები არ მოუტანია. სიცილიელებთან ნათამაშები შედეგიანი ფრის შემდეგ "როსონიერი" "იუვენტუსს" იტალიის ჩემპიონატის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე ოთხი ქულით ჩამორჩა.

თავის მხრივ, ფაბიო კაპელოს "იუვენტუსმა" კვირას "ლივორნოსთან" ფრედ - 1:1 ითამაშა და "მილანთან" სხვაობა ხუთ ქულამდე გაზარდა. ამასთან, ტურინელებმა ოფიციალურად აღნიშნეს მესამე ჩემპიონის ტიტული ბოლო ოთხ წელიწადში. დაახლოებით ანალოგიური რამ მოხდა ნისლიან ალბიონზე, ოღონდ ამ შემთხვევაში საქმე თასს ეხებოდა. ლონდონის "არსენალმა" უკანასკნელ ოთხ წელიწადში მესამედ მოიპოვა ინგლისის თასი. ფინალში არსენ ვენგერის ფეხბურთელებმა უაღრესად დრამატულ მატჩში პენალტების სერიით სძლიეს "მანჩესტერ იუნაიტედს".

თამაშის მსვლელობაში მანჩესტერელებს საგრძნობი უპირატესობა ჰქონდათ. თუმცა, უპირატესობის გოლად ქცევა სერ ალექს ფერგიუსონის ბიჭებმა ვერ მოახერხეს. არადა, მანჩესტერელებმა ორჯერ გაარტყეს ბურთი ძელს. ამის გამო საქმე დამატებით დროში და შემდეგ პენალტების სერიაში გაირკვა. პენალტების სერიაში კი იღბალი ლონდონელთა მხარეს აღმოჩნდა. ბოლო დარტყმა პატრიკ ვიეირამ შეასრულა. საინტერესოა, რომ ინგლისის თასის არსებობის 134-წლიანი ისტორიის განმავლობაში პირველად მოხდა, რომ თასის ბედი პენალტების სერიაში გაირკვა.



*ტურინის "იუვენტუსმა" ბოლო 4 წელიწადში მესამე "სკუდეტო" მოიგო.*

სხვა მნიშვნელოვანი მოვლენებიდან აღსანიშნავია რამდენიმე ფაქტი. რივალდოს დუბლმა საბერძნეთის "ოლიმპიაკოსს" საშუალება მისცა, ქვეყნის თასის გათამაშების ფინალში - 3:0 გაენადგურებინა "არისი" და ჯილდოს დაუფლებოდა. მოლდოვის "ნისტრუმ" კი - 2:0 დაამარცხა "დაჩია" და მეექვსე ცდაზე, როგორც იქნა, პირველად მოიპოვა ქვეყნის თასი. მალტის თასის გათამაშების ფინალში კი "ბირკირკარამ" - 2:1 დაამარცხა "მსიდა" და ბოლო ოთხი წლის მანძილზე მესამედ მოიგო თასი. ბელორუსის თასი კი მინსკის მტზ-მ მოიგო, რომელმაც ფინალში - 2:1 დაამარცხა ჩვენი გულშემატკივრისთვის კარგად ცნობილი "ბატე".

საოცარი შემთხვევა მოხდა შოტლანდიაში, სადაც ქვეყნის ჩემპიონის ბედი სკოტ მაკდონალდმა გადაწყვიტა, რომელიც "მოზერუელის" ღირსებას იცავს. მან გლაზგოს "სელტიკთან" მატჩში ბოლო წუთებზე დუბლი გაიფორმა (2:1) და ამით ჩემპიონის ტიტული მეორე გლაზგოურ კლუბს, "რეინჯერსს" დაუთმო, რომელმაც, თავის მხრივ "ჰიბერნიანი მინიმალური ანგარიშით - 1:0 დაამარცხა. "ჰიბერნიანი" კი, ამ დამარცხების მიუხედავად, მომავალ სეზონში უეფას თასზე ითამაშებს.

ჟოვანი ტრაპატონიმ პირველი სეზონი ჩაატარა პორტუგალიაში და "ბენფიკას" ჩემპიონის ტიტული მოაპოვებინა. თუმცა, ლისაბონელებს გვარიანი ოფლის ღვრა მოუხდათ იმისთვის, რომ "ბოავიშტასთან" მატჩში ფრისთვის მიეღწიათ - 1:1. "ბენფიკას" შეცდომით შეიძლებოდა "პორტუს" ესარგებლა, მაგრამ, ლისაბონელებისა არ იყოს, თავისი მატჩი ვერც მან მოიგო. უფრო მტკიცედ ავიდა თურქეთის კვარცხლბეკზე სტამბულის "ფენერბახჩე". გადამწყვეტ შეხვედრაში კრისტოფ დაუმის გუნდმა თანაქალაქელი "გალათასარაი" დაამარცხა - 1:0.

"ბარსელონამ" ესპანეთის ჩემპიონის ტიტული ჯერ კიდევ წინა კვირაში გაიფორმა და "ნოუ კამპზე" შეკრებილ აუდიტორიას საშუალება ჰქონდა, საკუთარი თვალით ეხილა გუნდის მიერ მოპოვებული ჯილდო. თუმცა, "ბარსას", მორიგი გამარჯვებით თავისი გულშემატკივარი გაეხარებინა, ხელი შეუშალა "ვილიარეალის" ფორვარდმა დიეგო ფორლანმა, რომელმაც ჰეთ-თრიქი შეასრულა და ევროპის საუკეთესო ბომბარდირობისთვის ბრძოლაში ტიერი ანრისთან გოლების დეფიციტი ორამდე შეამცირა. ჩემპიონის ტიტული ვადამდე გაიფორმა სოფიის ცსკა-მ, რომელმაც ბულგარეთის ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩში - 2:1 დაამარცხა "პირინი". ბულგარული კლუბი 30-ე ტიტულს დაეუფლა.

რაც შეეხება გერმანიის ჩემპიონატს, აქ ლევან კობიაშვილის "შალკე 04"-მა სტუმრად სძლია "ფრაიბურგს" - 3:2 და ქვეყნის ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიმკვიდრა, რაც გელზენკირხენელებს საშუალებას აძლევს, მომავალ სეზონში პირდაპირ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირზე ითამაშოს. "შალკეს" ლიგაში კომპანიას გაუწევს ბრემენის "ვერდერი", რომელმაც გასულ უქმეებზე "კაიზერსლაუტერნი" დაამარცხა, რითაც "შტუტგარტსა" და "ჰერტას" გაუსწრო. "ვერდერი" მესამე ადგილზე დამკვიდრდა.

საფრანგეთში "რენმა" საშინაო მატჩში გაანადგურა "სტრასბური" - 4:0 და უეფას ზონაში შეაღწია. ბელგიაში კი "სტანდარდმა" და "გენკმა" ჩემპიონატი იდენტური მაჩვენებლით დაასრულეს და ურთიერთშეხვედრაში გაარკვევენ ბელგიიდან უეფას საგზურის მფლობელის ვინაობას.

ინფოთეკა

## ვენგერი "არსენალიდან" წასვლას აპირებს

ლონდონის "არსენალის" მთავარმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა განაცხადა, რომ, შესაძლოა, კლუბი დატოვოს 2006 წელს.

აღსანიშნავია, რომ ვენგერი ლონდონის გუნდში 1996 წლის ზაფხულიდან მუშაობს.

"ასპარეზს ახალ მწვრთნელს დავუთმებ, მე კი სხვაგან მოვძებნი სამუშაოს. ახლა ნამდვილად არ ვფიქრობ საფრანგეთის ეროვნული ნაკრების მწვრთნელობაზე, თუმცა, გამორიცხული არ არის, აზრი შევიცვალო. სხვადასხვა ეროვნულ ნაკრებში სამუშაოდ მიწვევენ, მაგრამ მე საკლუბო ფეხბურთი მირჩევნია", - აღნიშნა ვენგერმა.

"არსენალის" ხელმძღვანელობას კი მწვრთნელის დათმობა არ უნდა. "მეთოფეების" ვიცე-პრეზიდენტმა დევიდ დეინმა "ბიბისისთან" საუბრისას განაცხადა: მათ დიდი იმედი აქვთ, რომ ფრანგი სპეციალისტი "არსენალთან" მუშაობას გააგრძელებს და ახალ კონტრაქტს მოაწერს ხელს.

"ვენგერი "არსენალის" მთელი ისტორიის მანძილზე საუკეთესო მწვრთნელია. მან რადიკალურად შეცვალა გუნდი. ჩვენ გვინდა, რომ ის აქ დარჩეს და "არსენალთან" ერთად მოიპოვოს ტიტულები. ვენგერი ქმნის ახალ გუნდს, რომელსაც დიდი მომავალი აქვს", - კომპლიმენტები არ დაიშურა დეინმა.

ბრიტანული მასობრივი წყაროები იმასაც ამბობენ, რომ, შესაძლოა, არსენ ვენგერი მწვრთნელის პოსტიდან მართლაც წავიდეს, თუმცა, კლუბში სამუშაოდ დარჩეს - სხვა თანამდებობა დაიკავოს. ამის შესახებ დეინმაც განაცხადა: "ვვარაუდობ, რომ ვენგერი კიდევ დიდხანს დარჩება კლუბში. თუ ის მწვრთნელის პოსტს დატოვებს, მაშინ სხვა თანამდებობას შევთავაზებთ".

## "ბარსა" 30 მილიონ გირვანქა სტერლინგს გადაიხდის ფერდინანდისთვის

"ბარსელონას" პრეზიდენტმა ხაუნ ლაპორტამ "მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელის რიო ფერდინანდის შეძენის სურვილი გამოთქვა. Mirror-ის ცნობით, ესპანურმა კლუბმა მას შემდეგ გადაწყვიტა თავისი სურვილის საჯაროდ გამოთქმა, რაც ინგლისელ მცველს "ოლდ ტრაფორდზე" უსიამოვნება შეემთხვა. ამის მიზეზი ჰონორართან დაკავშირებული უსიამოვნება გახლავთ.

საქმე ისაა, რომ ფერდინანდი, რომლის ახალანდელი კონტრაქტი "მანჩესტერ იუნაიტედთან" კიდევ ორ წელიწადს ითვალისწინებს, თავის აგენტთან ერთად კვირაში 125 ათასი გირვანქა სტერლინგის გადახდას ითხოვს. თუმცა, ხელმძღვანელობა უარზეა. არადა, ფერდინანდს ამ გზით შეეძლო გამხდარიყო მსოფლიოში ყველაზე მაღალანაზღაურებადი თავდამსხმელი.

"ბარსელონა" მზადაა, ფეხბურთელში 30 მილიონი გადაიხადოს. სხვათა შორის, "ბარსა" "არსენალის" მცველის ეშლი კოულის შეძენასაც გეგმავს, თუმცა, ამის შესახებ კონკრეტული განცხადებები ჯერ არ გაუკეთებია.

სამაგიეროდ ცნობილი გახდა რიო ფერდინანდის აზრი. მცველს მიაჩნია, რომ, ხელმძღვანელობასთან ამ საკითხში შეუთანხმებლობის მიუხედავად, მას "მანჩესტერ იუნაიტედიდან" წასვლა მაინც არ უნდა.

"სწორედ მანჩესტერ იუნაიტედის" შემადგენლობაში მინდა ტურნირების მოგება. გულდასაწყვეტია, რომ შაბათს "არსენალთან" დავმარცხდით და ინგლისის თასი ვერ მოვიგეთ. მჯერა, მომავალში აუცილებლად მივაღწევთ მიზანს", - განაცხადა ფეხბურთელმა.

## "ლივერპულსა" და "ნიუკასლს" ბოა მორტე აინტერესებთ

The Times-ის ცნობით, "ლივერპული" დიდ ინტერესს ამჟღავნებს "ფულჰემის" თავდამსხმელის ბოა მორტეს მიმართ. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ფეხბურთელის შეძენა "ნიუკასლსაც" უნდა, თუმცა, მათი მთავარი მწვრთნელის გრემ სუნესის განცხადებით, მის გუნდს, ალბათ, ძალიან გაუჭირდება, კონკურენცია გაუწიოს ჩემპიონთა ლიგის ფინალისტ გუნდს - "ლივერპულს".

## იუნბერგმა კონტრაქტი გააფორმა Puma-სთან

ინგლისის მასობრივი საინფორმაციო წყაროების ცნობით, ლონდონის "არსენალის" შვედმა ფეხბურთელმა ფრედი იუნბერგმა ოთხწლიანი სპონსორული კონტრაქტი გააფორმა კომპანია Puma-სთან.

კონტრაქტის თანახმად, ფეხბურთელი ყოველწლიურად მიიღებს 1,5 მილიონ გირვანქა სტერლინგს იმისთვის, რომ ამ ფირმის ბუცებით გამოვა სათამაშო მოედანზე.

მოკლედ

### "ბენფიკა" ჩემპიონი გახდა, "პორტუს" მწვრთნელი კი თანამდებობას ტოვებს

პორტუგალიის ჩემპიონატი ლისაბონის "ბენფიკას" გამარჯვებით დამთავრდა. ამ გუნდისთვის ჩემპიონის ტიტული პირველია უკანასკნელი 11 წლის განმავლობაში. გუნდმა ტურნირი 64 ქულით დაასრულა, სამი ქულით გაუსწრო "სპორტინგსა" და "პორტოს".

ამავე დროს, "პორტუს" მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე კონსეირუმ თანამდებობიდან წავლა გადაწყვიტა, რადგან მისმა გუნდმა ვერ შეძლო ქვეყნის ჩემპიონის ტიტულის მოპოვება. უკანასკნელ ტურში "პორტუს" ჰქონდა შანსი, "ბენფიკა" უკან ჩამოეტოვებინა, მაგრამ ეს შანსი მაშინ გაუშვა ხელიდან, როცა საკუთარ მოედანზე "აკადემიკასთან" ფრედ (1:1) ითამაშა.

"ამ მატჩის დაწყებამდე მზად ვიყავი დავთანხმებულიყავი გუნდის ხელმძღვანელობის წინადადებაზე, რომელიც ჩემს აქ დარჩენას შეეხებოდა, თუმცა, ახლა ვფიქრობ, სიტუაცია ჩემს სასარგებლოდ არ შემოტრიალებულა, ამიტომაც წასვლა გადავწყვიტე," - განაცხადა კონსეირუმ.

"პორტუს" ხელმძღვანელობას ჯერ არ გამოუცხადებია, ვინ დაიკავებს გუნდის მწვრთნელის ვაკანტურ ადგილს. ადგილობრივი პრესის ცნობით, ეს ადამიანი ჰოლანდიის "აზ 67"-ის თავკაცი კო ადრიანსე გახდება.

გუნდიდან წასვლის შესახებ "ბენფიკას" მთავარმა მწვრთნელმა ჯოვანი ტრაპატონიმ ჯერ კიდევ გასულ კვირას გააკეთა განცხადება. მან სამშობლოში დაბრუნების სურვილი გამოთქვა. ამის შემდეგ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მწვრთნელის მიმართ დიდ ინტერესს იჩენენ "რომა" და "ლაციო".

ჯერჯერობით უცნობია, "ბენფიკადან" წასვლის შემდეგ კონკრეტულად რომელ კლუბში გააგრძელებს მუშაობას ტრაპატონი.

### "ჩელსიმ" ინგლისის ქუჩებში ისეირნა

კვირას ორმა საგანგებოდ თავგადახდილმა ავტობუსმა სტარტი აიღო სტადიონ "სტემფორდ ბრიჯიდან". იგი ლონდონის ქუჩებში დაატარებდა ქვეყნის ჩემპიონს "ჩელსის". ავტობუსებს პოლიციელები აცილებდნენ. სკოტლანდ-იარდის შეფასებით, მსვლელობის სანახავად 200 ათასამდე ლონდონელი და დედაქალაქის სტუმარი გამოსულიყო ქუჩებში.

ავტობუსებიდან საზოგადოებას ესალმებოდნენ კლუბის მფლობელი რუსი ბიზნესმენი რომან აბრამოვიჩი, მთავარი მწვრთნელი ჟოზე მოურინიო, "ჩელსის" კაპიტანი ჯონ ტერი და გუნდის სხვა ფეხბურთელები.

ფეხბურთელებმა და გულშემატკივრებმა ერთად იმღერეს ცნობილი სიმღერა "Have you ever seen Chelsea win the league?" ("ოდესმე გინახავთ, რომ "ჩელსის" პრემიერ-ლიგა მოეგოს?").

ადრე მას "ჩელსის" მოწინააღმდეგეები მღეროდნენ, ლონდონის კლუბისთვის რომ დაეცინათ. საქმე ის გახლავთ, რომ 1955 წლის შემდეგ "ჩელსიმ" ამ დრომდე ვერ მოახერხა ინგლისური ფეხბურთის მწვერვალის დაპყრობა. თუმცა, ახლა "ჩელსის" გულშემატკივრები დიდი სიამაყით თავადვე ასრულებენ ამ სიმღერას.

"ადამიანები ძალიან კმაყოფილები არიან. ბევრისთვის ეს გამარჯვება პირველია. ახლა მათ გამარჯვების აღნიშვნაც შეუძლიათ. ჩვენც ივლისამდე დაგვემშვიდობებიან. ხუთი კვირა ვერ ვნახავ ჩემს ბიჭებს. ძალიან მომენატრებიან. მინდა, რომ გამარჯვების სიხარული კიდევ ბევრჯერ მივანიჭოთ ჩვენს გულშემატკივრებს, ზეიმის საბაბი მომავალშიც მივცეთ მათ", - განაცხადა ჟოზე მოურინიომ.

"ამდენი ადამიანის ერთად დანახვა საოცარი გრძნობაა. პირველი წელიწადია, რაც "ჩელსიში" ვარ. იმედი მაქვს, ამ ავტობუსით კიდევ ბევრჯერ გავისეირნებ", - აღნიშნა ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა არიენ რობენმა.

მსვლელობა დამთავრდა პარსონ-გრინში, სადაც დამონტაჟებულ უზარმაზარ ეკრანებზე გასულ სეზონში "ჩელსის" ყველაზე დასამახსოვრებელი სათამაშო ეპიზოდები აჩვენეს.

### "იუვენტუსმა" ემერსონი 20 მილიონ ევროდ შეაფასა

ტურინის "იუვენტუსმა" უკვე გამოაცხადა თანხა, რომლის ფასადაც მზადაა დაემშვიდობოს თავის ნახევარმცველს ემერსონს, რომლის მიმართ დიდ ინტერესს ამჟღავნებს მადრიდის "რეალი". საუბარია 20 მილიონ ევროზე.

სხვათა შორის, გამორიცხული არ არის, რომ გარიგება არ შედგეს, თუნდაც, მადრიდის კლუბმა დასახელებული თანხა გადაიხადოს. მიუხედავად იმისა, რომ თავად ფეხბურთელი გუნდის შეცვლის წინააღმდეგი არ არის, მისი წასვლა არ უნდა "იუვეს" მთავარ მწვრთნელს ფაბიო კაპელოს. მისი თქმით, ემერსონი გუნდის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელია, ამიტომ მისი გაშვება არანაირი თანხის ფასად არ შეიძლება.

### ლუშემბურგო გადაწყვეტს, გაუშვას თუ არა ბექჰემი ნაკრებში

ყვითელმა ბარათმა, რომელიც დევიდ ბექჰემმა "რეალისა" და ატლეტიკოს" (0:0) მატჩის დროს დაიმსახურა, შეიძლება მას ინგლისის ნაკრების აშშ-ს წინააღმდეგ ამხანაგურ მატჩში მონაწილეობის მიღების საშუალება მისცეს (შეხვედრა შაბათს ჩიკაგოში გაიმართება!). ავტომატური დისკვალიფიკაციის გამო "სამეფო კლუბის" ინგლისელი ლეგიონერი ვერც ერთ შემთხვევაში ვერ შეძლებს ესპანეთის ჩემპიონატის უკანასკნელ ტურში "სარაგოსას" წინააღმდეგ თამაშს.

"ბექჰემთან დალაპარაკება მომიწევს. უნდა გადავწყვიტოთ, გავუშვათ თუ არა იგი ეროვნულ ნაკრებში სათამაშოდ", - განაცხადა "რეალის" მთავარმა მწვრთნელმა ვანდერლეი ლუშემბურგომ.

### ხერარდი კლუბიდან წასვლას აპირებს

"ბარსელონას" ნახევარმცველმა ხერარდმა აღიარა, რომ მოლაპარაკებას აწარმოებს "მონაკოს" ხელმძღვანელობასთან. საქმე ეხება ამ გუნდში მის გადასვლას. "მონაკოს" წარმომადგენლებმაც დაადასტურეს მათი ინტერესი.

აღსანიშნავია, რომ ფეხბურთელს "ბარსელონასთან" კონტრაქტს ამ ზაფხულს გასდის ვადა, კატალონიელებს კი ჯერჯერობით მისთვის ახალი კონტრაქტი არ შეუთავაზებიათ.

### ფერგიუსონი "მანჩესტერ იუნაიტედს" ორი წლის შემდეგ დატოვებს

"მანჩესტერ იუნაიტედის" მთავარმა მწვრთნელმა სერ ალექს ფერგიუსონმა გაზეთ "სანთან" ინტერვიუში განაცხადა, რომ ის კლუბში კიდევ ორ წელიწადს იმუშავებს.

გამოცემა იტყობინება, რომ 63 წლის სპეციალისტი ორი წლის შემდეგ მწვრთნელის კარიერის დასრულებასაც გეგმავს. ამის შესახებ თავად უთხრა კლუბის ხელმძღვანელობას.

აქვე ერთი ინფორმაცია "მანჩესტერ იუნაიტედის" შესახებ.

ახალმა ამერიკელმა მფლობელმა მალკოლმ გლეიზერმა კლუბს 100 მილიონი გირვანქა სტერლინგი გამოუყო ახალი ფეხბურთელების შესაძენად.

### რედნაპი "საუთჰემპტონს" არ დატოვებს

"საუთჰემპტონის" მწვრთნელმა გარი რედნაპმა განაცხადა, რომ კლუბში მომავალ სეზონშიც იმუშავებს, მიუხედავად იმისა, რომ მან ინგლისის პრემიერ-ლიგა დატოვა. "მას შემდეგ, რაც ბოლო ტურში მოხდა, გუნდიდან წასვლა არ შემიძლია. მე ყოველთვის ვამბობდი, "საუთჰემპტონი" ჩემი უკანასკნელი გუნდი იქნება-მეთქი, თუმცა, არ მინდა მისი დატოვება ასეთი იმედგაცრუების შემდეგ", - თავის გადაწყვეტილებას კომენტარი გაუკეთა რედნაპმა.

### კანი 2008 წლამდე დარჩება "ბაიერნში"

მიუნხენის "ბაიერნის" წარმომადგენლის განცხადებით, ოლივერ კანი გუნდში 2008 წლამდე დარჩება. უფრო ადრე ზოგიერთი წყარო იტყობინებოდა, რომ "ბაიერნი" მზად იყო განშორებოდა კანს, რომლისთვისაც ეს სეზონი მაინცდამაინც იღბლიანი არ გამოდგა. თუმცა, კლუბის გენერალურმა მენეჯერმა ული ხენესმა აღნიშნა, რომ 36 წლის ვეტერანი ფეხბურთელის გუნდიდან წასვლაზე საუბარიც კი ზედმეტია.

### ჩემპიონთა ლიგის ფინალი ესპანელ მსაჯს მიანდეს

გუშინ უეფამ გაამხილა მთავარი არბიტრის ვინაობა, რომელიც ოთხშაბათს ჩემპიონთა ლიგის მატჩს განსჯის. ეს გახლავთ ესპანეთის მსაჯთა კორპუსის წარმომადგენელი მანუელ მეხუტო გონსალესი.

აღსანიშნავია, რომ გონსალესი იქნება მესამე ესპანელი არბიტრი, რომელსაც ამ ტურნირის გადამწყვეტ მატჩებზე მსაჯობა მიანდეს. მის ანგარიშზეა 57 საერთაშორისო შეხვედრა, მათ შორის ჩემპიონთა ლიგის 18 მატჩი.

სროლა

# მოყვარულებს სამიზნე გამოუჩნდათ


სასტენდო სროლას მხარში მოყვარულთა კავშირიც ამოუდგა.

გიგა გურასაშვილი

ჰუმანური აქტია თუ არა ნადირობა, ამასთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ისინი, ვისაც ნადირობა არაჰუმანურად მიაჩნია (და არა მარტო მათ), შეუძლიათ გაერთიანდნენ სასტენდო სროლის მოყვარულთა კავშირში (სსმკ), რომელიც თებერვალში დაფუძნდა და რომლის წევრობაც ყველას შეუძლია.

სასტენდო სროლის მოყვარულთა კავშირს არაერთი მიზანი აქვს. პირველ ყოვლისა, საქართველოში სასტენდო სროლის განვითარება, მისი ხელშეწყობა, მით უმეტეს, რომ, როგორც სპორტის სახეობა, ოლიმპიური თამაშების ოფიციალური პროგრამის ნაწილიცაა.

გარდა ამისა, მიზნებს შორის (რომლის თაობაზეც გუშინ ტოტალიზატორ "ტაიმაუტში" მოწყობილ პრესკონფერენციაზე სსმკ-ის მესვეურებმა გელა სიმონიანმა, მამუკა კახიძემ და კახა სიხარულიძემ გვამცნეს) ბავშვთა და მოზარდთა სკოლების შექმნაცაა. ამასთან, სსმკ-ის ეგიდით განსაზღვრული აქვთ მოყვარულთა შორის შეჯიბრებების მოწყობა, რაც ისევ და ისევ სასტენდო სროლის პოპულარიზაციისთვისაა გამიზნული.

სასტენდო სროლის მოყვარულთა კავშირის დამფუძნებლებს კახა სიხარულიძეს, მამუკა კახიძეს, დავით თოდუას, გიორგი ლომიძესა და გიორგი გოგიტიძეს, გარდა იმისა, რომ ძირითადად თავის თავზე იღებენ დანადგარების შეძენას თუ გამართვას, ინვესტორებსაც კარს ულებენ. ჯერჯერობით კი კავშირი მთლიანად მათი წყალობით ფინანსდება.

სასტენდო სროლის განვითარებისთვის სსმკ-ის წევრთათვის იქნება საწევრო გადასახადი, მანამდე კი, სანამ ყველაფერი დარეგულირდება, საწევრო გადასახადი კვარტალურია და 45 ლარს შეადგენს.

რაც შეეხება წმინდა სპორტულ მხარეს, სასტენდო სროლაში 2000 წლის შემდეგ საქართველოს ჩემპიონატი არ ჩატარებულა. რასაკვირველია, სიდუხჭირის გამო, თუმცა, მარტო ეს არ არის მიზეზი. პრობლემა სასტენდო სროლის მიმდევართა არყოლაა. ანუ არავინ გამოჩნდა ისეთი, ვინც სპორტის ამ სახეობის ტრადიციებს გააგრძელებდა. ერთი სიტყვით, ძველსა და ახალ თაობას შორის ჯაჭვი გაწყდა.

სსმკ-ის უმთავრესი მიზანი სწორედ ახალი თაობის მოძიებაა, ვიდრე სრულად არ გადაშენებულა სასტენდო სროლის ქართული ტრადიციები.

პირველი კი, რასაც სასტენდო სროლის მოყვარულთა კავშირი აპირებს, 28-29 მაისს ვარკეთილში არსებული სამხედრო მონკავშირის სასროლეთზე მოყვარულთა შორის ტურნირის მოწყობაა. მათ კი, ვისაც კავშირის წევრობა სურს, მიმართოს ალმაშენებლის 79ა-ში არსებულ სამხედრო მონკავშირს. ტელეფონი: 95 18 33. მობ: 893 39 39 51.

მოკლედ

### შევჩენკო: „ლივერპულის" მცველები ვერ შემაჩერებენ"

"მილანის" უკრაინელმა ფორვარდმა ანდრეი შევჩენკომ "ლივერპულის" მცველები გააფრთხილა, რომ მათ საკმაოდ გაუჭირდებათ მისი დაჭერა.

"ოქროს ბურთის" მფლობელმა განაცხადა, რომ მოუთმენლად ელის ჩემპიონთა ლიგის ფინალურ შეხვედრას. მას, თავის მხრივ, კარგი თამაშის ჩვენების იმედი აქვს.

"ცხოვრებაში არასოდეს ვყოფილვარ ისეთ კარგ ფორმაში, როგორშიც ახლა ვარ. არა მგონია, "ლივერპულის" მცველებმა ჩემი შეჩერება შეძლონ".

გუშინ "მილანის" მწვრთნელმა კარლო ანჩელოტიმ განაცხადა, რომ უნდა, მომავალ სეზონში "ლივერპულის" კაპიტანი სტივენ ჯერარდი თავის გუნდში იხილოს.

ამ ფეხბურთელისთვის ძლიერი ევროპული გუნდები იბრძვიან. როგორც ხედავთ, მათ რიგებს "მილანიც" შეუერთდა.

თუმცა, კარლო ანჩელოტის ამ განცხადებას არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. მოგეხსენებათ, ოთხშაბათს "ლივერპული" და "მილანი" ჩემპიონთა ლიგის ფილანში ხვდებიან ერთმანეთს. იმასაც ამბობენ, რომ შეხვედრის წინ "მილანი" ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენს მოწინააღმდეგეზე. ეს აზრი, სხვათა შორის, ანჩელოტის განცხადების შემდეგ დაიბადა: "სტივენ ჯერარდი დიდებული ფეხბურთელია. ის უდავოდ მსოფლიო ფეხბურთის ერთ-ერთი უძლიერესი ნახევარმცველია. არ იფიქროთ, თითქოს ამით ზეწოლას ვახდენდე მოწინააღმდეგეზე ფინალური მატჩის წინ. უბრალოდ, მიმაჩნია, რომ კარგი იქნება, თუ ჯერარდი ამ ზაფხულს ინგლისს დატოვებს და იტალიაში გადმოვა".

*მოამზადა ნინო ტიკარაძემ*

TV-სპორტი

### სამშაბათი. 24 მაისი

**НТВ+ФУТБОЛ**

12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 საფეხბურთო უიკ-ენდი
13:00 მინიფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. "სპარტაკი" - "სპარტაკ-შელკოვო"
14:15 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
15:15 თავისუფალი დარტყმა
15:30 "2:1". ტოქშოუ
16:30 ესპანეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
17:30 "საფეხბურთო კლუბი". რუსეთის ჩემპიონატის მატჩების მიმოხილვა
18:30 ფუტზალი. ჩემპიონთა თასი. წვრილმანები. გადაცემა ჩეხეთიდან
19:00 ლიბერტადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა
19:30 თავისუფალი დარტყმა
19:45 სახვალიო ტელეპროგრამა
19:50 იტალიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
20:50 "ჩემპიონთა ლიგის ფინალამდე"
21:50 გერმანიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
22:50 განვლილი კვირის ჰიტ-აღლუმი

**НТВ+ПЛЮС**

10:00, 13:00, 16:20, 19:00, 21:00 პრესცენტრი
10:20, 19:15 "ქრონიკა"
10:25, 13:15 "ჰარმონიის ფორმულა"
10:45 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი - "როლან გაროსი"
13:35 "რკინის ფაქტორი". "ექსპო არნოლდ შვარცენეგერ კლასიკი" პირველი ნაწილი
14:05 ამერიკული ფეხბურთი. ევროპული ლიგის ჩემპიონატი. "RHEIN FIRE" - "FRANKFURT GALAXY"
16:45 მძლეოსნობა. დიდი პრიზი ბრაზილიაში
19:20 სახვალიო ტელეპროგრამა
19:30 "არტეფაქტი". ველოსიპედი
20:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
21:10 სპორტული ცეკვები. ევროპის ჩემპიონატი. ლათინოამერიკული პროგრამა
22:05 ჭადრაკი. რუსეთის ქალთა ჩემპიონატი. სუპერფინალი
22:35 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
23:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი - "როლან გაროსი". დღის შედეგები
00:05 ახალი ამბები
00:20 ტრიატლონი. მსოფლიო თასი. გადაცემა ჰონოლულუდან

**EUROSPORT**

10:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა. ვარსკვლავური საათი
12:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი - "როლან გაროსი"
13:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი - "როლან გაროსი". პირდაპირი ტრანსლაცია
23:00 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა გერმანიაში
01:00 ჩოგბურთი. საფრანგეთის ღია ჩემპიონატი - "როლან გაროსი". მიმოხილვა
02:00 სატვირთოებით რბოლა. ევროპის თასი იტალიაში
02:30 ახალი ამბები
02:45 მულტისპორტი - აი, მესმის!
03:15 მულტისპორტი - "VIP საშვი"

სახელი
გვარი
ასაკი
სიმაღლე
მისამართი
საკონტაქტო ტელეფონის ნომერი

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი
2 შვილები: (თუ გყავთ)
3 პროფესია :
4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)
5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)
6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?
7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?
8 თქვენი ინტერესები
9 თქვენი ჰობი
10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?
11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)
12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)
13 როგორ წარმოიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სატელევიზიო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა________ თარიღი________

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
სუსტი რგოლი

მოთამაშის ანკეტა

გიხარიათ კროსვორდების ამოხსნა?
გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

თქვენი ფოტოსურათი

# C-ჰეპატიტი



## მედიცინა — მარტივი და გასაგები

გიორგი მიქელაძე

ამ ბოლო წლებში თბილისში ჩამოსვლისას ხშირად მეკითხებოდნენ აშშ-ში C-ჰეპატიტით დაავადებულთა მკურნალობის უახლეს მეთოდებზე, ამ დაავადების გამოსავალზე, პროგნოზზე. მიუხედავად იმისა, რომ მე ამ დარგის სპეციალისტი არა ვარ, შევეცდები, ამ წერილში თავი მოვუყარო და გავაცნობო ზოგადი ინფორმაცია ამ დაავადების შესახებ. წერილის ძირითადი მიზანია, დაეხმაროს ადამიანს, მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც დღესდღეობით არსებულ ცოდნაზე და ობიექტურ ინფორმაციაზე იქნება დამყარებული, რათა დაავადებულმა დროზე მიმართოს შესაბამის სპეციალისტს, ხოლო თუ რამე მოსაზრებით იგი არჩევს არ იმკურნალოს, იცოდეს მაინც, რა ელის მომავალში.

მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემების მიხედვით, მსოფლიოში 170 მილიონი ადამიანია დაავადებული C-ჰეპატიტით. ამ დაავადების სიხშირე სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვაა. მაგალითად, ეგვიპტეში C-ჰეპატიტის გამომწვევი ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულები აღმოაჩნდა მოსახლეობის 22 პროცენტს (რის მიზეზადაც ამ ვირუსით დაბინძურებული ინსტრუმენტებით ანტიპარაზიტულ მკურნალობას მიიჩნევენ); აშშ-ში C-ჰეპატიტის გამომწვევი ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულები აქვს მოსახლეობის 1,8 პროცენტს, ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ნარკომანებში ყოველ 4-დან 3 ადამიანს ვირუსიც აქვს სისხლში, უნდა ვივარაუდოთ, რომ აშშ-ში 2,7 მილიონ ადამიანს აქვს ეს დაავადება.

აშშ-ში C-ჰეპატიტის მკურნალობაზე წელიწადში დაახლოებით 600 მილიონი დოლარი იხარჯება. ეს დაავადება, ამასთანავე, აშშ-ში ღვიძლის გადანერგვის ყველაზე უფრო ხშირი მიზეზია.

1960-1970-იან წლებში შემუშავებულ იქნა ლაბორატორიული ანალიზები ჰეპატიტის გამომწვევი ვირუსების დიაგნოსტიკისათვის, კერძოდ: B-ჰეპატიტის გამომწვევი ვირუსისა 1963 წელს და A-ჰეპატიტის გამომწვევი ვირუსისა 1973 წელს. ამავე დროს, მეცნიერებმა ყურადღება მიაქციეს იმ ფაქტსაც, რომ სისხლის გადასხმის შედეგად განვითარებული ჰეპატიტის შემთხვევათა დიდ ნაწილში დაავადებულთა სისხლში არც A-ჰეპატიტის და არც B-ჰეპატიტის ვირუსები არ იყო. მეცნიერებმა ამ შემთხვევებს არა-A, არა-B ჰეპატიტი უწოდეს. ანალიტიკური ცოდნის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ შემთხვევათა 90-95 პროცენტი C-ჰეპატიტი იყო. 1980-იანი წლების ბოლოს აღმოჩენილ იქნა კიდეც ეს ვირუსი; 1990 წელს პირველად დაიწყო დონორების შემოწმება მათ სისხლში C-ჰეპატიტის გამომწვევი ვირუსის არსებობაზე; ხოლო 1992 წელს პირველად იქნა შემუშავებული ეფექტური ანალიზები C-ჰეპატიტის გამომწვევი ვირუსის სისხლში აღმოსაჩენად, რომლებიც ყველაზე უფრო ზუსტ შედეგს იძლევა.

მეცნიერების ვარაუდით, C-ჰეპატიტის გამომწვევი ვირუსი ასეულობით ათასი წელია არსებობს, ხოლო მისი დაყოფა დღეს არსებულ 6 გენოტიპად დაახლოებით 400 წლის წინ უნდა მომხდარიყო. ვირუსის გადაცემის ძირითადი გზები (სისხლისა და სისხლის პროდუქტების გადასხმა, სანიტარიო ნემსები) არცთუ ისე დიდი ხანია არსებობს და, ამდენად, ძნელი ასახსნელია, როგორ გავრცელდა ასე სწრაფად და მსოფლიოს ყველაზე უფრო მიყრუებულ ადგილებსაც კი მიაღწია ამ ვირუსმა ასე მოკლე ხანში.

C-ჰეპატიტის გამომწვევი ვირუსი რიბონუკლეინის მჟავის ჯგუფის ვირუსებს განეკუთვნება. მას დღეს 10 ტიპი ... ცნობილი, რომლებიც ... და, აგრეთვე, ... ქვეტიპად იყოფა. ... C-ჰეპატიტის გამომწვევი ვირუსის ... გენოტიპი ... A-ჰეპატიტისა და B-ჰეპატიტის ... B-ჰეპატიტის მწვავე ინფექციისა ... ერთი როგორც ... ხდება, ორგანიზმის მიერ A-ჰეპატიტისა და B-ჰეპატიტის გამომწვევი ვირუსები ... (სხვადასხვა ... არსებობს).

C-ჰეპატიტის გამომწვევ ვირუსს ძირითადად 6 სახეობა ანუ გენოტიპი (და მრავალი ქვესახეობა) აქვს.

ყველაზე უფრო მეტად გავრცელებულია I გენოტიპი, რომელიც აშშ-ში დაავადების ყველაზე ხშირი მიზეზია; II და III გენოტიპი უფრო იშვიათია, მაგრამ მაინც საკმაოდ ხშირია (ჩემი ინფორმაციით, საქართველოში II გენოტიპია უფრო ხშირი). ჩრდილოეთ აფრიკისთვის IV, ... V, ... VI გენოტიპია დამახასიათებელი. ... გენოტიპის განსაზღვრა ... მკურნალობის ... მნიშვნელობა აქვს.

ვირუსით დაბინძურებული სისხლის გადასხმის, რომელიც ნინათ ინფექციის გავრცელების ერთ-ერთი მთავარი გზა იყო, დღეს ... ასეთი ... ვირუსის გავრცელების ძირითადი რისკ-ფაქტორები შემდეგია:

· ინტრავენური ნარკოტიკების მიღებისას ერთი და იგივე ნემსების გამოყენება (ეს ძირითადად ნარკომანებს ეხება, თუმცა ზოგ ქვეყანაში ... ასეთი ... სამედიცინო დაწესებულებებშიც ...);

· აკუპუნქტურა დაბინძურებული ნემსებით;

· ტატუირება დაბინძურებული ნემსებით;

· სექსუალური კავშირი ბევრ (10-ზე მეტ) პარტნიორთან;

· ჯანმრთელობის დაცვის მუშაკებში მიერ დაბინძურებული სამედიცინო იარაღებით კანის საფარის დაზიანება; იგივე ეხება სხვა (ვთქვათ, საპარიკმახეროს) დაბინძურებულ იარაღებით კანის საფარის დაზიანებასაც (ინფორმაციისათვის: ალბათობა იმისა, რომ დაბინძურებული იარაღის ან ნემსის შემთხვევითი ჩხვლეტის შედეგად C-ჰეპატიტის გადადება მოხდეს, 3-დან 7 პროცენტამდეა, მიუხედავად იმისა, რომ C-ჰეპატიტის გადადების ალბათობა 1 პროცენტზე ნაკლებია, ხოლო B-ჰეპატიტის გადადებისა 20 პროცენტს აღწევს);

· თირკმლის დიალიზი;

· ანამნეზში სისხლის გადასხმა დონორთა სისხლის C-ჰეპატიტზე აუცილებელი შემოწმების შემოღებამდე (მაგალითად, აშშ-ში დონორთა სისხლის C-ჰეპატიტზე ეფექტური საყოველთაო შემოწმება 1992 წელს დაიწყო).

10 პროცენტის შემთხვევაში ინფექციის წყაროს დადგენა შეუძლებელია;

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ამ ... დედიდან ახალშობილზე გადასვლა მეტად იშვიათია;

ასევე იშვიათია ცოლს-ქმრის ურთიერთობისას ინფიცირება.

C-ჰეპატიტის მიმდინარეობა ასეთია:

მწვავე ინფექცია უმეტეს შემთხვევაში უსიმპტომოდ მიმდინარეობს. მწვავე ინფექციის სრული განკურნება მხოლოდ შემთხვევათა 20-25 პროცენტში ხდება, დანარჩენ 80 პროცენტს უვითარდება ქრონიკული ინფექცია, ე.ი. ვირუსი არსებობს ორგანიზმში და აგრძელებს აქტიურად გამრავლებას. აღსანიშნავია, რომ ხრელი განკურნება უფრო ხშირია იმ ადამიანებში, ვისთაც მწვავე ინფექცია ამკარად გამოხატული სიმპტომებით მიმდინარეობს. მწვავე ინფექციის განვითარების შემდეგ ორგანიზმი გამოიმუშავებს ამ ვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულებს, რომლებიც სამუდამოდ რჩება ორგანიზმში. სისხლის ანალიზით ამ ანტისხეულების დადგენა ავადმყოფობის დაწყებიდან 5-12 კვირაში ხდება შესაძლებელი, ხოლო ვირუსის აღმოჩენა ავადმყოფობის დაწყებიდან 2-3 კვირაშია შესაძლებელი.

მწვავე C-ჰეპატიტი ქრონიკულ C-ჰეპატიტში გადადის. ეს ქრონიკული ინფექცია, როგორც წესი, სამდამო დიდ ხანს უსიმპტომოდ მიმდინარეობს და, შესაძლოა, ასეთად დარჩეს ავადმყოფის მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

დაავადების მიმდინარეობა საკმაოდ ნელი და, შეიძლება ითქვას, კეთილთვისებიანია. თუმცა ამ ქრონიკული ინფექციის შედეგად ხდება თანდათან ღვიძლის უჯრედების დაზიანება, ცვლილება და მათი ჩანაცვლება ნაწიბუროვანი ქსოვილით, რასაც ფიბროზი ეწოდება. საბოლოოდ სწორედ ეს პროცესი ხდება ღვიძლის ციროზის მიზეზი.

ვირუსის მიერ ღვიძლის უჯრედების დაზიანების შედეგად სისხლში იზრდება ALT ამინოტრანსფერაზის რაოდენობა. ჯანმრთელი ადამიანის სისხლში ამ ამინოტრანსფერაზის რაოდენობა ანუ ნორმის ფარგლებია: 840 (თუმცა ნორმა სხვადასხვა ლაბორატორიაში, შესაძლოა, განსხვავებული იყოს და ამიტომ ყოველთვის იმ ლაბორატორიის ნორმალურ მონაცემებს უნდა შევადაროთ, სადაც სისხლს აიღებენ).

საყურადღებოა, რომ C-ჰეპატიტიან ავადმყოფების 30 პროცენტს სისხლში ALT ამინოტრანსფერაზის მაჩვენებელი ნორმალური აქვს. ხშირია, აგრეთვე, ამ მაჩვენებლის ცვალებადობა ანუ ცვალებადობა. ამდენად, ერთჯერადი ნორმალური ALT ინფორმატიული არ არის.

შეიძლება იყოს მომატებული, აგრეთვე, მეორე ამინოტრანსფერაზა - AST, მაგრამ უფრო ნაკლებად, ვიდრე ALT. ხოლო თუ AST უფრო მაღალია, ვიდრე ALT, მაშინ C-ჰეპატიტის გარდა, ღვიძლის ალკოჰოლური დაავადებაც არის საეჭვო.

**დღესდღეობით ღვიძლის მდგომარეობის ყველაზე რეალური განმსაზღვრელი არის ღვიძლის ბიოფსიის შედეგად მიღებული ქსოვილის მიკროსკოპული გამოკვლევა.**

იმისათვის, რომ ღვიძლის დაზიანების კლინიკური ნიშნები განვითარდეს, ღვიძლის საკმაოდ ბევრი უჯრედი უნდა იქნეს დაზიანებული. ასე რომ, C-ჰეპატიტის ვირუსის ქრონიკულ მატარებლებთა უმეტესობა თავის სიცოცხლის მანძილზე ვერც კი "მოასწრებს" ღვიძლის ისეთი დაზიანების განვითარებას, რომ იგი ამ ადამიანისთვის ღვიძლის მძიმე დაავადების და/ან სიკვდილის მიზეზი გახდეს (მათ სიკვდილის მიზეზი მსგავსი სახის არ რამეზე სხვა დაავადება შეიძლება გახდეს).

არ არის დადგენილი რატომ, მაგრამ ზოგიერთ ავადმყოფში ეს პროცესი სხვებთან შედარებით უფრო სწრაფად მიმდინარეობს. ცნობილია რამდენიმე ფაქტორი, რომელიც არსებობაც დაავადების უფრო სწრაფი და მძიმე მიმდინარეობის ალბათობას ზრდის:

· ვირუსის შეყრა 40 წლისაზე უფრო გვიან ასაკში

· მამრობითი სქესის ავადმყოფი (ქალებში დაავადება მიმდინარეობა უფრო კეთილთვისებიანია)

· ალკოჰოლის დღიური მოხმარება 50გ სპირტზე მეტი (ანუ 120გ არაყი, 400მლ ღვინო, 1ლ ლუდი). **ალკოჰოლი იმის გარდა, რომ აზიანებს ღვიძლის უჯრედებს, ვირუსის გამრავლებასაც უწყობს ხელს.**

· სტეატოზი ანუ ჭარბი ცხიმის არსებობა ღვიძლში; ეს მდგომარეობა დაკავშირებულია სიმსუქნესთან და II ტიპის დიაბეტთან და უარყოფითად მოქმედებს C-ჰეპატიტის მიმდინარეობაზე დათვლილია, რომ ქრონიკული ინფექციის მქონე ავადმყოფთა 20-30 პროცენტს დაავადების დაწყებიდან 20-30 წლის შემდეგ განუვითარდება ღვიძლის ციროზი. ციროზი ასევე დიდხანს შეიძლება უსიმპტომოდ მიმდინარეობდეს, ანუ კომპენსირებული იყოს.

დეკომპენსირებული ციროზის განვითარების შემდეგ კი, ამ ავადმყოფთა მხოლოდ 28 პროცენტი იცოცხლებს 5 წელიწადზე მეტს. ღვიძლის დეკომპენსირებული ციროზის ერთადერთი და საკმაოდ ნარმატებული მკურნალობის მეთოდი ღვიძლის გადანერგვაა.

დეკომპენსირებული ციროზის ნიშნებია:

■ ასციტი ანუ სითხე მუცლის ღრუში

■ სისხლდენა საყლაპავის ვენებიდან

■ ენცეფალოპათია

■ სისხლის შედედების დარღვევა

■ მუცლის ღრუს ინფექცია

ქრონიკული ჰეპატიტი შესაძლოა, აგრეთვე, ღვიძლის სიმსივნის - ჰეპატოცელულარული კარცინომის მიზეზი გახდეს (რომელიც დაუდგენელი მიზეზების გამო ბევრად უფრო ხშირია იაპონიაში, ვიდრე სხვა ქვეყნებში).

C ჰეპატიტი არა მარტო ღვიძლს აზიანებს, არამედ მას ხშირად ქვემოთ ჩამოთვლილი დაავადებებიც სდევს თან:

■ დიაბეტი

■ რევმატოიდული ართრიტი

■ გლომერულონეფრიტი ანუ სისხლში სპეციფიკური ცილების არსებობა, რომლებიც დაბალ ტემპერატურაზე ილექება მცირე სისხლძარღვებში (მისი შედეგია კანის გამონაყარი, კუნთების და სახსრების ტკივილი, სისხლძარღვების ანთება)

■ თირკმლის დაავადებები

■ კანის დაავადებები

როგორც ამ დაავადების დროს სხვადასხვა ტიპის საკვებისა და დიეტის მოქმედებაზე დაკვირვებამ აჩვენა, C ჰეპატიტის მიმდინარეობისათვის არავითარ დიეტას არა აქვს მნიშვნელობა.

სამწუხაროდ, ასევე არ არსებობს სარწმუნო მტკიცებულება იმის სასარგებლოდ, რომ რამე პრეპარატს ჰეპატოპროტექტორული თვისებები ... დეს ღვიძლის დამცავი ანუ ჰეპატოპროტექტორული თვისებები.

ახლა საკუთრივ ამ დაავადების მკურნალობაზე.

1991 წელს დაიწყეს C-ჰეპატიტის მკურნალობა ალფა ინტერფერონით. დოზირება იყო 3 მილიონი ერთეული კვირაში სამჯერ კანქვეშ ინექციით, 48 კვირის განმავლობაში. შედეგები: I გენოტიპის შემთხვევაში იკურნებოდა ავადმყოფთა მხოლოდ 9 პროცენტი, ხოლო II და III გენოტიპის შემთხვევაში - 30 პროცენტი.

1998 წელს დაიწყეს C-ჰეპატიტის სამკურნალოდ რიბავირინის გამოყენება. აღსანიშნავია, რომ რიბავირინი თავისთავად მოქმედებას ნაკლებად ანტივირუსული მოქმედება, მაგრამ მისი წინააღმდეგ შედეგიანი არ გამოდგა; სამაგიეროდ ეფექტური აღმოჩნდა იგი რიგი სხვა ვირუსის საწინააღმდეგოდ. ერთ-ერთი გამოკვლევამ აჩვენა, რომ რიბავირინი C-ჰეპატიტის დროს ამცირებს ღვიძლის ტრანსამინაზების დონეს, თუმცა საკუთრივ ვირუსის რაოდენობას ვერ ამცირებს. ამ აღმოჩენის შესაბამისად, დაინყო ამ ორი პრეპარატის - ალფა ინტერფერონის და რიბავირინის - კომბინაციით მკურნალობა, რითაც გაცილებით უკეთეს შედეგს მიაღწიეს.

შემდეგი ეტაპი იყო საკუთრივ ინტერფერონის გაუმჯობესება - ქიმიური შესაძლებელი გახდა ინტერფერონის მოლეკულასთან პოლიეთილენგლიკოლის მიბმა, რის შედეგადაც ინტერფერონის ორგანიზმში არსებობის დრო ერთ კვირამდე გაიზარდა და, შესაბამისად, ვირუსზე მისი მოქმედების დროც გახანგრძლივდა. ასე წარმოიშვა პრეპარატი პეგ-ინტერფერონი.

პეგ-ინტერფერონისა და რიბავირინის კომბინაციით ეფექტურია I გენოტიპის შემთხვევათა 50 პროცენტში და II-III გენოტიპის შემთხვევათა 82 პროცენტში.

ასე რომ, პროგნოზი C-ჰეპატიტის მკურნალობაში ნამდვილად არის და იგი მიღწეულ იქნა უკანასკნელ 12 წლიწადში. კვლევა გრძელდება და უფრო ეფექტური საჭიროული პრეპარატების ძიება რამდენიმე მიმართულებით წარმოებს. მოსალოდნელია, რომ მომავალში ახალი, უფრო ეფექტური ნამალი აღმოჩნდება, თუმცა ეს უახლოეს 34 წლიწადში მოსალოდნელი არ არის.

დღესდღეობით ორი სახის პეგ-ინტერფერონი არსებობს და მათ სხვადასხვა ფარმაცევტული კორპორაცია აწარმოებს (ჩვეულებრივ, რომელიმე ნამლის წარმოება ან პეგ-ინტერფერონისაც ეკიმი - და მისი რჩევით, ავადმყოფი - რიბავირინისაც იმავე ნარმოების იღებს):

1. ალფა-2ა პეგ-ინტერფერონი (კომერციული დასახელება: Pegasus) - დოზირება 180მკგ (ავადმყოფის წონის მიუხედავად) კვირაში ერთხელ; გამოდის ხსნარის სახით; აუცილებელია მისი მაცივარში ინახვა; ამ პრეპარატს Schering Corporation აწარმოებს.

რიბავირინი (ამავე კორპორაციის მიერ ნარმოებული რიბავირინის კომერციული დასახელება: Copegus) - დოზირება 75კგ-ზე ნაკლები წონის ადამიანებისთვის 1000მგ დღეში (3 ტაბლეტი დილით და 2 საღამოთი), ხოლო 75 კილოგრამზე მეტი წონის ადამიანებისთვის 1200მგ დღეში (3 ტაბლეტი დილით და 3 საღამოთი).

| ავადმყოფის წონა კგ | პეგინტრონის დოზა მკგ |
| --- | --- |
| <40 | 50 |
| 40-50 | 64 |
| 51-64 | 80 |
| 65-75 | 96 |
| 76-85 | 120 |
| >85 | 150 |

| ავადმყოფის წონა კგ | რიბავირინის (Rebetol-ის) დოზა მგ |
| --- | --- |
| <40 | 600 (2 ტაბლეტი დილით და ერთი საღამოთი) |
| 40-64 | 800 (2 ტაბლეტი დღეში ორჯერ) |
| 65-85 | 1000 (3 ტაბლეტი დილით და 2 საღამოთი) |
| 86-105 | 1200 (3 ტაბლეტი დღეში ორჯერ) |
| >105 | 1400 (4 ტაბლეტი დილით და 3 საღამოთი) |

2. ალფა-2ბ პეგ-ინტერფერონი (კომერციული დასახელება: Pegintron) - დოზირება ავადმყოფის წონაზეა დამოკიდებული; გამოდის ფხვნილის სახით, რომელიც ინექციის წინ ზავდება გამხსნელში; ამ პრეპარატს Roche Laboratories უშვებს;

Roche Laboratories მიერ ნარმოებული რიბავირინის კომერციული დასახელებაა: Rebetol;

Pegintron-ისა და Rebetol-ის დოზირება ნაჩვენებია - ცხრ. 1-ზე.

Pegasus-სა და Pegintron-ს შორის ეფექტურობის თვალსაზრისით პრაქტიკულად არავითარი განსხვავება არ არის; შესაძლოა, გვერდითი მოვლენები იყოს ოდნავ განსხვავებული სხვადასხვა ადამიანებში.

მკურნალობის ფასი აშშ-ში საშუალოდ ასეთია:

■ Pegasus-ის ერთი ინექცია - $330; Copegus-ის 200მგ ტაბლეტი - $7 დოლარი;

ასე რომ 24-კვირიანი მკურნალობა 70კგ წონის ადამიანისთვის - $13 800

■ Pegintron-ის ერთი ინექცია - $350; Rebetol-ის 1200მგ ტაბლეტი - $9;

ასე რომ, 24-კვირიანი მკურნალობა 70კგ წონის ადამიანისთვის - $15 000

საქართველოში ამ პრეპარატების ფასი ალბათ უფრო ნაკლებია, მაგრამ ავადმყოფთა უმეტესობისთვის მაინც მიუწვდომელია.

მკურნალობის მიზანი არის სისხლში ვირუსის სამუდამოდ მოსპობა.

არის თუ არა მკურნალობის შედეგად სისხლში ვირუსის არარსებობა იმის მაჩვენებელი, რომ ორგანიზმში ვირუსი საერთოდ აღარ არის? ამ კითხვაზე პასუხი, სამწუხაროდ, უარყოფითია.

უკანასკნელი მონაცემებით, მორჩენილი ავადმყოფების 80 პროცენტის სისხლში ვირუსი არ არის ნანახი, მაგრამ სისხლისა და ღვიძლის ზოგიერთ უჯრედში ვირუსი კვლავ არსებობს, თუმცა იგი, ასე ვთქვათ, არააქტიურ ფაზაშია. ამ მნიშვნელობა აქვს ამას კლინიკურად, არ არის ცნობილი; ფიქრობენ, რომ ამას არ უნდა ჰქონდეს არავითარი მნიშვნელობა. ერთადერთი, რაზედაც ეს ფაქტი ცალსახად მიუთითებს, არის ის, რომ ნამკურნალევი ავადმყოფის სისხლი სხვებისთვის კვლავ ინფექციის წყარო რჩება.

როგორც პეგ-ინტერფერონს, ასევე რიბავირინს საკმაოდ ბევრი გვერდითი მოვლენა აქვს, თუმცა ამ მოვლენათა უმეტესობის კონტროლი შესაძლებელია.

გვერდითი მოვლენები:

■ დეპრესია, გაღიზიანებულობა, უძილობა, დაღლილობის გრძნობა, უმადობა, კუნთების ტკივილი, კანის სიმშრალე, კანის ქავილი, თმის ცვენა, სურდო;

ამ ტიპის გვერდითი მოვლენების სიმპტომატური მკურნალობა და საკმაოდ წარმატებულადაც: კუნთების ტკივილის, შემცივნების და გაციების გრძნობისას იბინდება ანთების და სიცხის საწინააღმდეგო პრეპარატები (ინფორმაციისთვის: ცნობილია რომ ... დეპრესიის შემთხვევაში - ანტიდეპრესანტები და ა.შ.

■ სისხლში ჰემოგლობინის, ლეიკოციტების და თრომბოციტების შემცირება;

C-ჰეპატიტის მკურნალობის დროს აუცილებელია სისხლის ამ მაჩვენებლების მუდმივი კონტროლი. თავიდან 2 კვირაში ერთხელ, შემდეგ თვეში ერთხელ იღებენ სისხლის საერთო ანალიზს, რათა ამ მაჩვენებლების ჯანმრთელობისთვის საშიში დონის ... შემთხვევაში დროულად იქნეს მიღებული ზომები. ამ გვერდითი ... მკურნალობა ან ნამლის დოზის შემცირებაა ან, დღეს უფრო მიღებული მეთოდით, იმ პრეპარატების დანიშვნა (მაგალითად, ერითროპოეტინის და G-CSF-ის), რომლებიც ამ მაჩვენებლებს ზრდის.

C-ჰეპატიტის მკურნალობის შედეგად შეიძლება განვითარდეს, აგრეთვე, დიაბეტი, ფარისებრი ჯირკვლის დაავადება, აუტოიმუნური დაავადებები.

სტატისტიკის თანახმად, ავადმყოფების 90 პროცენტი მკურნალობის კურსს ბოლომდე ამთავრებს, მიუხედავად გვერდითი მოვლენებისა.

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს განწყობასაც. ამ ფსიქოლოგიურ საინტერესო ისიც, რომ სხვადასხვა ქვეყნის მონაცემები გვერდითი მოვლენების შესახებ განსხვავებულია და, ჩვეულებრივ, სუბიექტურად უფრო ამკარად არის გამოხატული სამხრეთული ტემპერამენტის მქონე ადამიანებში.

ახლა შევეხებით ყოველივე ზემოთქმული და ჰიპოთეტურ მაგალითზე ნაბიჯ-ნაბიჯ განვიხილოთ მოქმედების გეგმა დაავადებაზე ეჭვის შემთხვევაში.

ვის უნდა გაიაროს შემოწმება ვირუსის არსებობაზე? ყველა იმ ადამიანმა, რომელიც დადებითად უპასუხებს შემდეგი კითხვებიდან ერთს მაინც:

1. გიხმარიათ თუ არა ინტრავენური ნარკოტიკული საშუალებები?

2. გაქვთ თუ არა სხეულზე სვირინგი (ტატუირება)?

3. გქონიათ სექსუალური კავშირი ბევრ სხვადასხვა (10-ზე მეტ) პარტნიორთან?

4. გადაგიტანიათ სისხლის გადასხმა 1990-იან წლებამდე?

5. გაქვთ ღვიძლის ტრანსამინაზების აუხსნელი მომატება?

6. გაქვთ ღვიძლის დაავადება, რომლის კონკრეტული მიზეზიც დადგენილი არ არის?

7. გქონიათ ან ხართ თირკმლის დიალიზზე?

8. გქონიათ კანის საფარის დაზიანება სისხლით დაბინძურებული ნემსით ან ნივთით?

დადებითი პასუხის შემთხვევაში, პირველ ეტაპზე უნდა აიღოთ სისხლის ანალიზი C-ჰეპატიტის ანტისხეულებზე. თუ პასუხი უარყოფითია ანუ ანტისხეულები არ გაქვთ, შემდეგი გამოკვლევები აღარ გჭირდებათ - თქვენ ჰეპატიტი არ გქონიათ. თუ სისხლში ანტისხეულები აღმოაჩნდება, აუცილებელია უნდა აიღოთ სისხლი საკუთრივ ვირუსის არსებობაზე (როგორც ზემოთ აღვნიშნე, 20-30 პროცენტში ვირუსი სისხლში არ იქნება). თუ ვირუსი სისხლში არ აღმოჩნდა, შემდეგი გამოკვლევები აღარ გჭირდებათ - თქვენს ორგანიზმში ვირუსი თავისით დაუმარცხებია. თუ სისხლში ვირუსის აღმოჩნდება, ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ ქრონიკული ჰეპატიტი გაქვთ. ამავე ეტაპზე საგულვებელია ვირუსის გენოტიპის განსაზღვრა. აქ უკვე მძიმე გადაწყვეტილების წინაშე დგებით: ჩაიტაროთ მკურნალობა თუ არა. თუ მატერიალური შეზღუდვები განსჯიდან მკურნალობა, პასუხი ცალსახაა: ყოველი ავადმყოფი, ამავე თოო რგებათ თუ II გენოტიპი გაქვთ, რომლის წარმატებული მკურნალობის ალბათობა 80 პროცენტზე მეტია.

ვის შეიძლება არ იჩქაროს მკურნალობის დაწყება? იმ ავადმყოფებისთვის, ვისაც ნორმალური ALT აქვს და ვისი ღვიძლის ბიოფსიაც (ეს უკანასკნელი უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორია) არავითარ ან მცირე ცვლილებებს აჩვენებს, მკურნალობის სასწრაფოდ დაწყება აუცილებელი არ არის.

თუ ვირუსი გაქვთ და არ გადაგიტანიათ სხვა სახის ჰეპატიტი (A ან/და B), აუცილებლად გაიკეთეთ A-ჰეპატიტისა და/ან B-ჰეპატიტის საწინააღმდეგო აცრები, რადგანაც C-ჰეპატიტით დაავადებულ ღვიძლს დამატებითი დაზიანება A ან B-ჰეპატიტის ვირუსით მძიმე შედეგს გამოიწვევს.

თუ რამე მიზეზით არ ან ვერ იმკურნალეთ, მოერიდეთ ალკოჰოლსა და სიმსუქნეს; დაიცავით ბუდე - იმის ალბათობა, რომ, ღვიძლის დაავადება განვითარდება სიცოცხლის მიზეზი, მაინც მცირეა.

თუ აპირებთ მკურნალობას, უნდა გაიგოთ უფრო, რატომ მკურნალობა ხანგრძლივი და მისი ეფექტი საკმაოდ დამოკიდებულია გენოტიპზე. რომ მკურნალობა I გენოტიპის შემთხვევაში 48 კვირაა, ხოლო II-III გენოტიპის შემთხვევაში - 24 კვირა.

მკურნალობიდან მე-12 კვირაზე ხდება სისხლში ვირუსის რაოდენობრივი განსაზღვრა. თუ ვირუსის რაოდენობა არ შეცვლილა, მკურნალობის გაგრძელება აზრი არა აქვს. თუ ვირუსის რაოდენობა საკმაოდ შემცირებულია ან ვირუსი სისხლში უკვე გაქრა, მკურნალობა გრძელდება. მკურნალობის დამთავრებიდან 6 თვის შემდეგ სისხლში ვირუსის რაოდენობრივი განსაზღვრა ხდება. თუ ვირუსი არ არის, 6 თვის შემდეგ კვლავ ხდება სისხლში ვირუსის რაოდენობრივი განსაზღვრა. თუ ვირუსი გაქრა, შეიძლება გამეორება მკურნალობა, რაც საკმაოდ ეფექტურია. თუ ვირუსი 6 თვის შემდეგ სისხლში არ აღმოჩნდება, რადგანაც ის ავადმყოფი, დიდი ალბათობით, განკურნებულად ითვლება. თუ ვირუსი არ არის, შემდეგი 1-2 წლის განმავლობაში უნდა ხდებოდეს ვირუსის არსებობაზე, ამ დროს რეციდივის ალბათობა 1-2 პროცენტია.

დასასრულს, კიდევ ერთხელ გავიმეორებ მთავარ ფაქტებს:

■ ვირუსული C-ჰეპატიტი ნელა მიმდინარე საკმაოდ კეთილთვისებიანი დაავადებაა

■ ციროზის განვითარებას 20-30 წელი სჭირდება და იგი ავადმყოფთა 20-30 პროცენტს უვითარდება

■ ალკოჰოლი (ვალსახად აუარესებს დაავადების მიმდინარეობას

■ მკურნალობა ეფექტურია II და III გენოტიპის (24 კვირიანი მკურნალობა) შემთხვევათა 82 პროცენტში და I გენოტიპის (48 კვირიანი მკურნალობა) შემთხვევათა 50 პროცენტში.

■ დაავადება ბევრად უფრო ადვილად მიმდინარეობს ქალებში, ვიდრე მამაკაცებში და მათში, ვისაც ეს დაავადება ახალგაზრდა ასაკში დაემართა (შესაბამისად, ყველაზე კარგი პროგნოზი ახალგაზრდა ასაკში დაავადებულ ქალებს აქვთ).

■ თუ აიღებთ ჰიპოთეტურ 100 ადამიანს, რომელსაც ვირუსი გადაედო, 20 მათგანი თავისით მორჩება, ხოლო 80-ს განუვითარდება ქრონიკული ინფექცია. ამ 80-დან 16 ადამიანს 20-30 წლის შემდეგ განუვითარდება ციროზი (ე.ი. დანარჩენ 84 ადამიანს ცხოვრების განმავლობაში ამ დაავადების გამო სერიოზული პრობლემა არ ექნებათ); ამ 16 ადამიანიდან ჯერ-ჯერობით დაუდგენელი რაოდენობას (დღევანდელი ცოდნის საფუძველზე ამის რიცხობრივი განსაზღვრისათვის საჭირო მონაცემები არ არის) განუვითარდება დეკომპენსირებული ციროზი ან ღვიძლის სიმსივნე, რაც მათი სიკვდილის მიზეზი გახდება.

ცხრილი: C-ჰეპატიტის მართვის ალგორითმი



# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს საავადმყოფოთა რესტუქტურიზაციის ფონდი, საიდენტიფიკაციო კოდი N202959780, მისამართი: 0002; თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა რესტუქტურიზაციის 2005 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში აცხადებს ღია ტენდერს "აკად. ზ. ცხაკაიას სახ. დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრისათვის" ლაბორატორიული (კლინიკური, ბიოქიმიური, იმუნოფერმენტული, ჰემატოლოგიური, ბაქტერიოლოგიური, პათანატომიური) და სისხლის ბანკის აღჭურვილობის შესასყიდად და იწვევს მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულ პირებს.

შესყიდვა განხორციელდება შემდეგი ლოტების შესაბამისად:

ლოტი N1- ლაბორატორიული აღჭურვილობა:

1. კლინიკური ლაბორატორიული აღჭურვილობა
2. ბიოქიმიური ლაბორატორიული აღჭურვილობა
3. იმუნოფერმენტული ლაბორატორიული აღჭურვილობა
4. ჰემატოლოგიური ლაბორატორიული აღჭურვილობა
5. ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიული აღჭურვილობა
6. პათანატომიური ლაბორატორიული აღჭურვილობა

ლოტი N2- სისხლის ბანკის აღჭურვილობა.

2. მიწოდების სასურველი ვადაა 2005 წლის 25 აგვისტო DDP ქუთაისი.

3. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 10 და 11 ივნისის 10:00-დან 18:00სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0002, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა რესტუქტურიზაციის ფონდი.

4. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ტენდერში მონაწილე ორგანიზაციის რეკვიზიტები(მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, ბანკის რეკვიზიტები);

ბ) სასამართლოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ორგანიზაცია არის რეგისტრირებული;

გ) ცნობებს სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;

დ) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

ე) ცნობას შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

4.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობას შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;

გ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

4.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:

ა) ლიცენზიას შესაბამისი საქმიანობის განხორციელებაზე (ნოტარიულად დამოწმებული ასლი);

ბ) უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში განხორციელებული ან მოცემულ მომენტში მიმდინარე ანალოგიური მიწოდება(ქვემოთ მოყვანილი ფორმით) დამოწმებულს ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით:

| N | საქონლის დასახელება | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება |
|---|---|---|---|
| 1. | | | |
| 2. | | | |

გ) ბოლო 3 (სამი) წლის ფინანსურ ანგარიშს დამოწმებულს ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით (იურიდიული პირისათვის - ბალანსები, ფიზიკური პირისათვის - დეკლარაციები);

დ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან სახელმწიფო ბიუჯეტისადმი დავალიანების არ არსებობის შესახებ.

5. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ყველა ცნობას და ინფორმაციას მოთხოვნილი ფორმით ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

6. ტენდერში გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

7. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეეძლებათ 2005წლის 16 და 17 ივნისს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0002, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა რესტუქტურიზაციის ფონდი. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე.

8. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნას 2005 წლის 30 ივნისს 17სთ-მდე მისამართზე: ქ. თბილისი, 0002, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა რესტუქტურიზაციის ფონდი. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს ერთი ალტერნატიული წინადადება. სატენდერო წინადადება ხელმოწერილი უნდა იყოს პრეტენდენტი იურიდიული პირის ხელმძღვანელის (ფიზიკური პირის) მიერ და დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით და წარედგინოს სატენდერო კომისიას დახურული კონვერტით

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საკონტაქტო პირის - კობა ცხადაძისაგან, მისამართზე: ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა რესტუქტურიზაციის ფონდი. ტელეფონები: 91-01-39; 899-90-75-82.

*სატენდერო კომისია*

# განცხადება
# ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი (ქ. თბილისი, ა. წერეთლის გამზ. N144) აცხადებს ღია ტენდერს "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ადაპტაციის ხელშეწყობის 2005 წლის პროგრამის" ფარგლებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინსტიტუციური პატრონაჟის ხარჯების ქვეპროგრამის ინსტიტუციონალური დაწესებულებების ბენეფიციართა საკურორტო რეაბილიტაციის კომპონენტით გათვალისწინებული მომსახურების შესასყიდად და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

2. შესყიდვის ობიექტია:

I ლოტი - ინსტიტუციონალური დაწესებულებებში მყოფი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების და მოხუცების დასვენება საქართველოს მთის კურორტებზე. საკურორტო დასვენების ხანგრძლივობა - 18 დღე;

I ლოტი - ინსტიტუციონალური დაწესებულებებში მყოფი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების და მოხუცების დასვენება საქართველოს ზღვის კურორტებზე. საკურორტო დასვენების ხანგრძლივობა - 18 დღე;

3. მომსახურების გაწევის სასურველი ვადაა 2005 წლის 15 ივლისიდან 2005 წლის 20 სექტემბრამდე.

4. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, უნდა წარმოადგინონ უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 10 ივნისიდან 13 ივნისის 18 საათამდე შემდეგ მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული.

5. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

5.1 იურიდიული პირისათვის:

ა) შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);

ბ) სასამართლოს დადგენილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეგისტრაციის შესახებ;

გ) ცნობებს, რომ არ მიმდინარეობს შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და მის მიმართ გაკოტრებისა და სანაციის საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს სასამართლოდან მისი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით);

დ) ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);

ე) ცნობას, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ ყოფილან მსჯავრდებულნი და მოცემულ მომენტში მათ მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციის სამმართველოდან);

5.2 ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას, რომ მას მთლიანად ან ნაწილობრივ არა აქვს შეზღუდული ქმედითუნარიანობა (შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან);

ბ) ცნობას, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა წარმოდგენილი უნდა იყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმატიზაციული უზრუნველყოფისა და ანალიზის სამმართველოდან);

გ) ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმისწარმოება (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნეს რაიონული სასამართლოდან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით);

5.3. როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობა, რომ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს არ გააჩნია ვადაგადაცილებული ვალდებულებები ბიუჯეტის წინაშე (ცნობა წარმოდგენილი უნდა იქნას შესაბამისი საგადასახადო ორგანოდან);

ბ) ინფორმაცია შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (დამტკიცებული აუდიტის მიერ);

გ) ობიექტის (საკურორტო დაწესებულების) სანიტარულ-ჰიგიენურ ნორმებთან შესაბამისობის დამადასტურებელი დოკუმენტი (გაცემული საქართველოს, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ქალაქებისა და რაიონების მთავარი სახელმწიფო სანიტარული ექიმის მიერ);

6. ყველა საკვალიფიკაციო მონაცემი წარმოდგენილი უნდა იქნეს ერთი ეგზემპლარი ორიგინალის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, დანარჩენი 2 ეგზემპლარი ქსეროასლის სახით.

7. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს მე-5 პუნქტში მოცემულ ყველა ცნობას და ინფორმაციას ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

8. ტენდერში მონაწილეობის მსურველს უფლება აქვს მიიღოს ტენდერში მონაწილეობა ქვეკონტრაქტორთან ერთად, იმ პირობით, რომ ქვეკონტრაქტორიც გაივლის საკვალიფიკაციო შეფასებას ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით.

9. საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება 2005 წლის 14-15 ივნისს, წარმოდგენილი დოკუმენტების ზემოჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე. შერჩევის შედეგი სატენდერო კომისიის მიერ წერილობით ეცნობებათ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმომდგენ პირებს.

10. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს (პრედენდენტად დამტკიცების თაობაზე შეტყობინების მიღების შემდეგ) შეეძლებათ 2005 წლის 17 ივნისიდან 20 ივნისის 17 საათამდე, მას შემდეგ, რაც წარმოადგენენ 500 ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის ქვითარს (მიმღები ბანკი: საქართველოს ეროვნული ბანკი; მიმღები ორგანიზაცია: სახაზინო სამსახურის საოპერაციო დეპარტამენტი, საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი; მიმღების ანგარიში: 000115007; მიმღების ბანკის კოდი: 220101107; მიმღების საიდენტიფიკაციო კოდი: 211402855; საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის საიდენტიფიკაციო კოდი: 202204453). სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებს შეეძლებათ შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული.

11. პრეტენდენტებმა ტენდერის თითოეულ ლოტზე უნდა წარმოადგინონ ერთი წინადადება.

12. ტენდერის თითოეულ ლოტზე გამოვლინდება ერთი გამარჯვებული.

13. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან - სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: შოთა ჯორჯიკია, პაატა ღონღაძე. ტელ.: 694871, 696590, მაია ბუჩუკური ტ. 346395 მისამართზე: საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი, ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი 144, მე-6 სართული; E-mail: Procurement-Ge@yahoo.com .

*სატენდერო კომისია*

## სკანვორდი



1. საფლავის ქვის წარწერა; 2. უმცროსი ოფიცრის წოდება; 3. ზღვაში ჩაძირული მითიური კუნძული; 4. სიმებიანი სამუსიკო საკრავი; 5. თევზის საჭმლად გამზადებული ქვირითი; 6. სითხის საცავი დიდი დახურული ჭურჭელი; 7. სომეხი კომპოზიტორი; 8. ინდოეთის ფულადი ერთეული; 9. დაკვირვებათა სისტემაში მოყვანილი კრებული; 10. "1001 ღამის" პერსონაჟი; 11. მწყრის მართვე; 12. კანქვეშ წამლის შესასხმელი ხელსაწყო; 13. მდგომარეობის გაუარესება, უკუსვლა; 14. გერმანული ვაზის ჯიში; 15. ქალაქი რუმინეთში; 16. რუსი, საბჭოთა სატირიკოსი მწერალი; 17. ქალაქი გერმანიაში, მდინარე ელბაზე; 18. დამდგარწყლიანი ადგილი დაბლობში; 19. ბუს მსგავსი, ღამის მომცრო ფრინველი; 20. ბგერის არეკვლა რაიმე საგნებზე; 21. ამერიკელი ფერმწერი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე; 22. ცეცხლსასროლი იარაღი; 23. ქორ-შევარდენთა სანადიროდ დამგეშველი; 24. რუსული თვითმპყრობელური რეჟიმი; 25. პროფესიონალი მოცეკვავე და მომღერალი ქალი იაპონიაში; 26. კაუჩუკის ვულკანიზაციის პროდუქტი; 27. გემის მზარეული; 28. ორგანიზმის მოშლილი ფუნქციების გამოცოცხლება; 29. ჭადრაკის ფიგურა; 30. ბრაზილიელი მწერალი; 31. იტალიელი მცველი, 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონი; 32. განსხვავებული ორგანიზმების მჭიდრო თანაცხოვრების ფორმა; 33. ბაშკირთა და თათართა დღესასწაული; 34. ცოდნის სისტემა ბუნებისა და აზროვნების განვითარების შესახებ.

## TV პროგრამა

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** ტენკო **10.00** სერიალი "ოცნების კოშკები" **11.00** სუსტი რგოლი **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.50** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **13.30** მხ. ფილმი "ფრანგული გაკვეთილები" (გ) **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ოცნების კოშკები" **17.25** ტენკო **18.30** პატრული **19.00** ყველაზე ჭკვიანი **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** ღამის შოუ **23.00** სერიალი "სასოწარკვეთილი დიასახლისები" **00.00** მხ. ფილმი "როცა ამერიკაში ცრუობენ" (18) (კევინ ბეიკონი) **02.10** პატრული

**08.00** "ადრე" **10.00** დოკ. ფილმი "დღეები, რომლებმაც მსოფლიო შეძრა" **11.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "კლიფორდი" **12.45** ანიმ. სერიალი "პატარა კენგურუები" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერ. "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" ოსურ ენაზე **15.20** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** დოკ. ფილმი "მთვარის გლობუსი" **16.15** სიცილის ოთახი **16.30** დოკ. ფილმი "მოგზაურობა" **17.30** დოკ. ფილმი "მითხარი როგორ" **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** სერ. "შირლი ჰოლმსი" **19.00** "ჰოლმარკი" - "სენტიმენტალური ხვედრი" **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **22.00** დოკ. ფილმი "ფანტასტიური სინათლე" **23.00** პროფესიონალი -რესტავრატორი **23.30** მხ. ფილმი "კაცია-ადამიანი?!" (გ) **01.10** საინფ. გამოშვება

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **09.30** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **10.30** მხ. ფილმი "შეუმჩნეველი ადამიანი" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **12.30** ტელეჟურნალი "სცენა" **13.05** "დიელი და პასკო" **14.15** კრიმ. სერიალი "სთშ" **15.10** შემეცნ. პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **16.05** "ველური მთვარე" **17.00, 19.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "ტაქსის მძღოლი" **18.20** "გეპატიჟებათ ბ. ვულფი" **19.05** სერ. "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "კარაბინერები" **21.45** არჩევანის ზღვარზე **22.45** საფესტივალო ჩვენება: "კავშირი", "გურჯი ხათუნი", "სკამი ახალი" **00.00** მხ. ფილმი "ბილი ფინგალი" (გ) (მაიკლ კეინი)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "ცხელი ზაფხული" **19.50** "ბაბილინა" **20.05** "ცოცხალი სურათები" **20.30** მულტსერიალი "ამბები ბავშვობის შესახებ" **20.55** დოკ. ფილმი "შავკანიანთა მუსიკის ისტორია" **21.45** დოკ. ფილმი "ექსცენტრიკოსები" **22.10** კინოსეანსი "დღე"

### იმედი

**07.45** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **09.15** "ნუცას სკოლა" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "ცხელი ძაღლი-3" **12.40, 16.25, 02.30** ტვ-მარკეტი **13.15** ვაკაჭინიუსი **13.45** "ნიკა ქავთარაძის შოუ" **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.00, 18.00, 19.00, 22.00, 02.20** ქრონიკა **17.10, 03.45** იმედის მელოდიები **17.25** სპ. პროგრამა "გოლი" **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.55** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.55** სერიალი "ცხელი ძაღლი-3" **22.40** პირველები **23.25** მხ. ფილმი "ორმაგი როქი-3" (12) (ტ. ლიუნგი) **01.25** გოლი -სერია "ა" (იტალიის ჩემპიონატი) **03.05** ნუცას სკოლა (გამ.)

### აჭარა

**08.00** მუსიკა **08.30** საინფ. დაიჯესტი **09.00** სერიალი "ჩემი სამი და" **10.00** "პროექცია" **10.30** დოკ. ფილმი **11.50** "სილამაზის ხელოვნება" **12.05** კომედია "ორმაგი სახე" **14.30** "ახალი ამბები" **15.05** ფანტასტიკა "ღმერთისაგან გზავნილი არ არის" **17.30, 20.30** "ახალი ამბები" **18.10** მულტფილმი **18.30** "ნოვოსტი" **19.15** "წკიპურტები" **19.30** სერიალი "ჩემი სამი და" **21.00** მხ. ფილმი "მაქსი" **22.50** "მოგზაური" **23.30** "სტარტი" **00.00** საინფ. დაიჯესტი **00.25** დრამა "სხვანაირი ლოიალობა" **02.00** გერმანული ტალღის ახალი ამბები

### ОРТ

**06.00** "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Многос. фильм **"УМНОЖАЮЩИЙ ПЕЧАЛЬ". 10.30** Сериал **"КЛОН". 11.30** Дисней-клуб: "Чип и Дейл спешат на помощь". **12.20** Элина Быстрицкая в фильме **"ТИХИЙ ДОН". 1**-я серия. **14.20** "Писатель и вождь. Шолохов - Хрущев". Фильм 2-й. **15.20** Сериал **"НА УГЛУ У ПАТРИАРШИХ". 16.20** "Пять вечеров". **17.30** "Звезды юмора" на Первом. **18.40** Сериал **"КЛОН"**. Заключительная серия. **19.50** Многос. фильм **"МОЯ ГРАНИЦА". 21.00** Время. **21.30** Многос. фильм **"УМНОЖАЮЩИЙ ПЕЧАЛЬ". 22.40** Док. фильм "Че Гевара. "я жив и жажду крови...". **2**-я серия. **23.30** Ночное "Время". **23.50** "СПИД. Смерть с открытой датой". **00.40** Том Хэнкс в комедии **"ИХ СОБСТВЕННАЯ ЛИГА".** Вторая мировая война. Многие спортсмены-бейсболисты ушли на фронт. И тогда им на смену пришли женщины, отчаянные поклонницы самой популярной американской игры. В 1943 году создается Женская Бейсбольная Лига. Тренировать одну из команд Чикаго приглашают бывшего спортсмена-бейсболиста Джимми Дугана, человека эксцентричного и грубоватого. Однако, видя безграничное стремление своих подопечных к победе, он постепенно сам проникается верой в успех. **03.05** Кори Хэйм в комедии **"ТРУДНЫЙ РЕБЕНОК".** Американский парнишка Лэнс Эллиот работает курьером в ЦРУ. Он помешан на шпионских страстях и мечтает о настоящем, крупном деле. Его кумир - Джеймс Бонд, агент 007. За это на работе ему дали кличку ОО-Малыш. Мечты юноши начинают сбываться, когда он получает конверт, который должен необходимо доставить по определенному адресу. За пакетом охотятся злодеи, задумавшие наделать много бед новым страшным компьютерным вирусом. **04.40** Сериал **"МЕДИЦИНСКАЯ АКАДЕМИЯ".**

### НТВ

**06.00** "Сегодня утром" **08.55** Сериал **"Я ВСЕ РЕШУ САМА-2". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** "Сегодня" **10.15** Чистосердечное признание. **10.45** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ-6". 11.55** Сериал **"РИЭЛТОР". 13.35** Георгий Вицин в комедии **"ЖЕНИТЬБА БАЛЬЗАМИНОВА".** По мотивам трилогии А. Н. Островского. Озабоченная судьбой великовозрастного сына-балбеса, мамаша решает выгодно женить его. Процедура сватовства и женитьбы превращается в идиотский фарс. **15.35** Игры разума. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.25** Сериал **"ДАЛЬНОБОЙЩИКИ: ШКОЛА ДЕМОКРАТИИ". 18.35** Чрезвычайное происшествие. **19.40** Сериал **"РИЭЛТОР". 20.45** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ-6: ВСЕ И СРАЗУ". 21.50** Чрезвычайное происшествие. **22.40** Сериал **"СЕКС В БОЛЬШОМ ГОРОДЕ". 23.45** Чрезвычайное происшествие. **00.15** Сериал **"РИЭЛТОР". 01.25** Сериал **"ДАЛЬНОБОЙЩИКИ". 02.30** Бильярд. **03.10** Худ. фильм **"КАЛЕЙДОСКОП". 2**-я серия. **04.15** Сериал **"ЗВЕЗДНЫЕ ВРАТА-3". 05.05** Сериал **"МЕРТВЫЕ НЕ ЛГУТ-2".**

# უორენ ბიტი შვარცენეგერს არ ჩაენაცვლება



მიუხედავად იმისა, რომ სავსებით არ ეთანხმებოდა პოლიტიკას, რომელსაც შტატის ამჟამინდელი გუბერნატორი არნოლდ შვარცენეგერი ატარებს, ცნობილი ჰოლივუდელი მსახიობი უორენ ბიტიმ კალიფორნიის მომავალ არჩევნებში მონაწილეობაზე უარს აცხადებს.

სააგენტო "როიტერის" ცნობით, ბიტიმ, რომლის პოლიტიკური ამბიციების შესახებ ბოლო პერიოდში ჭორები განსაკუთრებული ინტენსივობით ვრცელდებოდა, თავის მომავალ არაპოლიტიკურ კარიერაზე ბერკლის უნივერსიტეტელებს გაუმხილა.

"ვარ მასკულტურული კონსერვატიზმის უკანასკნელი ოპონენტი", - განაცხადა მსახიობმა, - "მაგრამ შემიძლია დაგისახელოთ დემოკრატიული პარტიის არა ერთი წარმომადგენელი, რომელიც ამ საქმეს თავს ჩემზე უკეთ გაართმევს". მისივე თქმით, შვარცენეგერს ეს პოსტი მხოლოდ იმის გამო აინტერესებს, რომ აშშ-ის პრეზიდენტობის მიღწევაში დაეხმარება.

კალიფორნიელმა დემოკრატებმა, რომელთა მხარდამჭერიც უორენ ბიტი ათეულობით წლების განმავლობაშია, ჯერ კიდევ არ იციან ვის კანდიდატურას წარადგენენ გუბერნატორის არჩევნებზე. არჩვნები კი 2006 წელს შედგება. ექსპერტთა ვარაუდით, პრეტენდენტებს შორის შესაძლებელია ცნობილი პროდიუსერი რობ რაინერიც იყოს.

# ებრაელი მსახიობები სტივენ სპილბერგის ახალ ფილმში

ნათია ლურსმანაშვილი

ებრაელი მსახიობები აელეტ ზორერი და რინა რაბინი სტივენ სპილბერგის ახალ ფილმში მიიღებენ მონაწილეობას. სურათი 1972 წელს მიუნხენში ოლიმპიურ თამაშებზე ებრაელი სპორტსმენების მკვლელობაზე მოგვიყვება.

ჯერჯერობით უცნობია, რა როლს შეასრულებს აელეტ ზორერი. რინა რაბინი კი უკვე დამტკიცებულია ტელეკორესპონდენტის როლზე. მსახიობის ხელოვნებას რაბინი ნიუ იორკში, თეატრალურ სკოლა "Circle In The Square"-ში დაეუფლა.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ რაბინი ისრაელში დაბრუნდა. მსახიობი რამდენიმე ტელესერიალში გადაიღეს. თანამშრომლობდა ბავშვთა თეატრ ორნა პორატთან და თეატრ "ტმუნთან". რინას განცხადებით, სამუშაოს დეტალები მისთვის ჯერჯერობით უცნობია. გადაღებები ივნისში მალტაში დაიწყება.

სურათს პირობით "Revenge" ("შურისძიება") შეარქვეს. მალტის შემდეგ გადაღებები უნგრეთში, პოლონეთსა და სხვა ევროპულ ქალაქებში გაგრძელდება. ფილმზე ორი სტუდია იმუშავებს - "DreamWorks" და "Universal". სურათის პრემიერა აშშ-ში 2005 წლის 23 დეკემბერს იგეგმება.

მთავარ როლზე ავსტრალიელი მსახიობი ერიკ ბანა ("სამნი"), ბრიტანელი დენიელ კრეიგი ("ლარა კროფტი" და "წყეულის გზა") და კანადელი მარი-ჯოზე კროუზი დაამტკიცეს. ფილმს სპილბერგის ერთგული ოპერატორი იანუშ კამინსკი გადაიღებს.



"Revenge"-ზე მუშაობა ჯერ კიდევ შარშან უნდა დაწყებულიყო, თუმცა გადაღებები რამდენჯერმე გადაიდო. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ წარდგენილმა სცენარმა ვერ დააკმაყოფილა სპილბერგის მოთხოვნები. სცენარის პირველი ვარიანტი კანადელი ჟურნალისტის ჯორჯ ჯონსის წიგნის "Vengence: The True Story Of An Israeli Counter Terror"-ის მიხედვით ერიკ როტმა ("ფორესტ გამპი") და ჩარლზ რენდოლფმა ("თარჯიმანი") დაწერეს. მოგვიანებით, სპილბერგის თხოვნით, სცენარი შესწორებისთვის პულიცერის პრემიის ლაურეატს ტონი კუშნერს ("ანგელოზები ამერიკაში") გადასცეს. ამერიკული პრესა იმასაც ვარაუდობდა, რომ ფილმის გადაღება მუსულმანი ექსტრემისტების მხრიდან მოსალოდნელი საშიშროების გამოც გადაიდო.

ფილმი მიეძღვნება იმ შურისძიების აქტს, რასაც მიუნხენის ტრაგედია მოჰყვა. როგორც ცნობილია, 1972 წელს დაჯგუფება "შავი სექტემბრის" წევრი პალესტინელი ტერორისტები აბუ დაუდას ხელმძღვანელობით ოლიმპიური ქალაქის ტერიტორიაზე შეიჭრნენ და 11 ებრაელი სპორტსმენი დახვრიტეს. 6 წლის შემდეგ "მოსადას" აგენტებმა ისრაელის მთავრობის მითითებით ყველა ის პალესტინელი გაანადგურეს, ვისაც რაიმე კავშირი ჰქონდა მიუნხენის ტერაქტის ორგანიზებასთან.

# ასტრონავტმა კოსმოსზე იმღერა




ამერიკული ასტრონავტიკის ერთ-ერთმა ვეტერანმა სთორი მასგრეივერმა გამოუშვა ალბომი, რომელიც ორბიტაზე ყოფნის რამდენიმე ეპიზოდს მიუძღვნა. 1983-1996 წლებში მასგრეივი ექვს კოსმოსურ ექსპედიციაში მონაწილეობდა. მანამდე კი პირველი კოსმოსური სადგურის პროექტიც დაამუშავა.

დისკზე Cosmic Fireflies ცამეტი კომპოზიციაა ჩაწერილი. მათგან პირველი კოსმოსური ხომალდის სტარტის შესახებ არის, დანარჩენები კი იმაზე, თუ როგორ აღიქვამ დედამიწას კოსმოსიდან. ჩანაწერის ჟანრი შერეულია: ინსტრუმენტული ნაწარმოები და მუსიკა შეწყობილი კოსმონავტის მიერ დაწერილ ლექსებზე.

კოსმოსის შესწავლამდე მასგრეივერმა საკუთარი შესაძლებლობები რამდენიმე სფეროში მოსინჯა. 1953 წელს მან მათემატიკის და სტატისტიკის ბაკალავრის წოდება მიიღო, 1960 წელს - ქიმიის, 1964 წელს - მედიცინის დოქტორის, 1966 წელს ფიზიოლოგიისა და ბიოფიზიკის მაგისტრის. 1987 წელს სთორი მასგრეივერი ლიტერატურის მაგისტრიც გახდა.

# 26 მაისს თბილისს რუსლანა ეწვევა

ირმა კახურაშვილი

საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს თბილისში, თავისუფლების მოედანზე ცნობილი უკრაინელი მომღერალი რუსლანა სოლო კონცერტს გამართავს. კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელის დავით ოქიტაშვილის განცხადებით, საერთაშორისო კონკურსი "ევროვიზია 2004"-ის შარშანდელი გამარჯვებული რუსლანა ლიჟიჩკო საკუთარი ჯგუფით ეწვევა თბილისს.

ქართველი მაყურებლის წინაშე მომღერალი ორსაათიანი პროგრამით წარდგება. რუსლანას ფანები იმედოვნებენ, რომ ამჟამად მისი ქართული ტურნე ექსცესების გარეშე ჩაივლის. საქმე ისაა, რომ პოპულარობის პიკზე მყოფი რუსლანა გადატვირთული საგასტროლო გრაფიკის გამო ხშირად უჩიოდა გადაღლილობასა და სტრესს. ასე იყო შარშან, როცა მოსკოვიდან სამშობლოში დაბრუნებული მომღერალი აეროპორტიდან პირდაპირ საავადმყოფოში მოხვდა. შრომისუნარიანობით ცნობილმა მომღერალმა კლინიკაში რამდენიმე საათი გაატარა, რადგან იმავე დღეს კიევში ორი კონცერტი ჰქონდა დაგეგმილი. შემდეგ კი საგასტროლო ტურნე განაახლა და წარმატებით მოიარა ბელგია, ნიდერლანდები და ავსტრია.



მიუხედავად იმისა, რომ რუსლანა ხშირად იმეორებს, თითქოს მას არავითარი კავშირი არა აქვს პოლიტიკასთან და პოლიტიკოსებთან, ჯერ კიდევ იუშჩენკოს გაპრეზიდენტებამდე იანუკოვიჩმა სწორედ მას დაავალა მომავალი "ევროვიზიის" ორგანიზება და ნდობის ნიშნად სახალხო არტისტის წოდებაც მიანიჭა. რუსლანას უარი არ უთქვამს და ახალ საქმიანობაში ენთუზიაზმით ჩაება. ამ სახელმწიფო დავალებას კარგად გაართვა თავი. სხვათა შორის, უკრაინაში ჩატარებული არჩევნების დროს რუსლანა იანუკოვიჩის წინააღმდეგ მიმართულ საპროტესტო აქციაში მონაწილეობდა.

რაც შეეხება 26 მაისს დაგეგმილ სხვა ღონისძიებებს, პირველი კლასიკური გიმნაზიის წინ გაიმართება მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის კონცერტი, რუსთაველის გამზირზე კი სახალხო სეირნობა მოეწყობა. მოსახლეობას საბავშვო ანსამბლებიც გაართობენ. ქართველი მომღერლები კი საქართველოს რეგიონებში გამართავენ კონცერტებს.













თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში

20-24-04
20-00-24

